ვუძღვნით ვაჟა-ფშაველას
დაბადების 140-ე წლისთავს

ვაჟა-ფშაველას საზოგადოება

ბუბა ცაცანაშვილი

რისთვის დახვრიტეს ვაჟა ფშაველას პირველი ლეკვან რაზიკაშვილი

ჩეკისტური სამძებრო საქმე № 2315

თბილისი-2001
'შას გამომცემლობა „ლეგა"

წიგნში გენიალური მკოსნისა და დიდი მამულიშვილის ვაჟა-ფშაველას პირმშის, ლეგენ ლეგენ ძე რაზიკაშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიებისა და ნგენი ხამშიბლის კისკრეტული პოლიტიკური ისტორიის მაგალითზე გაშუქებულია ქართველ ერიუნულ ტრადიციებზე აღზრდილი "ვაი ქმის" ადამიანური ბედი, მისი საბედისწერო ისტორია. აქვე მოხმობილია ცალკეული აფორიზმები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან, რომლებიც პოეტს ქართული გენის სულიერი საუნჯეებიდან მოუხიდია და შთამომაველობისათვის ზოგადქართული და ზოგადადამიანური ღირებულებების ხინთუხური ხახის დიდაქტიკურ შეგონებებად უანდერძნია.

წიგნი გათვალისწინებულია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, მათ შორის ზოგადსაკაცობრიო საუნჯეში ქართული ერიუნული ღირებულებების მაძიებელი, დიდი ვაჟას მიერ დალოცვილი მშობლის ძედ და ღვთისაგან დალოცვილად წოდებული ახალგაზრდობისათვის.

რედაქტორი: ჯიმერ ლიფარტელი

ვაჟა-ფშაველას ხაზოგადოების თავმჯდომარე

რეცენზენტები: სილოვან ნარიმანიძე - *მწერალი*

ალექსანდრე დარუშვილი *ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*

მხატვარი: გიორგი ავსარჯანიშვილი

წიგნის სტამბურად გამოცემაში ხელშეწყობისათვის მადლობას ვუხდით საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს მცხეთა-მთიანეთის მხარეში ბატონ კოლა ბუნიაურს

ISBN 99928 – 840 – 4 – 5

დაიბეჭდა შპს გამომცემლობა "ლეგენ" სტამბაში,
თბილისი, სვეტლის ქ. 5
ფაქსი: (995 32) 30 08 98

„დრო იყო შეუსაბამო,
გარემოება ვერარი...“

(ვაჟა)

„სწორედ რომ, ჩვენდა საუბედუროდ, დღესაც ასეთი დროა...“

(გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 2001, №7, 12 მაისი, გვ.1)

სარჩევი

I. წინათქმა.....5

II. რისთვის და როგორ გაწირეს ლევანი.....10

III. ქართველი მწერლების შუამდგომლობა და 1922 წლის 7 დეკემბრის დასკვნა, ლევან რაზიკაშვილის დახვრეტის ჩეკისტური გაჭიანურება.....36

IV. "საგანგაშო" დრო და მუხთალი გადაწყვეტილება, ლევან რაზიკაშვილის დახვრეტა 42

V. ლევან რაზიკაშვილის ადგილი ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობაში 53

VI. ვაჟა–ფშაველას შთაგონებანი, ანუ ლევან რაზიკაშვილის ზნეობისა და მამულიშვილობი სათაყვანებიდან.....78

"ლამაზად შვილის ამღზრდელი,
დედა მიცვნია ღმერთადა".
ვეფ ფშაველა

I. წინათქმა

გენიალური მგოსნის, ვაჟა-ფშაველას შვილის, ლევან რაზიკაშვილის დახვრეტის საიდუმლოებათა გარკვევას აგერ უკვე შვიდ ათეულზე მეტი წელიწადია დაუცხრომლად მოელის საზოგადოება. ეს ამბავი ახალ საუკუნეს ჯერ კიდევ ბოლომდე ამოუცნობად შემორჩა, იმის მიუხედავად, რომ დიდი ქართველი მწერლისა და ეროვნულ-პატრიოტი მოღვაწის პირმშო თავად გახლდათ უაღრესად საყურადღებო, ეროვნული პიროვნება - რაინდობისა და ძმობის მეხოტბე, დიდი მამის პოეტური შემოქმედების დამფასებელი და დამცველი, თავად პოეტი და აგრეთვე რიგითი მშრომელი ადამიანების თავგამოდებული ქომაგი. ამ დროს, დაინტერესებულ მკითხველს ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც კი არ ძალუძს ამოიკითხოს თუნდაც ძუნწი ბიოგრაფიული ცნობები. ეს იმით აიხსნება, რომ ანტისაბჭოური ქმედებით გამეღავნებული და ჩეკის ორგანოების მიერ დახვრეტილი ლევან ლუკას-ძე რაზიკაშვილი უკანასკნელ ხანებამდე არ იყო რეაბილიტირებული და მხოლოდ ახლახანს, მისი შთამომავლების საჭიროების და მათი ბედით დაინტერესებული საზოგადო მოღვაწის ჯ. ლომაშვილის თავგამოდებით იქნა აღძრული და მოგვარებული ამ თვალსაჩინო წარმომადგენლის ფორმალური რეაბილიტაციის საკითხი.

დიახ, ასეთი იყო საბჭოთა მართლმსაჯულებისა და

დემოკრატიის მოთხოვნა. იმ დროს კომუნისტური პარტიის პოლიტიკისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილი პიროვნების ხსენებაც კი ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად აღიქმებოდა. ამის მიუხედავად ლევან რაზიკაშვილის ტრაგიკული ბედის ამბავი გაუმხელელი არ დარჩენილა. თაობიდან თაობას გადაეცემოდა ამბავი იმის შესახებ, რომ ლევანს, დიდ ანტისაბჭოთა მებრძოლ მამულიშვილ ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად უსწავლია, მასთან ამის შემდეგაც უმეგობრია და ერთხელ, როცა ქაქუცა თავისი რაზმით ლევანის მშობლიურ ფშავში გამოჩენილა, მისთვის მეგობრობის დასტურად ნაბადი და ხანჯალი უჩუქებია. ეს ამბავი კი იმდროინდელ ხელისუფლებას რეჟიმის მიმართ მტრულ მოქმედებად მიუნევია და ლევანის დასჯა გადაუწყვეტია. იმასაც ამბობენ, რომ როცა 1922 წლის დეკემბერში საბოლოოდ გაირკვა ლ. რაზიკაშვილის სიცოცხლე რეალური საფრთხის წინ იმყოფებოდა, ვაჟა-ფშაველას შვილის სიცოცხლის შენარჩუნებით დაინტერესებულმა ქართველმა მწერლებმა, ზოგის აზრით, კოტე მაყაშვილმა, პაოლო იაშვილმა, პავლე ინგოროყვამ, ალექსანდრე აბაშელმა და სხვებმა ს. ორჯონიკიძეს თხოვნით მიმართეს, დიდი მგოსნის შვილისთვის სიცოცხლის შენარჩუნების თაობაზე, მაგრამ ს. ორჯონიკიძეს უთქვამს: "ვაჟას შვილს კი არა, ცოცხალი რომ იყოს, ვაჟასაც დავხვრეტდიო".

მას შემდეგ, რაც აღნიშნულ საკითხზე საუბარს ტაბუ მოეხსნა, პრესაში რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა. ცნობილმა ლიტერატორმა, რევაზ კვერენჩხილაძემ კი თავის უაღრესად საყურადღებო წიგნში ლევანის ბედის შესახებ გაჟღერებული აზრები შემაჯამებლად ჩამოგვიყალიბა. ავტორი წერს: "ვაჟა-ფშაველას უფროსი ვაჟი, ლევან რაზიკაშვილი ქაქუცას თანაკლასელი იყო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. ბუნებრივია, ჩარგალში ასულმა ქაქუცამ თავის სახლში ინახულა ლევანი. ამ უკანასკნელს ნაბადი უჩუქნია ქაქუცასათვის (ალექსანდრე რაზიკაშვილი, "ლს", 1990, 30.VII. ელიზბარ მგელიაშვილი, "დრო იყო განსაცდელისა", გაზ. "თიანეთი", 1990.02.VII).

ლევანი თიანეთის ჩეკაში დაუბარებიათ. ის თავს დამნაშავედ არ თვლიდა და მისულა, იქ კი, ჩოლოყაშვილის კაცი ხარო და დაუპატიმრებიათ.

ლევან რაზიკაშვილი, ვაჟას შვილების შორის, გამორჩეულად ჭკვიანი კაცი იყო. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1922 წლის სექტემბერში დაპატიმრებულის გამოსახსნელად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ (თავმჯდომარე - კ. მაყაშვილი) ამავე წლის 20 დეკემბერს შუამდგომლობით მიმართა საგანგებო კომისიას: ვაჟა-ფშაველას ხუთსულიანი და თავად მისი სამსულიანი ოჯახი ლევანის სარჩენიაო და ნამუსზე შეაგდო - იმედია, საგანგებო კომისია პატივს სცემს საქართველოს სიამაყის, პოეტ ვაჟა-ფშაველას ხსოვნას და, დაარქარებს რა ლევან რაზიკაშვილის საქმის გამოძიებას, მას საპატიმროდან გაანთავისუფლებსო.

მაგრამ არ გაჭრა ამ თხოვნამ...

არ ვიცი, ამ შუამდგომლობით მივიდნენ თუ თვითონ ითავეს, მაგრამ არის გადმოცემა, რომ მწერლებმაც ა. აბაშელმა, შ. დადიანმა და პ. ინგოროყვამ სთხოვეს ს. ორჯონიკიძეს ვაჟას შვილი დაენდო.

საქვეყნოდ ცნობილია ორჯონიკიძის პასუხი: ვაჟას შვილი კი არა, თვით ვაჟა რომ იყოს ცოცხალი, იმასაც დავხვრეტდიო (მწერალმა ო. ჩხეიძემ სამჯერ მოინდომა სხვადასხვა რომანში შეეტანა ეს ეპიზოდი, სამჯერვე ამოუღეს. ეს ამბავი აირეკლა ლ. ავალიანის ნოველაში "ლოდის წინა". იხ. აგრეთვე კ. იმედაშვილი, "ლს", 1989, 25, VIII) რ. ჩხეიძე, "ლს", 1989, 40).

ლ. რაზიკაშვილი 1923 წლის მაისში დახვრიტეს.

ერთხელ, მწერალ გივი ბუთხუზისათვის ვიღაც მოხუცს გაუმხელია - ლ. რაზიკაშვილი ჩვენ დავხვრიტეთო ("ლს", 1990, 33: რომ მიგვეყვდა დასახვრეტად, ერთხელაც არ შეუხრია წარბი, გვეძახდა სამშობლოს გამყიდველებს, ხალხის მტრებს, მკვლელებს! მოტყუებით ჩამიგდეთ, ძაღლებო, არაო? არ შეგრჩებათ ჩემი დახვრეტა, მოვა დრო, ისევ აღსდგება საქართველო, მომავალი თაობები კეთილად გაიხსენებენ სამშობლოისათვის დაცემულთ და ბრალი თქვენი, თქვე უწმინდურებო, რომ მომგონებელიც აღარავინ იქნება თქვენიო" (იხ. რ. კვერენჩხილაძე, "წამების გზა. დახვრეტა, გადასახლება, დევნა", თბ., 1999, ₾ 1, გვ. 52-53).

წინამორბედ ავტოროა პუბლიკაციებისა და სათანადო არქივების მცოდნე, აგრეთვე ლევანის ტრაგიკული ბედის შესახებ თაობების მიერ გადმოცემული ამბის მთხრობელი ავტორი

საკმაოდ ნათელ სურათს გვიქმნის საბჭოთა ხელისუფლების მიერ განწირული ვაჟა-ფშაველას შვილის, ლევანის ბედის შესახებ. მაგრამ ამასთანავე, ჩვენ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გეგმიური დავალების შესრულების დროს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივში (ანუ ე.წ. "სუკის არქივში") სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დროს, უფრო ფართო ინფორმაციას გავეცანით. ამან შესაძლებლობა მოგვცა, გაცილებით სრულად დავაკმაყოფილოთ ფართო მკითხველი საზოგადოების ინტერესი დიდი ვაჟა-ფშაველას ღირსეული შვილის ადამიანური ბედის მიმართ. ამის შესაძლებლობას კი გვიქმნის უპირველეს ყოვლისა რაზიკაშვილი ლევან ლუკას ძეს ჩეკისტური საქმე № 22905-61. მასში დაცულია ლევანის სამძებრო მასალები; მათ შორისაა: ლევანის ხელნაწერი პასუხები გამოძიებლის მიერ დასმულ კითხვებზე; მისი მეუღლის, თამარის თხოვნა ლევანის საქმის დაჩქარებით გამოძიებისა და ქმრის დროული განთავისუფლების შესახებ; თანასოფლელთა მიერ ლევანის დახასიათება გაგზავნილი საქართველოს ჩეკას ხელმძღვანელობისადმი; პატიმრის პირადი ანკეტა; ლევანის საქმის გამოძიებელ ხოჯევანოვის მიერ ჩატარებული დაკითხვის ოქმები; მის მიერვე შედგენილი "დასკვნითი დადგენილება"; საქართველოს მწერალთა კავშირის მიმართვა საქართველოს საგანგებო კომისიის მიმართ; საბრალდებო საქმის ძიების "დასკვნითი დადგენილება"; საქართველოს "ჩეკას" კოლეგიის სხდომების ოქმების ამონაწერები; ლევან რაზიკაშვილის "განცხადება საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მიმართ", მამის პოეტური შემოქმედების გამო; თიანეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის, სერგო სურგულაძის განმარტებითი ჩვენება ლევან რაზიკაშვილის შესახებ; საქართველოს შინსახკომის მოადგილისა და საქართველოს მილიციის სამმართველოს უფროსის იოვიძის განმარტება ლ. რაზიკაშვილის დაპატიმრების გარემოებათა ახსნის მიზნით; ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილის დახვრეტის აქტი და სამძებრო საქმეს დართული წერილები (მათი საერთო რაოდენობა ხუთ ათეულ გვერდს აღემატება. თითოეული მათგანი სათანადო ხელმოწერებით, შტამპითა და რეზოლუციებით არის და-

დასტურებული). ისინი მნიშვნელოვანი სისრულით გვაძლევენ ლეგვანის "საქმის" რეალური ვითარების. მაგრამ აქასთანავე, მკითხველის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროდ გვესახება ჩვენი, როგორც ისტორიკოსის კომენტარების და თემასთან დაკავშირებული, ლეგვანის ტრაგიკული ისტორიის ცალკეული, ჩვენი აზრით აუცილებელი მდგომარეობების გაშუქება. ვფიქრობთ, რომ ლეგვანის ნეკისტური სამძებრო საქმის შექმნის მიზანდასახულობის და განაზენის გამიტანის იმდროინდელი სპეციფიკის გამო მის საქმეში ასახული, ერთგვარად შეკვეცილი და სქემატური ისტორია ართულებს დაინტერესებული მკითხველის მიერ აღნიშნული საქმის კურსში სრულყოფილად გაცნობიერებას. ჩვენ გვესახება, რომ ისტორიკოსისა და სპეციალისტის დამატებითი განმარტებებით ლ. რაზიკაშვილის სამძებრო საქმის და თემასთან დაკავშირებული საკითხების გაგება მნიშვნელოვნად გაიოლდება, ამით კი მკითხველის ცნობისმოყვარეობა ჩვენი პუბლიკაციით მაქსიმალურად გამდიდრდება, ხოლო მკითხველის ინფორმაციულობა საგრძნობლად გაიზრდება.

II. რისთვის გაწირეს ლევანი

"ცუდას რად ეუნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი"
ვეფა-ფშაველა

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდულ ფარგლებშიც კი, ჩვენი წინამორბედი ავტორების პუბლიკაციებში, ლ. რაზიკაშვილის ტრაგიკული ბედის საკითხი ზოგად ფორმებში პრინციპულად სწორად არის წარმოჩენილი. საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების არქივში მკვლევარ რ. კვერენჩხილაძის მიერ გამოვლენილ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მიმართვას ხელს აწერენ იმდროინდელი თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი და მდივანი მიხ. ბოჭორიშვილი. სახელმწიფო არქივში შემონახულია ამ მიმართვის მხოლოდ ასლი, რომელიც ხელმოწერებით არ დასტურდება. ასე რომ, მკვლევარმა სწორად განსაზღვრა მიმართვის ხელისმომწერი, მწერალთა კავშირის იმდროინდელი თავმჯდომარე. იგი ცნობილი ეროვნული პატრიოტი, პოეტი და ასევე კარგად ცნობილი იმ პატრიოტი უნივერსიტეტელი სტუდენტის, მარო მაყაშვილის მამაა, რომელმაც სხვა პატრიოტ სტუდენტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო XI წითელი არმიის წინააღმდეგ ომში და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას გმირულად შეეწირა (იხ. ნ. ღვინეფაძე, "შარავანდედი", გაზ. "კომუნისტი",1990, 18 თებერვალი)

კ. მაყაშვილი, სუკის არქივში ჩვენს მიერ გამოვლენილი სოციალ-ფედერალისტების პარტიის უფროსი თაობის სტრუქტურული სიის მიხედვით, სოციალ-ფედერალისტების პარტიის უხუცესი თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. იგი მეთაურობდა ამ პარტიის აღმასრულებელი ბიუროს, აგრარული სექციის და მებრძოლი განყოფილების წევრთა სია.ს. ამათ შორის დასახელებული არიან რევაზ ჯაბადარი, სიმონ ყიფი-

ანი, ივანე მჭედლიშვილი და სხვანი (სუკის არქივი, № 41, ფ. 34). საბჭოთა ხელისუფლების პირობებში კ. მაყაშვილი ერთიანდებოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ლეგალურ-კომპრომისული ტაქტიკით მებრძოლი მამულიშვილების რიგებში. რაც შეეხება მ. ბოჭორიშვილს, იგი პარტიული კუთვნილებით, მემარჯვენე ესერი იყო, ლეგალურად მოღვაწეობდა, მაგრამ ამასთანავე, წევრი იყო არალეგალური პარიტეტული, ანუ დამოუკიდებლობის კომიტეტისა. მ. ბოჭორიშვილი 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების ორგანიზებაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ამ ორი პიროვნების ეროვნულ-პატრიოტული თავგამოდება პუბლიკაციებში შედარებით ვრცლად არის წარმოჩენილი. ესენი გამოხატავდნენ ანტისაბჭოთა ლეგალური და არალეგალური ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლების, ანუ პატრიოტი ქართველი მწერლებისა და საქართველოს სუვერენიტეტისათვის მებრძოლი საზოგადო მოღვაწეების საერთო სულისკვეთებას. მათ შესახებ საყურადღებო ცნობებს შეიცავს რ. კვერენჩხილაძის დასახელებული წიგნიც. ამდენად ცნობა ს. ორჯონიკიძის წინაშე მათი და სხვა პატრიოტთა გამოსარჩლების შესახებ, საესებით დამაჯერებლად მოჩანს და, ჩვენი აზრით, უსაფუძვლოც არ უნდა იყოს. მაგრამ ლევანის "საქმეში" ამის შესახებ არაფერი წერია. მაშასადამე, ლევანის სიცოცხლით დაინტერესებული მწერლებისადმი ს. ორჯონიკიძის საზარელი პასუხის შესახებ საქვეყნოდ გავრცელებული აზრი ჯერ-ჯერობით კელავ ფოლკლორის დონეზე რჩება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი განცხადების შესაძლებლობა გამორიცხულია. ცნობილია რომ ვაჟა-ფშაველა სასტიკად უპირისპირდებოდა სოციალ-დემოკრატებს მათი ეროვნული ნიჰილიზმის გამო. ვაჟას შვილი ლევანი კი, მისი ჩეკისტური საქმის მასალების მიხედვით, სკოლის მერხიდან თანაუგრძნობდა ფედერალისტებს, ერთ-ერთი დაკითხვის დროს ლევანმა უპასუხა "1909 წლიდან თანაუგრძნობდი ფედერალისტებსო" (სუკის არქივი № 22905, ფ. 12). ხოლო შემდეგ კი, ალბათ 1921 წელს, ედპ-ს ლეგალური საქმიანობის დროს, როგორც თიანეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის ნათქვამიდან და საქართველოს შინსახკომისრის მოადგილის იოვიძის დასმენიდან ჩანს საკუთარ თავს ეროვნულ დემოკრატს უწოდებდა. (იხ. იქვე, ფურც. 17). აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლევანის ალიარებით, მას

და ქაქუცას მართლაც, ერთ დროს, ერთად უსწავლიათ თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. ამასთანავე ლევანი იმასაც უჩვენებს, რომ ქ. ნოლოყაშვილი 1915 წელს ესწრებოდა მისი მამის, ვაჟა-ფშაველას დაკრძალვას (იხ. ფ. 12). 1922 წლის ზაფხულში ქ. ნოლოყაშვილთან საბედისწერო შეხვედრა და ურთიერთობა კი ჩვენების მიმცემს, როგორც ქვემოთაც ვნახავთ, ისე აქვს გადმოცემული, რომ ეჭვს არ იწვევს მათ შორის არამარტო კეთილგანწყობილება, არამედ თანადგომაც (იხ. ფ. 12.22). ამასთანავე, გასათვალისწინებელია ბრალდების აღმოცენებისდროინდელი ქ. ნოლოყაშვილის და რეჟიმის ურთიერთდამოკიდებულება. ლევანის ბრალდების მოელენები ვითარდება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ქ. ნოლოყაშვილის რაზმის გააფთრებული ბრძოლების დროს, უკიდურესად დაძაბულსა და ექსტრემალურ სიტუაციაში. ისიც ცნობილია, რომ ს. ორჯონიკიძე თავად იყო ქაქუცას მონაწილეობით მომხდარი ხევსურეთის აჯანყების წინააღმდეგ უსასტიკესი ზომების გამოყენების იდეისა და სანქციის მიმცემი. ამის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან" ("დამკომთან"), ანუ იგივე "პარიტეტულ კომიტეტთან" არსებული, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და XI წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლების მონაწილე, გამოჩენილი ქართველი პატრიოტების, მათ შორის გენერლებისა (ალ. ანდრონიკაშვილის, ვ. წულუკიძის, ი. გედევანიშვილის, კ. აფხაზის) და პოლკოვნიკებისაგან (გ. ხიმშიაშვილი, რ. მუსხელიშვილი, ივ. ნარიკელაძე) შემდგარი "სამხედრო ცენტრის" ერთ-ერთი აქტიური წევრი, როსტომ მუსხელიშვილი., კერძოდ მისი, ჯერ გამოუქვეყნებელი (1923 წლის 6, 27 მარტის და 6 მაისის) ჩვენებები. პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი კი ხევსურეთის აჯანყების წინააღმდეგ გაგზავნილი საბჭოთა ჯარების შტაბის უფროსი და საბრძოლო ოპერაციების განხორციელების ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ. ამავე დროს, იგი უშუალო კონტაქტში იმყოფებოდა არა მარტო ქ. ნოლოყაშვილის და აჯანყებული ხევსურების წინააღმდეგ განხორციელებული საბრძოლო ოპერაციების მოელენებთან, არამედ აგრეთვე ამ ოპერაციების ხასიათის განმსაზღვრელ უმაღლეს სარდლობასთან, კერძოდ ს. ორჯონიკიძესთან. მეორე მხრივ, იგი ადრიდანვე პოლკოვნიკ გოგი ხიმშიაშვილის მიერ

დაკავშირებული იყო მენშევიკების ხამხედრო კომისიის ხელმძღვანელ ი. ცინცაძესთან, ხოლო მისი მეშვეობით დამკომთან და მენშევიკების ცეკასთან.

ამდენად რ. მუსხელიშვილის მიერ წარმოსენილი ინფორმაცია მრავალმხრივ საყურადღებო და გათვალისწინების ღირსია. რ. მუსხელიშვილმა, კერძოდ, ქ. ხოლოყაშვილის პარტიზანული რაზმის წევრებისა და აჯანყებული ხევსურების მიმართ ს. ორჯონიკიძის დამოკიდებულების შესახებ უნდა, რომ იგი ხევსურეთის აჯანყებულთა წინააღმდეგ ოპერაციების განხორციელების წინ, კავკასიის არმიის მეთაურობამ თბილისის რკინიგზის სადგურში განცალებული სპეციალური სამხედრო მატარებლის შტაბ-ეგზონში მიიწვია. აქ მას შეკრებილი დახვდნენ კავკასიის წითელი არმიის სარდალი ეგორიევი, ამავე არმიის შტაბის უფროსი პუგაჩოვი და სხვები, ხოლო შემდეგ მათ ეწვია აგრეთვე ორჯონიკიძე, რომელმაც სარდლობას საბანადო ბრძანება-მითითებები მისცა. მან დასახა გადამწყვეტი მოქმედებით ხევსურეთის სიღრმეში მსხვილი სამხედრო შენაერთებით შეჭრა, აჯანყების უმოკლეს ხანში ჩახშობა, მისი აღმოსავლეთით გავრცელების შესაძლებლობის აღკვეთა (სუკის არქივი, № 24058, ფ. 54) და ხევსურების სასტიკი დათრგუნვა (სუკის არქივი № 24058, ფ. 65). რ. მუსხელიშვილის 6 მაისის ნეკნებიდან ჩანს, რომ არსებულა ს. ორჯონიკიძის რეკომენდაციები დახვრეტების ჩატარების შესახებ. "ამბობენ, - წერს რ. მუსხელიშვილი, - რომ მე ი. ცინცაძეს გადავეცი ცნობა ს. ორჯონიკიძის მიერ დახვრეტების რეკომენდაციების შესახებ" (სუკის არქივი № 24058, ფ. 101). მოხმობილი წყაროები და სხვა დამატებითი ცნობები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, გვიძლიერებენ აზრს, რომ ს. ორჯონიკიძეს შეეძლო ბოლშევიკებისათვის იდეური მოწინააღმდეგეების და საშიში "კლასობრივი მტრების", კერძოდ, ვაჟა-ფშაველას მიმართ ზემოთაღნიშნული შემზარავი აზრის გამომსახველი სიტყვების თქმა.

მაშასადამე, ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი აზრი, ს. ორჯონიკიძის შემზარავი გამონათქვამი ვაჟა-ფშაფელას შესახებ, უსაფუძვლო არ უნდა ყოფილიყო. ჩვენი ეს აზრი, კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდება ქვემოთ, როცა გავეცნობით იმ "საგანგაშო დროს", როდესაც მოხდა ლ. რაზიკაშვილის დახვრეტა.

ამ წინწამძღვარებული ინფორმაციის შემდეგ, საჭიროდ გვესახება ლევან რასიკაშვილის ჩეკისტური სამძებრო საქმიდან მოხმობილი კონკრეტული მაგალითების წარმოჩენით გავაშუქოთ ვაჟა-ფშაველას პირმშოს ტრაგიკული ბედის ისტორია

ლ. რასიკაშვილის საქმეში ჩართული საქართველოს პოლიტიკური სამდივნოს, იგივე საქართველოს შინსახკომისრის მოადგილის და მილიციის სამმართველოს უფროსის, იოვიძის მიერ საქართველოს ჩეკასადმი 1922 წლის 8 ნოემბერს გაგზავნილი № 445 სრულიად საიდუმლო მიწერილობიდან ჩანს, რომ ლევანი მისი ბრძანების საფუძველზე (ფურც. 17), 30 სექტემბერს დაუპატიმრებია თიანეთის მილიციას (ფ. 5). ამ დაპატიმრებას ოფიციალურ საფუძველად დაედო თიანეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის, სერგო სერგულაძის 1922 წლის 7 ოქტომბრის 4052 განკარგულება (ფ. 1). თარიღების არათანმიმდევრობა ასახავს იმას, რომ ოფიციალური საქმის წარმოება და გაფორმება, ხშირ შემთხვევაში, სამორჩილოდა ხოლმე მოვლენების ფაქტობრივ განვითარებას, რომელიც საბჭოთა ძალისმიერი ორგანოების პრაქტიკისათვის დამახასიათებელ ამბავს წარმოადგენდა. მაშასადამე ლ. რასიკაშვილის დაპატიმრებამდე სიტყვიერად გადაწყდა საკითხი, გაფორმება კი შემდეგ, ფორმალური იურიდიული საფუძველის შექმნის მიზნით ხდება.

ლ. რასიკაშვილი, როგორც მისი ხელით შევსებული პატიმრის ანკეტიდან და სხვა საბუთებიდან ჩანს, დაპატიმრებამდე ყოფილა ფშავის რაიონის მილიციის უფროსი, და მისი სამსახურის ადგილი სოფ. მაღაროსკარი იყო (ფ. 1,9,).

9 ოქტომბერს ლ. რასიკაშვილს აგზავნიან საქართველოს საგანგებო კომისიაში (იხ. ფ. 1). დაპატიმრების ოქმი შედგენილია 12 ოქტომბერს. პატიმრის ანკეტას თავში სტამბური წესითა და დიდი ასოებით წამძღვარებული აქვს: "Давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строжаишей ответственности". ამ გაფრთხილებას მოსდევს ტრაფარეტული სტამბური და დამატებითი ხელნაწერი კითხვები და შესაბამისი, პატიმრისეული განმარტებები. ანკეტიდან ჩანს, რომ ლ. რასიკაშვილი ჩაწერილია მაღაროსკარის თემის სოფ. ჩარგალში. დამთავრებული აქვს თბილისის ქართული გიმნაზია. ყავს: დედა, თამარ გიორგის ასული 63 წლის, დიასახლისი; მეუღლე - თამარ გრიგოლის ასული - 27 წლის; ძმა - ვახტანგი, 16 წლის, და - მარიამი, 20 წლის; სამი

შვილი - ლუკა, ქეთევან და ეკატერინე. მათი ასაკია - 7, 2 და 1 წელი. ანკეტაში წერია: "სკოლის მერხიდან სოციალ-ფედერალისტი". 1914 წლიდან გორის ლაზარეთში მუშაობდა ცენტრალური კანცელარიის მდივნად, 1917 წელს გადასახლდა ს. ჩარგალის მამისეულ სახლში და აქ ცხოვრების დროს, 1918 წლის 18 სექტემბრიდან მსახურობდა უფროს მილიციელად. შემდეგ აქვე კომისრად, ანუ მილიციის უფროსად დაინიშნა. ანკეტიდან ჩანს, რომ სამართალში ნამყოფი არ ყოფილა, ახლა კი, 1922 წლის 30 სექტემბერს დაუპატიმრებიათ. ლევანი განმარტავს: "თიანეთში ვიყავი სამსახურის საქმეზე, სადაც ამხ. იოვიძის ბრძანებით დამაპატიმრესო". ანკეტიდან ჩანს, რომ ადრე დაკითხული არ ყოფილა; გარეგნული ნიშნებით, ყოფილა საშუალოზე მაღალი, წაბლისფერი თმითა და მრგვალსახოვანი. ანკეტა ხელმოწერილია 12 ოქტომბერს. (ფ. 2-5).

სხვა მასალებიდან ჩანს, რომ ლევანის დაპატიმრების და თბილისში, საქჩეკაში გადაგზავნის შემდეგ, 3 ნოემბრის თარიღითა და "საქ. ჩეკას" ხელმძღვანელობის მოთხოვნით (უფროსის მოადგილის, სამმართველოს უფროსის და მდივანის ხელმოწერით) დაიწერა მიმართვა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი (7.X.1922), რომლითაც მოითხოვენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის იოვიძის განკარგულებით ჩეკას გადაუგზავნონ არსებული საბრალდებო მასალა რაზიკაშვილზე (ფ. 16). სხვა ფურცლები გვამცნობენ, რომ საქართველოს ჩეკას უფროსმა თიანეთის აღმასკომის თავმჯდომარეს ტელეგრამით მოსთხოვა "გადმოგზავნეთ თქვენს ხელთ არსებული საბრალმდებო მასალები ფშავის რაიონის მილიციის უფროსის, რაზიკაშვილი ლევან ლუკას ძის შესახებ, თანახმად თქვენი 7.X, № 4052 მოწერილობისა (იხ. ფ. 15). ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ ლევანის ბედზე ჩეკას შავი ღრუბლები იკრიბებოდა. ამასთანავე "საქმიდან" ჩანს, რომ საბედისწერო ჟამს, ვიღაცას საკუთარ თავზე უტვირთია ლევანის ქომაგი ფშავის მოსახლეობის სახელით საგანგებო კომისიაში წარსადგენი "მოწმობის", ანუ იგივე შუამდგომლობის შედგენა და ხელის მოწერების სასწრაფოდ ორგანიზება. "ამ მოწმობას ეაძლევთ მილიციის უფროსს ლ. რაზიკაშვილს. - ნათქვამია მასში, და დადასტურებულია, - არის სინდის-ნამუსიანი, პატიოსანი და ყოველმხრივ სანდო პიროვნება, მენშევიკებიდან მოყოლებული ფშავისწყლის მილიციის

უფროსია, მშრომელთა ინტერესების დამცველი, სასტიკი მდევნელი ყველა ბოროტმოქმედებისა, ბანდიტ-ყაჩაღებისა, ბევრჯერ ნამგლები სიცოცხლისა განსაცდელში“ (იხ. ფ. 9).

ამ ფშაველი გლეხური გულუბრყვილობით და სიმართლით დაწერილ სტრიქონებისათვის სათანადო განმარტებებიც მიეწერიათ. ფშაველების ამ განსაცდელთა დამტეხნი “ხევსურები არიან მომეტებულ, რომლებიც ს. ჩარგალსაც კი გვევლაენებიან, მათი დასჯის მომხრე იყო, ამის შესახებ მოხსენება აქვსო გაგზავნილი არა ერთ გ'სის, რასაც ერილობაზეც გვეუბნებოდა. ერთგულია საბჭოთა ხელისუფლებისა, დიდი წინააღმდეგი იყო ქაქუცას თავის რაიონ'ში შემოშვებისა, მომხრე იყო ჯარის შემოსელისა, რომელმაც (ქაქუცა გ.ც.) დასაჯაო და ამით ჩვენი მისწრაფებებიც განახორციელაო“. (ფ.9). როგორც ვხედავთ, წერილის ავტორს წინდახედულად, საჭირო პოლიტიკური რაკურსებიც გაუთვალისწინებია. ამ “მოწმობა“-რეკომენდაციას, თუ ამასთანავე ლევანის დახასიათებას, ხელს აწერს 56 პიროვნება. თავდაპირველად უფრო მეტის ხელმოწერა გადაუწყვეტიათ. შეკრული ფურცლები ტექსტზე მეტია, თანაც ხელმოუწერელი ნუმერაცია გრძელდება. როგორც ჩანს, სიჩქარისა და სხვისი რჩევით, 56 ხელმომწერთა რაოდენობა საკმარისად უცვნიათ და ტექსტი საქართველოს ჩეკასათვის სასწრაფოდ გადაუგზავნიათ. ჩვენ გვესახება, რომ შთამომავლობამ, მითუმეტეს ჩარგალისა და ფშაველის ეხლანდელმა მაცხოვრებლებმა უნდა იცოდნენ დიდი ვაჟას სიყრმის შვილის ერთგულ ქომაგთა, თავიანთი წინაპრების, ნათესავებისა თუ მეზობლების ვინაობა. ამიტომ გთავაზობთ ხელმომწერთა სიას.

ხელის მომწერთა შორის არიან: ლევან, გიორგი და ირაკლი გარსიაშვილები; პაველ ყარაშვილი; ივანე გორგაული; ნინო, ლვდელა, გრიგოლ, გიორგი და ალექსი რაზიკაშვილები; ხთისო მარცვალაშვილი; მარიამ პირქუშაშვილი; ლევან თათარაშვილი; მიხა გურასპაული, ბეწინტური და ივანე მარტიაშვილები; ივანე მოლოდინაშვილი; ბეკურ, ალექსი და გიორგი ბაჩიაშვილები; გიორგი თაგვასაშვილი (?); ხვთისა პეტრიაშვილი; ხთისა მგელაშვილი; იოსებ ჯანაშვილი; ნიკო ჩოხელაშვილი; ლევან მარტიაშვილი; გიორგი წიწილაშვილი; იოსებ უთურგაული; ხვთისო მგელიშვილი (?); მიხა მგელიაშვილი; გიორგი ლაშქარაშვილი; პეტრე ნადირაშვილი; ოსისიმე ჭედლური; ბესარიონ მარცვ-

ალაშვილი; მახარე და გიორგი მოლოდინაშვილები; ალექსი; ივანე და გიორგი მარტიაშვილები; თეოდორე თეორაული; პაველე აჯამიაშვილი; თეოდორე, პაპი, კაკო, იოსე და სალომე ჟამიაშვილები; ალექსი პატრიგაშვილი; სანდრო პეგარაშვილი; შალვოშა დონაძე-მარტიაშვილი; ხოსია არჯალაშვილი; გიორგი პირქუსაშვილი; ივანე ბიკიკაშვილი; გიორგი უფრიწაშვილი; დავით დარსაული; ვანო და კიდევ ერთი რომელთა ხელმოწერა ვერ ამოვიკითხეთ. "საქართველოს ჩეკაში" გასაგზავნი "მიწმობის" სინამდვილეს ადასტურებენ მაღაროსკარის თემის აღმასკომის თავმჯდომარე ივანე თურმანაული და ვანო, რომლის ხელმოწერაც არ იკითხება (სოგი სახელი ან გვარი დოკუმენტში შეიძლება არაზუსტად არის მითითებული; იხ. ფ.9).

წერილის ტექსტში დამოწმებული ამბავი იმის შესახებ, რომ ლევან რაზიკაშვილი ქაქუცას და ხევსურთა დამარცხების ან წითელი ჯარის შემოყვანის მომხრე იყო, როგორც საქმეში დართული მასალებიდან და სხვა ცნობებიდან ჩანს, არ დასტურდება და ლევანისადმი დახმარების ზედმეტი გულმოდგინების ნაყოფად მოსჩანს. ეს წანამატი "ცნობის" ტექსტში, ჩვენი აზრით მისმა შემდგენელმა ივანე თურმანაულმა კონიუნქტურული მოსაზრებით დაურთო, ხოლო ლევანის მოსარჩლე სხვა ხელისმომწერებმაც სიამოვნებით დაადასტურეს. თუმცა მას არსებითი როლი ისევე არ შეუსრულებია, როგორც სხვათა, კერძოდ, ქართველი პატრიოტი მწერლების შუამდგომლობას. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ხელისუფლებას და ჩეკას, ლ. რაზიკაშვილის საწინააღმდეგოდ სხვა, უფრო ავტორიტეტული და დამაჯერებელი საბუთები და არგუმენტები გააჩნდა. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ კი აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჩეკისტურ საქმეში იძებნება აღმასკომის "ცნობაში" ლევანის სასარგებლოდ და მისი პიროვნების მაღალი ღირსების აღმნიშვნელი თვისებების გამამდიდრებელ-დამადასტურებელი საბუთებიც.ეს არის ხელის საბეჭდ მანქანაზე შესრულებული დოკუმენტი. აქედან ვიღაცას განგებ ამოუხევია ამ დოკუმენტის ტექსტის ერთი შედარებით მცირე და ბოლო ნაწილი. როგორც ჩანს ვიღაცა შეეცადა ტექსტიდან ამოეგდო ლევან რაზიკაშვილის სახელი, დაემალა რაღაც ინფორმაცია ან შეეზღუდა ლევანის სასარგებლოდ მეტყველი დოკუმენტის ინფორმაციული ღირებულება. ისიც არ არის გამორიცხული, რომ ტექსტი,

გარკვეული მოსაზრებით, გვიან იყოს დამახინჯებული ვიდაც პიროვნების მიჩქმალვის მიზნით. მაგრამ შემორჩენილი ნაწილიდანაც ლევანის სასარგებლო, საკმაოდ საყურადღებო ინფორმაცია მეღავნდება. ამასთანავე ჩანს, რომ ეს დოკუმენტი შედგენილია, როგორც თიანეთის მაზრის მილიციის სამმართველოს უფროსის ადრინდელი ანუ 1922 წლის 21 აგვისტოს "მოხსენება რესპუბლიკის მილიციის უფროსის მიმართ". მაშასადამე, ეს არის მაღაროსკარის თემის, ანუ ლევანის ზემდგომი, მილიციის უფროსის მიერ, ჯერ კიდევ ქაქუცას ფშავში გამოჩენამდე და ლევანის დაპატიმრებამდე, ფშავში შექმნილი მძიმე კრიმინალური მდგომარეობის დახასიათება და ამ დროს ლევანის მიერ საკუთარი როლის შესრულების შესახებ მეტყველი დოკუმენტი. ამ დოკუმენტის ღირსება სწორედ იმ პირველად კონცეფციაში ვლინდება, რომელიც მანამდე შეიქმნა, ვიდრე ლევანის დაპატიმრება მოხდებოდა. მაშასადამე, ვიდრე ლევანის გამოსარჩლება და მისი სიცოცხლის გადარჩენისთვის ზრუნვა დასჭირდებოდათ. მის მიხედვით ცხადი ხდება, არა მარტო აქ არსებული მწვავე კონფლიქტური სიტუაციები და ლევანის დადებითი როლი, არამედ ისიც, თუ როგორ მოხდა, რომ დიდი ვაუა-ფშაველას მაღალინტელექტუალური, "სინდის-ნამუსიანი, პატიოსანი", ხალხისთვის "ყოველმხრივ სანდო პიროვნება", "მშრომელთა ინტერესების დამცველი" ლ. რაზიკაშვილი "მენშევიკებიდან მოყოლებული" ფშავისწყლის მილიციას დაუკავშირდა, მას ვერ გასცდა და "მშრომელთა ინტერესების დამცველად", "სასტიკ მდევნელად ყველა ბოროტმოქმედების, ბანდიტ-ყაჩაღებისა" და "ბევრჯერ ჩამგდები სიცოცხლისა განსაცდელში" საქართველოს ერთ პატარა, საკუთარი მშობლიური კუთხით იზღუდება. ამ დროს კი ბევრმა მედროვე ავანტურისტმა და სათანადო განათლების არმქონე გაჟიმმა მაღალი თანამდებობა მოიპოვა და ობივატელებისათვის თავბრუდამხვევი კარიერა შეიქმნა.

თიანეთის მაზრის უფროსის ამ "დამატებით", ანუ განმეორებით მოხსენებაში აღნიშნულია, რომ "ხევსურეთის და ფშავის რაიონების" მცხოვრებთა მდგომარეობა და ერთობა იმდენად გამწვავებულია, რომ მათი ამ მდგომარეობაში გაჩერება მე ჩემ მხრივ ბოროტმოქმედებად მიმაჩნიაო". კონკრეტულად საქმე იმაში ყოფილა, რომ 12 აგვისტოს ფშაველებსა და ხევსურებს შორის

მწვანე შეტაკება მომხდარა და ორმხრივი სროლა მთელ 24 საათს გაგრძელებულა, იმის გამო, რომ ხევსურები ფშაველებს ჩარგალს შესდაყებიან. "ისინი ხელმძღვანელობდნენ იმითი, რომ ს. ჩარგალი (ადრე გ.ც.) მათა სჭერიათ... სროლის შემდეგ ხევსურები ჩამოსულან მთიდან, გადაუყრიათ ფშაველების ძნები, რითაც მათთვის დიდი ზარალი მიუყენებიათ". თიანეთის მაზრის მილიციის უფროსი წერს, რომ "განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს ფშაველებს სოფ. ხანდოს მცხოვრები ხევსურები, რომლებიც ხევსურეთის რაიონში იმყოფებიან და სოფელ ჩარგალზედ 4-5(?) ვერსითაა დაშორებული. გარდა ამისა, თუკი ოდესმე ფშაველს ხევსურისათვის ერთი ქათამი მაინც მოუკლავს ეხლა ხევსურები ამის შურსაც კი იძიებენ და მთელს ჯოგებს სტაცებენ ფშაველებს. აგრეთვე თუკი დრო იშოვეს მუდამ მიუდით არა მარტო ჯოგები, არამედ თვით ხალხიც კი და მერმე ფშაველებს ამ ხალხის გამოსყიდვა დიდ ფასად უჯდებათ. მაგალითად, ამ ერთი თვის წინათ ხევსურებმა შეიპყრეს უმიზეზოდ ფშაველი მწარია სარკიაშვილი და თხოულობდნენ იმის გამოსყიდვას, რის გამოც მთელი სოფელი იძულებული იყო შეესრულებინა ეს მოთხოვნილება ძროხებითა და ცხენებით გამოესყიდა მოტაცებული სარკიაშვილი.

დღესაც ყავთ მათ (ხევსურებს - გ.ც.) მოტაცებული ძროხები, ცხვრები და ცხენები და უკან არ იძლევიან. ამისთანა მდგომარეობის გამო ფშაველები გამწარებულნი არიან ხევსურების წინააღმდეგ და (მოსალოდნელია, რომ - გ.ც.) ამ ორ (ხალხ)თა შორის დიდი სისხლისღვრა და შეტაკება მოხდება. ამასთან ფშაველები და ხევსურები, როგორც ერთი კაცი საუკეთესო იარაღში სხედან და ხევსურებს აქვთ აგრეთვე თვით ტყვიამფრქვევებიც კი" (იხ. ფ. 45-46). აშკარაა, რომ თიანეთის მაზრის მილიციის უფროსის მოხსენებით ბარათში ჩამოყალიბებული ვითარება უსუსტო და გაზვიადებულია. მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ბანდიტური თავდასხმების და ურთიერთმტრობის გამოვლინების სამარცხვინო და მოუთმენელ შემთხვევებს, ისე როგორც იმდროინდელი და ამდროინდელი რეჟიმების დროს, მართლაც ჰქონდა ადგილი არა მარტო ფშავში, არამედ მეტნაკლებად მთელს საქართველოში, კერძოდ მდინარე არაგვის ხეობის მოსახლეობაშიც.

მსგავსი დანაშაულობების აღმოფხვრა ვერც საქართველოს

თანამედროვე რეჟიმის პირობებში ხერხდება და გასაგებია, რომ ეს იმიტომ ხდება, რომ ადრეც არსებობდა და ახლაც არსებობს ამ მახინჯი მოვლენების სამარცხვინო სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი გარემოება. ისიც ცნობილია, რომ იმდროინდელ საქართველოს მოსახლეობაში ჭარბად იყო დაგროვილი ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომისა და საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდგომ, ეროვნული გვარდიის და დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ნაწილების დაშლის დროს, სოფლად მცხოვრები ყოფილი ჯარისკაცების თუ გვარდიელების მიერ, თან წამოღებული იარაღი. ისიც ცნობილია, რომ სოფლის მოსახლეობას და კერძოდ ხევსურებს იარაღით ჭარბად ამარაგებდნენ ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ექსტრემისტი ლიდერები, რომლებიც უახლოეს ხანში ვარაუდობდნენ საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანას და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის იარაღით აღდგენა-დაცვას. ასეთ დაძაბულ ვითარებაში საქვეყნოდ ცნობილი ფშაველთა საამაყო მგოსნის, ვაჟა-ფშაველას შვილობით და პირადი ადამიანური ღირსებებით ნასაზრდოებ ლევანის ავტორიტეტს ფშავ-ხევსურთა თავაშვებულ წარმომადგენელთა დამორჩილების, და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ამ საკვანძო რეგიონში მშრომელი მოსახლეობისათვის სასურველი სიმშვიდის დამკვიდრებაში, მართლაც, რომ დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო. ამიტომ იყო, რომ ეროვნული ხელისუფლებისათვის სასურველი კანდიდატურა მოარგეს ფშავის მილიციის უფროსობას. ასე შეექმნა ლევანს ოჯახის სარჩენი სახსარი და პირადი კარიერა. მისი პიროვნება, ბუნებრივია, ბოლშევიკებისთვისაც მისაღები აღმოჩნდა. საქართველოს ოკუპაციის პირველ წელს, ვიდრე ჯერ კიდევ საოკუპაციო რეჟიმსა და ეროვნულ ძალებს შორის ერთგვარი ზავი, თუ ლოიალური ურთიერთობა არსებობდა, ადგილობრივ რევკომებსა და აღმასკომებში, თუ მთელ რიგ სხვა სამაზრო და სასოფლო დაწესებულებებში დაბალ პოსტებზე ბევრი ანტიბოლშევიკი მუშაობდა. ამ დროს, არაკომუნისტური პარტიული კუთვნილება, დასამალი ჯერ კიდევ არ იყო. პირიქით, ბოლშევიკების ხელისუფლების სამსახურში ეროვნულ-დემოკრატს მეტი ავტორიტეტი გააჩნდა. აი, როგორ აღმოჩნდა ლევან რაზიკაშვილი ფშავის მილიციის უფროსად ჯერ ეროვნული ხელისუ-

ფლების დროს, შემდეგ კი ბოლშევიკებისას.

თიანეთის მაზრის მილიციის უფროსის მოხსენებაში ერთგვარად ჩამოყალიბებულია ხევსურეთის და ფშაველის მოსახლეობის ერთი ნაწილის მტრული ურთიერთდამოკიდებულების მოგვარების ის აზრიც, რომელიც ფშაველის მოსახლეობის "მოწმობაში" მათი მილიციის უფროსის ლ. რაზიკაშვილის დაპირების სახით აირეკლა. აქ ნათქვამია, რომ საჭიროა "მთავრობის განკარგულებით" გამოიყოს "შერეული კომისია", ამ ორ ტომთა მდგომარეობის გამოსარკვევად და მტრული ურთიერთობის სალიკვიდაციოდ და აგრეთვე მისთვის, რომ ხევსურეთში დამყარდეს ერთგვარი წესრიგი და ამით უკვე კაეშირი ზოგი მხრივ მთავრობასთან". "მოხსენებიდან" ჩანს, რომ პრობლემის მოგვარებისათვის იღვწიან არა მარტო ხევსურეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, არამედ ადგილობრივი ხალხის ამორჩეული პირები. მაშასადამე, აღნიშნული ორი ხალხის ურთიერთობაში არსებული მოუთმენელი მდგომარეობით შეწუხებული ყოფილა ორივე მხარის საზოგადოებრიობის ჯანსაღი წარმომადგენლობა, რომელიც კანონიერების დამყარებისათვის იღვწის. მაშასადამე, ლევანი არამარტო მილიციის უფროსი, კაი ყმა და ვაჟა-ფშაველას ავტორიტეტით გამაგრებული სამართლიანობისთვის მებრძოლი პირია, არამედ ფშავ-ხევსურთა შორის სამწუხაროდ არსებული, უკიდურესად გართულებული პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი უმთავრესი იმედი და მესვეურია. ეს კი, თავისთავად, ძალიან ბევრისმთქმელი და მიმანიშნებელია. მეორე მხრივ, აღნიშნულ დოკუმენტში გამოსჭვივის თიანეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის ს. სურგულაძისა და თბილისიდან ფშაეში მოვლენილი ცენტრის წარმომადგენლის, კერძოდ, სასურსათო კომისარიატის რწმუნებულის, ვინმე რუდოფინოვის კონტრასტული პიროვნება. მათ მოქმედებაში კი ჩანს კერძო უწყებრივი და სახელმწიფოებრივი ანტიხალხური მართვის მეთოდების გამოყენებისადმი სწრაფვა, აგრეთვე მათ მიერ მოსახლეობის შიშველი ადმინისტრირებითა და დაშინებით დამორჩილების მცდელობა. "აგვისტოს 17-ს" ნათქვამია მოხსენებაში, - "თიანეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარემ, ამხ. სურგულაძემ გასცა ბრძანება, რომ სოფ. ნარგალში მოგროვილიყო ყველა თემის მცხოვრები, სადაც მართლა ას კაცამდე მოგროვდა, რომლებსაც გაუკეთა მოხსენება ამხ. სურ-

გულაძემ(მან გ.ც.) აუხსნა ხალხს მიმენტი. განუმარტა ის, რომ მუშათა და გლეხთა საბჭოების ხელისუფლება მტკიცეა და უკვე აქვსი წელიწადია არსებობს... ყველაფითარმა კონტრრევოლუციურმა ძალამ ვერ დაირღვია. შემდეგ მან (შეკრებილ ხალხს გ.ც.) მისცა წინადადება, რომ ისინი ეოფილიყვნენ მთავრობასთან და დაპირდა, რომ ეცდება მიიღოს უკიდურესი ზომები ხეკსურების წინააღმდეგ მათი აღვირახსნილობის ასალაგმავად". როგორც ვხედავთ, ბოლშევიკი ალმასკომის თავმჯდომარე საბჭოთა ხელისუფლების უძლეველობაში დარწმუნებით და ხეკსურების დათრგუნვის დაპირებით ცდილობს ფშაველი გლეხების გულის მოგებას. ამის შემდეგ კი მან შეკრებილებს "აუხსნა გადასახადების აკრეფის უაღრესი მნიშვნელობა მთავრობისათვის, რადგანაც ზოგიერთები წინააღმდეგი იყვნენ გადასახადებისა". კიდევ უფრო უხამსი ლოგიკით შეეცადა ფშაველთა გადასახადებზე დაყოლიების სასურსათო კომისარიატის წარმომადგენელი რუდოფინოვი. "როდესაც ხალხიდან ორმა გადასახადების გადახდაზე უარი განაცხადა და ხალხის წარმომადგენელთა ერთი ნაწილიც აიყოლია, რუდოფინოვმა ხალხს ლანძღვა დაუწყო, გასტენა თოფი და მიუშვირა მათ, რითაც ხალხის საშინელი მღელვარება გამოიწვია"(ფ.45-46).

როგორც ჩანს, ხელისუფლების წარმომადგენლები ფშავის თვინიერი მოსახლეობის დაშინებას არჩევდნენ გადასახადების ამოღების ურთიერთსარგებლიანი, მოსახლეობისთვის მისაღები მეთოდების გამოყენებას. მაგრამ, როგორც ფშავში იტყვიან: "ცხვარი-ცხვარია, მაგრამ რომ გაცხარდება ისიც ცხარეა". ხალხის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გაუთვალისწინებლობამ და რუდოფინოვის მიერ ხალხის შეურაცხყოფამ "გამოიწვია საშინელი მდგომარეობა ხალხში და ჩვენ აუარებელი ენერგია დაგვჭირდა ვიდრე ხალხს დავამშვიდებდით" წერს თიანეთის მილიციის უფროსი. აი აქ, განსაკუთრებით საჭირო იყო ლეგენის ავტორიტეტი. ამას უნდა გულისხმობდეს მის შესახებ "მოწმობაში" გამოხატული ქებანი. აქ გასათვალისწინებელია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებსა და რაიონებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, როგორც წესი, იმსახად ნიშნავდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ხასიათის არგამბეჭ, სხვა რეგიონებიდან გამოსულ ადამიანებს, უპირატესად დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლებს. მაგალითად, საბჭოთა

ხელისუფლების პირველ წლებში, თიანეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს ს. სერგეულაძეს მხარში ედგა სასერსიათო კომისარიატის წარმომადგენელი მოძალადე რედოფინოვი და მილიციის უფროსი შავიშვილი, დუშეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე იყო ხუხუა, ინფორმპუნქტის უფროსი კი სეკაევი. თიანეთის მილიციას სათაოში ედგა ჭურღულია. თელავის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე იყო ცინცაბაძე, პოლიტბიუროს უფროსი მხეიძე, პოლიტსელმძღვანელი ბერძენიშვილი. გარე კახეთის ზონის სართიჭალის ნეკას ინფორმპუნქტის თავმჯდომარე კი თოდუა.

ნიშანდობლივია, რომ დიდი ქართველი მოაზროვნეების, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას და ალექსანდრე ყაზბეგის მშობელი კუთხის ხალხში ვერ პოულობდნენ სამაზრო საბჭოთა ორგანოებში დასაწინაურებელ კადრებს. ეს იყო იმდროინდელი რეჟიმის პოლიტიკა, რომელიც ემყარებოდა მორჩილი და ტლანქი შემსრულებლების დაწინაურებას, ხოლო ადგილობრივი ღირსეული კადრების მიმართ უნდობლობასა და ძალმომრეობას. მაშასადამე ლევან რაზიკაშვილი და ზოგიერთი სხვა ადგილობრივი კადრი იშვიათ გამონაკლისად გვევლინებოდა. ქვემოთ, ლ. რაზიკაშვილის ადამიანური ბედისა და ფშავ-ხევსურების მაგალითზე, დამატებით ვნახავთ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ძალმომრეობით დამოკიდებულებას მოსდევდა კონფლიქტური სიტუაციების გამწვავება და ადამიანური უბედურებები.

ლ. რაზიკაშვილის საქმეს დართულ, პატიმრის მეუღლის, თამარ რაზიკაშვილის 19 ოქტომბრის განცხადებაში "საქმეკას" ხელმძღვანელობის მიმართ, გამოთქმულია ასეთი აზრი: "დამნაშავე რომ იყოს (ლევანი - გ.ც.) თავის ფეხით არ გამოცხადდებოდა თიანეთის საგანგებო კომისიაშიო". იგი ითხოვს "საქმე სანქარიოდ გამოიძიოთ და გაარკვიოთ, რომ ყოველად უდანაშაულო ადამიანი ტყუილად არ დაიტანჯოსო" (ფ.8). ფშავის საზოგადოებასა და მის ადამიანებზე ყოველდღიურ თავდადებულ სრულიაში მეოფე ლევანის მეუღლეს, ალბათ ვერ წარმოედგინა, რომ ხელისუფლებას მისი ქმრისა და მათი მრავალრიცხოვანი ოჯახის და მცირეწლოვანი შვილებისათვის საბედისწერო პრეტენზიები შეიძლებოდა აქონოდა. მაგრამ ხელისუფლების პრეტენზიები თიანეთის აღმასკომის თავმჯდომარეს

ისე ჩამოუყალიბა, მის მაზრაში მოვლენილ რესპუბლიკური მილიციის უფროს, იოვიძეს, რომ საკუთარი თავი გადაურჩინა, ლევანი კი დასაღუპავად გაეწირა.

ლ. რაზიკაშვილის ნეკისტური ძიების საქმეში დევს "თიანეთის მაზრის აღმასკომის ყოფილი (! გ.ც.) თავმჯდომარის სერგო სურგულაძის ჩვენება ლევან რაზიკაშვილის გამო" (6.XI.1922). როგორც "საქმიდან" ირკვევა, იგი იმიტომ შეიქმნა, რომ ქ. ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ წარუმატებელი მოქმედების შემდეგ ხელისუფლებას თიანეთის სამაზრო ხელმძღვანელობის მიმართ სერიოზული პრეტენზიები გაუჩნდა. ეს იქიდან ჩანს, რომ აღმასკომის თავმჯდომარე ს. სურგულაძე თანამდებობიდან დროებით, ანუ საქმის გამოძიებამდე მოუხსნიათ და, როგორც ჩანს მისთვის ჩვენებაც ჩამოურომე�iათ. აქ თავისებურად ეშმაკურად, საკუთარი თავის მართლების აზრით არის მოთხრობილი ამბავი, რომელიც ლ. რაზიკაშვილის დაპატიმრებასა და შემდეგ დახვრეტას უშუალოდ უკავშირდება. საქმე იმაშია, რომ "სახკომსაბჭოს სამეულის 1922 წლის 26 აგვისტოს ბრძანების (№ 247/ს) თანახმად თიანეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის მიმართ ნაბრძანები იყო: რადაც არ უნდა დამჯდარიყო ღამით, 8-ში (ლაფსუსია, უნდა იყოს 28-ში - გ.ც.) გზა გადაეჭრა ხევსურეთისაკენ უკანდახეული ბანდებისათვის". აღმასკომის თავმჯდომარე წერს: "გზის გადაკეტვისათვის 12 ამხანაგის (ანუ მილიციელის გ.ც.) თანხლებით გავემგზავრე ორწყალისაკენ. ს. არტანთან არმისული, ჩემ მიერ ორი მილიციელი იქნა გაგზავნილი რაზიკაშვილთან. თავისი მილიციელებით შუაფხოში უნდა შემხვედროდა. მას წინადადება მივეცი არ წამოსულიყო მდინარე არაგვით, რადგან ბანდიტები არაგვის ხეობით იხეტდნენ და შეიძლებოდა შეყროდნენ. იგი მთებით, შემოვლით უნდა გადმოსულიყო. მან ყურადღება არ მიაქცია ჩემს წინადადებას, არაგვით წამოვიდა და სოფ. ხომისძირში ბანდიტებს გადაეყარა. ჩემს მიერ გაგზავნილი მილიციონერებიდან ერთი მოკლული, მეორე კი განიარაღებული იქნა. თვითონ (ლევანი - გ.ც.) კი ყველა მილიციელითურთ ტყვედ დანებდა. ორწყალში ჩოლოყაშვილის რაზმის მხილველები (მოწმობენ რომ - გ.ც.) ჩვენების (ჯარების - გ.ც.) ხევსურეთში შესვლისას, როცა ბანდები ყველა მხრიდან ალყაში იყვნენ მოქცეულნი ჩოლოყაშვილი გაქრა. შემდეგში (სა-

თანადო - გ.ც.) ცნობებით გაირკვა, რომ რაზიკაშვილმა ერთი მილიციონერით, რომლის გვარი უცნობია და კიდევ ერთით (ს. ჩარგალთან ქ. ჩოლოყაშვილი გააცილა ხევსურეთიდან ჩარგალზე გავლით არტაანის თემზე და იქიდან პანკისის ხევში, სადაც იგი (ქ. ჩოლოყაშვილი) გაქრა. ახსნა-განმარტებას სურგულაძე ხელს აწერს "აღმასკომის დროებითი თავმჯდომარის" სახით (ფ.19).

მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ თიანეთის აღმასკომის თავმჯდომარემ ვერ შეასრულა სახკომსაბჭოს განსაკუთრებული და საგანგებო დავალება, რომლის მიხედვით ეკალებოდა ხევსურეთისკენ დახეული ქ. ჩოლოყაშვილის რაზმისათვის გზის გადაკეტვა, რისთვისაც იგი 6 ოქტომბრამდე თანამდებობიდან გადაუყენებიათ და მისთვის როგორც თანამდებობის დროებითი შემსრულებლისათვის მიზეზების ახსნა-განმარტება მოუთხოვიათ. მის მიმართ პრეტენზიების შემდგომ გამორკვევას უთუოდ სერიოზული სასჯელი უნდა მოჰყოლოდა, რადგან ეს მის მიერ საქმის თავდაუდგმელობა ხელისუფლებას სავსებით შესაძლებლად ესახებოდა და ამასთანავე მისი აზრით ამ შემთხვევაში ბოლო მოეღებოდა ქაქუცას, მის რაზმს, ხევსურეთის აჯანყებას და საეროოდ ქ. ჩოლოყაშვილის მიერ ამის შემდეგ რეჟიმისათვის შექმნილ უამრავ გართულებას. მაგრამ ქაქუცას და მისი რაზმელებისათვის გზის არგადაკეტვის ძირითად მიზეზად აღმასკომის თავმჯდომარე ასახელებს ფშავის მილიციის უფროსის მიერ მისი ბრძანების შეუსრულებლობას, უნიათობას და მოღალატეობას.

როგორც ეხედავთ, აღმასკომის თავმჯდომარე ცდილობს თავად მშრალზე გავიდეს, ლევანს კი მაგრად ასველებს. ლ. რაზიკაშვილის მიმართ ს. სურგულაძის ბრალდებები ამთავითვე უაღრესად მძიმედ გამოიყურება. ამ მიზნით აგენტ-ინფორმატორთა მიერ მოწოდებულ ცნობებსაც იმოწმებს, თუმცა ასეთი ცნობები "საქმეში" არა დევს. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება ვაჟა ფშაველას სიტყვები: "გველი ჭრელია გარეთა, ადამიანი შიგნითა". მაგრამ მათი ბოლომდე გაცნობიერება მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, როცა აღნიშნულ ბრალეულობებს საფუძვლიანად გავიაზრებთ. ამ მიზნით ყურადღებას იპყრობს "საქმეში" დაცული საქართველოს შინსახკომის მილიციის სამმართველოს უფროსის იოვიძის 8 ნოემბრის (№

445) სრულიად საიდუმლო გრიფის მქონე ხასიათის "მიწერილობა" საქართველოს ჩეკასადმი. აქ აღნიშნულია: "ოქტენი 3 ნოემბრის (№ 17756) მოთხოვნის თანახმად გაცნობებთ, რომ ჩემი ხევსურეთში ყოფნის დროს, როცა იქ (აჯანყების მერე - გ.ც.) საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციას ვახდენდი თიანეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარემ (!- გ.ც.) მომახსენა სიტყვიერად, რომ მაღაროსკარის მილიციის უფროსს რაზიკაშვილს კავშირი ჰქონდა ბანდიტ ქ. ჩოლოყაშვილთან და მილიციის ბრძოლის თვალსაზრისით სრული უმოქმედობა, თანაგრძნობაც კი გამოავლინა. საკუთარ თავს უწოდებდა ეროვნულ დემოკრატს. ფშავ-ხევსურეთში ჩვენი ოპერაციების დროს იგი თვითნებურად წავიდა სამსახურიდან. ყოველივე ამის გამო მე განკარგულება გავეცი რაზიკაშვილი დაეპატიმრებინათ და ყველა საბრალდებო მასალებით საქჩეკაში გადაეგზავნათ" (8.XI.22 წ. ფ. 17). მოცემული წერილით კიდევ ერთხელ მტკიცდება ლ. რაზიკაშვილის ბრალეულობის საფუძველიანობა. ისიც დამაჯერებელი ხდება, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიმართ ლევან რაზიკაშვილის თანადგომა ვიღაცა ისეთ პიროვნებას უნდა გაეცა, რომელიც ამ მოვლენების საქმის კურსში თვითმხილველის სახით იმყოფებოდა. ამას დამატებით ადასტურებენ ლევანის დაკითხვის ოქმები. "საქმეში" მოწმეთა ჩვენების, ან ამ უკანასკნელთა ლევანთან დაპირისპირების ოქმები არა დევს. ამის გამო შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ზოგი რამ, ლევანის ბრალეულობათა შორის, შეეძლო ს. სურგულაძეს საკუთარი რეაბილიტაციის მიზნით, ლევანისთვის გადაებრალებინა. არც უამისობა ჩანს, მაგრამ ძიების მასალები და კერძოდ კი ლევანის ჩვენებები ცხადად მოწმობენ, რომ ძირითადი ბრალდებები დასტურდება. ისიც ჩანს, რომ ცალკეული ბრალეულობების მიმართ ლევანი ცდილობს და ზოგჯერ ახერხებს კიდეც ალიბის შექმნას. მაგრამ საერთო ჯამში ლევანის გულწრფელი აღიარებებით მტკიცდება, რომ იგი და მის დაქვემდებარებაში მყოფი რაზმი ქაქუცას რაზმელებს მართლაც უბრძოლველად დანებდა. ეს გარემოება ქმნის ეჭვებს, რომ ლევანმა თავისი რაზმით მოძრაობის მარშრუტი ქაქუცას წინასწარ შეატყობინა. ამის შემდეგ ლევანი ქაქუცამ თან გაიყოლა, როგორც მეგობარი, ორ დღეს თავის ბინაკში ამყოფა, თანამებრძოლებს გააცნო, ხოლო როცა გამოისტუმრა მას ხევსურეთზე მოიერიშე წითე-

ლი ჯარის 'ხერგ'ში დასარტყმელად ფშავის მოსახლეობის ამ-ბოხება დააყალა. ასეთი დაყალების საფუძვლიანობა'ზე ქვე-მოთ გვექნება საუბარი. აქ კი საჭიროა აღინიშნოს, რომ როგორც "საქმის" სათანადო ფურცლებიდან ჩანს, ქაქუცამ ლევანს სა-განგებოდ წარუდგინა ს. ყიფიანი "საქართველოს პოეტი". ჩემი აზრით აქ გამოსჭვეივის არა ს. ყიფიანის განსაკუთრებული პოეტური ნიჭიერების ხაზგასმა, არამედ ის, რომ სარედაქციო მუშაობით იგი უაღრესად ახლოს იცნობდა ლევანის მამასა და მართლაც დიდ "საქართველოს პოეტს", რომელთანაც მას 1906 წელს გაზეთი "გლეხის" ფურცლებ'ზე უხდებოდა თანამშრომ-ლობა. მაშასადამე ქაქუცამ ს.ყიფიანსა და თავის რაზმელებს გააცნო თავისი გიმნაზიის დროიდან მოკიდებული მეგობარი, ეროვნულ დემოკრატი კაი ყმა და დიდი ვაჟა-ფშაველას ღირ-სეული შვილი. გარდა ამისა ცხადია, რომ ხელისუფლების ჯარების მიერ ალყა შემორტყმული ხევსურეთიდან სამ თან-ამებრძოლთან ერთად გამოსყდომილი ქ. ნოლოყაშვილი ლევან-მა ნარგალ'ზე გაელვით პანკისის ხეობაზე მართლაც გააცილა, მაშინ როცა მას სამსახურებრივად ეკალებოდა მეამბოხე ქაქუ-ცას, აგრეთვე ხევსურეთის აჯანყების წამქეზებლის დატყვევე-ბა ან მოსპობა.

ჩვენი, ამ ზემოთ აღნიშნული, მსჯელობის გასამაგრებლად და მკითხველისათვის საინტერესო დამატებითი ფაქტების გაცნობის მიზნით საჭიროდ გვესახება ლ. რაზიკაშვილის დაკითხვის ოქმი-დან რამდენიმე მნიშვნელოვანი მდგომარეობების წარმოჩენა.

ლ. რაზიკაშვილის "საქმეში" ჩართული მასალების მიხედ-ვით, პატიმრის დაკითხვის პირველი ოქმი 23 ნოემბრით თარ-იღდება. ეს უკვე ის დროა, როცა ხევსურეთის აჯანყება კარგა ხნის დამთავრებული, ბევრი მისი აქტიური მონაწილე დაპატიმ-რებული და დაკითხული, ამის შემდეგ კი მოსპობილია. ასე, რომ ჩვენს ფშავ-ხევსურეთში აგვისტო-სექტემბრის ამბოხების შესახებ უკვე საკმაოდ ფართო მოცულობის ინფორმაცია მოვ-პოვება. შესაბამისად მას შეუძლია ერთი მხრივ ლ. რაზიკაშვი-ლის მიმართ წაყენებული დანაშაულობების შედარებით ზუს-ტი შეფასება, ხოლო მეორე მხრივ მისი შესაბამისად ზუსტი კვალიფიცირება. შესაძლოა რომ ამისთვისაც ჭიანურდებოდა ლევანის დაკითხვა.

ლ. რაზიკაშვილის ბრალდებათა გამო ძიებას აწარმოებდა

კვალიფიცირება. შესაძლოა რომ ამისთვისაც ჭიანურდებოდა ლევანის დაკითხვა.

ლ. რაზიკაშვილის ბრალდებათა გამო ძიებას აწარმოებდა "საქართველოს ნეკას ბანდიტიზმთან ბრძოლის განყოფილების რწმუნებული" ხოჯევანოვი. 23 ნოემბრის ოქმიდან ჩანს, რომ ძიებას აინტერესებს: ბრალდებულმა რატომ არ შეასრულა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის ბრძანება, რატომ გაემართა თავისი რაზმით ს. შუაფხოსაკენ მდინარით და არა შემოვლით? მოცემულ კითხვაზე ლევანი პასუხობს: "წერილში ნათქვამი იყო ჩოლოყაშვილი იხევს, არ იყო ნათქვამი, სად უნდა შეეერთებოდი". შესაბამისმა კითხვამ მოითხოვა განმარტება: "სად არის წერილი?" პასუხი მოკლეა: "ფშავის რაიმილიციაში". "საქმიდან" არა სჩანს ძიების დაინტერესება იმით, თუ რამდენად სწორია ს. სურგულაძის ჩვენება. არ ჩანს ამ წერილის მოძიება ან მისი ტექსტის მოწმის საშუალებით დადასტურება. აგრეთვე არა ჩანს ბრალმდებელისა და ბრალდებულის პროცესუალური დაპირისპირება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ გამომძიებლისთვის საქართველოს მილიციის უფროსის ოფიციისა და თიანეთის სამაზრო აღმასკომის ყოფილი, ამჟამად კი დროებითი თავმჯდომარის არგუმენტები არ ექვემდებარება კრიტიკულ დამოკიდებულებას. სამაგიეროდ გამომძიებელი დაინტერესდა მისთვის იმ მომგებიანი პასუხით, რომ ლევანმა დაწერა მართლა გავაცილეო ქაქუცა ხევსურეთიდან ჩარგალზე გავლით, ვიდრე არტანისა და თიანეთის ხევამდე (ფ. 22) და სხვა.

ლ. რაზიკაშვილის პასუხებიდან ჩანს, რომ მას მეორე წერილიც მიუღია. ამით მაღარიოსკარის აღმასკომის თავმჯდომარეს ევალებოდა შუაფხოდან თიანეთში მიესვენებინა მოკლული მილიციელის გვამი. ეს ამოცანა ლევანს თავისი შუაფხოში მყოფი თანაშემწისათვის დაუვალებია იმ წერილით, რომელიც თავის დაქვემდებარებაში მყოფ მილიციელს გაატანა. მართლაც საქმეში დევს ლევანის ასეთი მოწერილობა (ფ.44). მაგრამ როგორც ლევანი განმარტავს მილიციელმა წერილი ადრესატს ვერ გადასცა იმის გამო, რომ იგი ორწყალში დააპატიმრეს მეამბოხე ხევსურებმა, ხოლო როცა გაანთავისუფლეს უკან დააბრუნეს. ლევანი წერს, რომ ამის გამო დავალების შესასრულებლად თავად ჩასულა ს. ხომში სადაც გადაერია ქ. ჩოლოყაშვილს თავის სამ ამხანაგთან ერთად. მათ კი გამიყოლიესო

ხოჯ. ჩარგალამდე, ხოლო მატანსა და პანკისის ხეობაში არა ვყოფილვარო. ლევანი სათანადო კითხვის პასუხად აღიარებს, რომ ქ. ხილოყაშვილს მისთვის დაუვალებია ფშაველების მომზადება იმ მიზნით, რომ როცა ჯარები ხევსურების დაშოშმინებას შეუდგებოდნენ ფშაველები ჯარის სურგში აჯანყებულიყვნენ. ლევანმა უჩვენა: "თვითონ კი ამბობდა, რომ მიეშურებოდა კახეთშიო". (ფ. 23). ამ საფუძველზე ხოჯევანოვმა უკვე 25 ნოემბერს შეადგინა ლევანის საქმის გამო "დასკვნითი დადგენილება" (ფ. 35), იგი არ დაინტერესდა წერილის წამღების დაკითხვით და სხვა.

მაგრამ ჯერ მიფიქვეთ ძიებას, რომელიც მას ამის შემდეგაც გაუგრძელებია. ლევანის დაკითხვა ხოჯევანოვმა 2 დეკემბერს გააგრძელა. ამჟამად მას აინტერესებს როგორ შეხვდა იგი ქაქუცას და რა ურთიერთობები ჰქონდა მასთან.

ლევანის პასუხი საკმაოდ ერცელია. აქ განსაკუთრებით საყურადღებო ჩვენი აზრით ის არის, რომ ივლისის თვეში, იმ დროს როცა ჩარგალში თავდასხმები ხდებოდა მასთან კანცელარიაში მისულა ჯანგირა იანვარაშვილი, რომელსაც ქაქუცასაგან წერილი მიუტანია. ქაქუცა იტყობინებოდა, რომ ჩამოსული იყო მაღარისკარში რაზმით, მას დაბა თავის განკარგულებაში აღებულად ქონდა გამოცხადებული და ლევანისაგან თავისთან გამოცხადებას მოითხოვდა. ლევანი ცდილობს თავი იმართლოს საქმის ვითარებას ისე წარმოაჩენს, თითქოს იმჟამად მილიციელთა საკმაო ძალები კი არა არამედ სულ რაღაც ორიოდე კაცი ჰყავდა, ამიტომ მოწინააღმდეგის ძალთა დასაზვერად ჯერ გავაგზავნე ჩემი უმცროსი ძმაო. ის სანამ დაბრუნდა ს. სურგულაძის წერილიც მივიღე და ბრძანების შესრულების მი'ხნით რა'ხმთან ერთად არაგვის ნაპირებს აუყვეთო, რომ მას ორწყალში ან შუაფხღ'ში შევერთებოდიო, მაგრამ მე-9 კილომეტრ'ზე (სხვა მონაცემებით, მე-16 კილომეტრ'ზე) ხომისძირის დუქნის ნანგრევებთან 'შესასვენებლად შენერებულების ხილოყაშვილის რა'ხმელებმა ალყა შემოგვარტყეს და დაგვატუსაღესო. ქ. ხილოყაშვილს ს. სურგულაძის რა'ხმის დევნის გამო უკან დახვა გაუგრძელებია, ლევანიც თან გაუყოლებია და იქ ორ თუ სამ დღეს თავისთან დაუტოვებია. ამ დროს ე.ი. 29-30 აგვისტოს, ქ. ხილოყაშვილთან ჩამოსულა მის მხარე'ზე გადასული ადრე ხევსურეთის რაიონული მილიციის უფროსის რა'ხმი, რომელსაც იგი ვერონაში მიუწვევია. ხევსურებს

ქალაქისათვის იმის ცნობაც გადაეცითათ, რომ ს. სურგულაძე 12 კაცით შეიყრხოში იმყოფებოდა. ქალაქის მათ წინააღმდეგ 8 კაცი გაუგზავნია და მოწინააღმდეგის 9 თუ 10 მილიციელი დაუპატიმრებიათ. ლევანი წერს, რომ ორი დღის გასვლის შემდეგ ქალაქის მისთვის ხევსურეთში წასვლა შეუთვლია. "ამისთვის ერთი დღით გამანთავისუფლა, მაგრამ მე მასთან არ დავბრუნდი და მხოლოდ 10 დღის მერე შევხვდი მას ხიფ. ხიმშიი" (ყ. 26). ლევანმა უნდოდა, რომ ამჯერად ისინი ითხნი იყვნენ. "ეკითხე სადაა მისი ამხანაგები. მან მიპასუხა, რომ სიკი ხილოყაშვილი (ქალაქის ძმა - გ.ვ.) გაგზავნა (კახეთში) პანკისის ხეკში, ხოლო მეორე პარტია (ალ. სულხანიშვილი - გ.ვ.) დარიალის ხეობაში. შემდეგ ხილოყაშვილი ხიმიდან გაეცალე ჩარგალამდე. ჩარგალისთავის ტყეში შევხვდი დიაკვანს, რომელიც თავის თავს ასახელებდა ხელაშვილ მიხეილად. იგი იყო სიფ. ხიმში ხილოყაშვილთან ერთად და ქალაქამ ჯანგირა იანვარაშვილთან გააგზავნა, რადგან მისი სახლი ახლო იმყოფება ხიმიდანი. ხილოყაშვილი პესიმისტურ განწყობილებაზე იყო. მე თიანეთში დამტოვა, ყშაგში აჯანყების მოსაწყობად თვითონ კი დასახელებულ ნაცნობთან ერთად განაგრძო გზა. ამის შემდეგ მე წავედი ხილოყაშვილის ასაყვანადი (ყ.26/2).

როგორც მოხმობილიდან ჩანს ლევანი იძულებული გამხდარა საკუთარი თავი გაეცა. ამ ერთი შეხედვით უწყინარ თხრობას თუ ნეკას ინფორმირებულობის მხრიდან შევხედავთ, დავინახავთ, რომ ლევანის დანაშაული იმეამინდელი ვითარებისა და საბჭოთა კანონმდებლობის გათვალისწინებით უადრესად მძიმეა. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ლევანი საკუთარ თავს ფაქტობრივად ანტისაბჭოთა შეამბოხე ძალების თანამოსაწილედ ასახელებს. ან კი რისი დამალვა შეიძლებოდა, როცა მისი ამბავი ნეკას ინფორმატორების გარდა მთელმა არაგვის ხეობამ იცოდა. ამას გარდა, ამ დროისათვის დაპატიმრებულთა შორის ბევრი იყო ისეთი, რომელიც ნეკას ძიებას, სურვილის შემთხვევაში, დაპირისპირებისა თუ პირსაწყენებისთვისაც შეეძლო გამოეყენებინა. როგორც ჩანს, ლევანი ცდილობს შექმნას სრული გულახდილობის შთაბეჭდილება. ისიც ჩანს, რომ ძიებამ მის საწინააღმდეგოდ გამოიყენა დიდი მამის, ვაჟა-ყშაველას ავტორიტეტი. გამოძიებელმა ლევანის გული მოუქცია და ბრალდების შემცირების თუ შეწყალების გარე-

მოებათა წარმოჩენის შესაძლებლობის შთაბეჭდილების შექმნით საბჭოსწერო ბრალეულობათა საფუძველის შემქმნელი სიმართლეც გამოსძალა. ან კი, რისი დამალვა შეიძლებოდა? დაკითხვის ოქმის ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ ადგილი არა ჰქონდა ძალადობას. ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს ხოლმე გამოძიებლის მიერ მწვავე და ეხერხული კითხვების განმეორებას, ჯიუტ შეპასუხებას. მაგალითად, სხვათა საქმეებში ზოგჯერ ისეთი შემთხვევები გვხვდება, როცა გამოძიებელი ოქმში აღნიშნავს: "თქვენ მართალს არ ამბობთ", "გირჩევთ სრული სიმართლე სთქვათ", "სიმართლის თქმის შემთხვევაში სასჯელი შეგიმსუბუქდებათ", "ნუ ცდილობთ ძიების შეცდომაში შეყვანას" და სხვ. ოქმებიდან კარგად ჩანს ხოლმე აგრეთვე პატიმრის მიმართ რეპრესიების გამოყენება. ამის მაგალითია, როცა ჩვენების მიმცემი ითხოვს: "მომეცით შესვენების საშუალება", "გთხოვთ, მომეცეთ გახსენების საშუალება". სხვათა ოქმებიდან ისიც ჩანს, რომ კითხვა-პასუხი უადგილოდ და მოულოდნელად წყდება, რაც იმას მეტყველებს, რომ პატიმარმა ვერ გაუძლო დაკითხვის პროცესს, ანუ რეპრესიებს. მსგავსი შემთხვევები ლ. რაზიკაშვილის საქმეში არა ჩანს. მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ პატიმრობის პერიოდში ლევანს შეუქმნეს დანდობის შთაბეჭდილება. ასეთი იმედი მისთვის გამომძიებელსაც შეეძლო მიეცა და ამასთანავე საკანში მისმყოლი პატიმრის საშუალებითაც შეეძლოთ მისი დაიმედება.

ძიებაში მყოფი ლევან ლეკას ძე რაზიკაშვილი რომ წერდა: "თიანეთში დამტოვა, ყუშავში აჯანყების მოსაწყობად", მაგრამ არ შემისრულებია, რადგან პირველი შეხვედრიდან "ათი დღის მერე შეკხვდი სოფ. ხიმში" და ამის "მერე მე წავედი მის ასაყვანადო" (ფ. 26-26/2). ამას უკვე ყურადღების აღარავინ აქცევდა, რადგან ჩეკას საერთოდ ხევსურეთის აჯანყებისა და მასში მონაწილე ქ. ნოლოყაშვილის თანამებრძოლთა თუ მათ ხელისშემწყობთა შესახებ საკუთარი, მეხთალი აზრი გაანძრა. ეს აზრი დაფიქსირებულია დასკვნით დადგენილებაში "დამოუკიდებლობის კომიტეტთან არსებული გაერთიანებული სამხედრო ცენტრის შესახებ". მასში ნათქვამია: "მენშევიკების და ერეკლეულ-დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციები, სამხედრო ცენტრის შექმნის მიუხედავად თითოეული საკუთარი ცეკის დირექტივებით მოქმედებდა" (სუკის არქივი № 28139, ფ. 104). "ნოლოყაშვი-

დია იმიტომ, რომ ჩოლოყაშვილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირმშოა). პარტიებმა ვერ შესძლეს ჩოლოყაშვილის დასახმარებლად ძალთა მობილიზება. დუშეთის ოპერაცია მთავრდება. ჩოლოყაშვილი დაუსჯელად მიდის (წითელი ჯარის - გ.ც.) კავალერიის არასწორი დაჯგუფების გამო" (ფ. 103-104). "შემდეგ კი ხევსურეთიდან პანკისზე გავლით მიდის ალავერდში. მაგრამ ჩოლოყაშვილმა უკვე ვერ შეძლო ადგილობრივი მოსახლეობის გამოყენება, რომელსაც იმედოვნებდა" (ფ. 106). მაშასადამე ჩეკას ასრით ფშავის მოსახლეობის ზურგში აჯანყება გამორიცხა არა ლ. რაზიკაშვილმა, არამედ ხევსურეთში წითელი ჯარების წარმატებულმა მოქმედებამ. ეს დასკვნები სიმართლესთან ზუსტ შესაბამისობაში არ იყო. როგორც ქვემოთ ვნახავთ "სამხედრო ცენტრის" გამო დასკვნით დადგენილებაში ფაქტები ისე იყო შეკოწიწებული, რომ ამ საქმის გამო დაპატიმრებულებისათვის გამოეტანათ სასჯელის უმაღლესი ზომა. მსგავსმა წინასწარმა კონცეფციამ ლევანსაც გაუსარდა ბრალეულობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილის საქმის გამო საქართველოს ჩეკას ბანდიტიზმთან ბრძოლის განყოფილების რწმუნებულმა ხოჯევანოვმა უკვე 1922 წლის 25 ნოემბრის თარიღით მოამზადა "დასკვნითი დადგენილება" ბანდიტიზმის ბრალდებით. ამ "დასკვნით დადგენილებაში" ნათქვამია:

"... საშუალო განათლებით, სკოლის მერხიდან სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი. მენშევიკების დროს მაღაროსკარის საზოგადოების კომისარი, გასაბჭოების მერე ფშაველის მილიციის უფროსი. დაპატიმრებული და საქართველოს ჩეკაში გადაგზავნილი იქნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილის იოვიძის განკარგულებით. სახკომსაბჭოს სამეულის 1922 წლის 26 აგვისტოს ბრძანებით № 247/ს (საიდუმლო

გ.ც.) თიანეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე სერგო სურგულაძე 12 ამხანაგით გავიდა სოფ. ორწყალში. ნაბრძანები იყო რადაც არ უნდა დამჯდარიყო გზა გადაეღობა ხევსურეთისკენ დახეული ჩოლოყაშვილის ბანდებისათვის. სოფ. არტანთან არმისული სურგულაძემ ორი მილიციელი გააგზავნა ფშავის მილიციის უფროს რაზიკაშვილთან, რომ თავისი მილიციელებით შეხვედროდა მას სოფ. შუაფხოში. წერილში მი-

თითებული იყო: "ჩოლოყაშვილი იხევს მდინარე არაგვით და შეიძლება გადაეყაროთ, ამიტომ სურგულაძე მიუთითებდა შემოსავლელ გზას. ამის მიუხედავად რაზიკაშვილი არაგვით გაემგზავრა მილიციელებთან ერთად. გადაეყარნენ ჩოლოყაველებს, სროლის დროს მოკვდა ერთი მილიციელი, დანარჩენით დანებდა და დარჩა რაზმში რამდენიმე დღეს, მერე გამოუშვეს. ჩოლოყაშვილმა მისცა დავალება მოემზადებინა ფშაველები და როცა წითელი ჯარები გაიელიდნენ ხევსურეთისაკენ მათთვის დაერტყა ზურგში. მილიციელები ბედის ანაბარა დატოვა ბანაკში, დაბრუნდა თავის რაიონში. ამ დროს ამჰ. ამჰ. აღნიაშვილის და დიდებულიძისაგან (წითელი ჯარის სარდლებისაგან - გ.ც.) მიიღო წერილობითი მიმართვა გამოცხადებულიყო მათთან და გაეცნო ჩოლოყაშვილის ბანდის მდგომარეობა, მაგრამ არ შეასრულა იმ მოტივით, რომ იგი მოსახლეობამ, რომელიც წითელ ჯარს და მის მეთაურებს მტრულად უყურებდა არ გაუშვა. ბანდიდან წასვლის შემდეგ დარჩა რა თავის რაიონში 14 დღის განმავლობაში, საჭიროდ არ ჩასთვალა ცენტრის ინფორმირება მისი რწმუნების რაიონის მდგომარეობის შესახებ. რაზიკაშვილმა მიიღო სურგულაძის მითითება გლეხებს დახმარებოდა მოკლული მილიციელის გადმოსვენებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისგებაში იქნებოდა მიცემული და თითქოს ამ საქმის გამო წავიდა სოფ. ხომში, სადაც შეხვდა ქ. ჩოლოყაშვილს, ბანდის სამ წევრთან ერთად. ჩოლოყაშვილმა მას მიმართა საყვედურით, რატომ არ შეასრულე მოცემული დავალება და შემდეგ რაზიკაშვილი თავისთან გაიყოლა. რაზიკაშვილმა კარგად იცოდა ბანდის რაოდენობა და ჩოლოყაშვილი 3 წევრით ნახა. აგრეთვე იცოდა ჩოლოყაშვილი ხევსურეთში ალყაში რომ იყო მოქცეული, მაგრამ ხელი შეუწყო, რომ მისი მშობლიური სოფლის ჩარგალის გაელით გადასულიყო არტაანის თემის სოფ. სოფლიონსკ და იქიდან გააცილა პანკისის ხევში, სადაც ჩოლოყაშვილი მიიმალა. ჩოლოყაშვილთან განშორებისას, რაზიკაშვილის თქმით, მას დაეკალა მოემზადებინა ფშავის მოსახლეობა (ახალი - გ.ც.) აჯანყებისათვის რამეთუ რაზიკაშვილი შვილია ფშაველის მწერლისა და დიდი გავლენით სარგებლობს მოსახლეობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბრალდება: 1. ბანდიტიზმში თანამონაწილეობა; 2. თვითნებური მიტოვება სამსახურისა

ით სარგებლობს მოსახლეობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბრალდება: 1. ბანდიტიზმში თანამონაწილეობა; 2. თვითნებური მიტოვება სამსახურისა ჩაითვალოს დამტკიცებულად, რამეთუ თავადაც არ უარყოფს და თავს თვლის ნოლოყაშვილის ბანდის აქტიურ წევრად (? გ.ვ.), რომ მან გააცილა ქალაქცა პანკისის ხეკში, რისი წყალობითაც მან შეძლო მიმალვა მართლმსაჯულებისაგან. სურვილის შემთხვევაში მას შეეძლო თავის მოლიცეიონერებთან ერთად მოეკლა ან აეყვანა ტყვედ რამდენადაც დევნილები იყვნენ ოთხნი (ვენს ხელთ არსებული მონაცემებით, მათ შორის ერთი იყო ს.ეიფიანი გ.ვ.) და რომ თვითნებურად დატოვა სამსახური.

რაზიკაშვილმა ზემოხსენებულში თავი დამნაშავედ აღიარა იმ მოტივით, რომ ეს მოქმედებები არის მისი მშიშარობის შედეგი.

მხედველობაში ვიღებ, რომ რაზიკაშვილი ლევან ლუკას ძე სასკოლო ასაკიდან იყო სოციალისტ-ყველერალისტური პარტიის წევრი და შეგნებულად უწყობდა ხელს ნოლიტბანდიტ ნოლოყაშვილს, ამასთანავე იგი სარგებლობდა გავლენით ყაშაველებში,. შეგნებულად არღვევდა საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტსა და პრესტიჟს, რაც ჩანს მისივე მოქმედებიდან. რომ არ გაეცილებინა ნოლოყაშვილი პანკისის ხეობაში ოპერაცია შეიძლება დამთავრებულიყო და ბანდა ამჟამად ლიკვიდირებული ყოფილიყო. ამიტომ რაზიკაშვილი ლევან ლუკას ძე, 35 წლის, როგორც მშრომელი ხალხისა და პროლეტარიატის თავგამოდებული მტერი სიკვდილამდე დარჩება გამოუსწორებელი, რასაც ამტკიცებს მისივე მოქმედება, როგორც ნოლოყაშვილის ბანდის აქტიური წევრი შეიპარა საბჭოთა მუშაკებს შორის ნოლოყაშვილის მიერ მიცემული დავალებების ცხოვრებაში გასატარებლად - მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა. საქმე დამთავრდეს და ჩაბარდეს არქივს. პატიმარი იმყოფება გამასწორებელ სახლში" (ფ. 35-35/2).

მოყვანილ "დასკვნით" დადგენილებას გარდა რწმუნებულის მოადგილის (ანუ ხოჯევანოვისა), მოითხოვებული აქვს: "თანახმა ვარ. ბან (ანუ ბანდიტიზმთან ბრძოლის განყოფილების გ.ვ.) უფროსი; კამტკიცებ საიდუმლო ოპერატიული განყოფილების უფროსი; საქართველოს ნკვდ უფროსი" (ფ. 35/2). "დასკვნითი დადგენილება" არც ერთი აღნიშნული თანამდებობის პირის

ხელმოწერა არა აქვს. მაგრამ ეს იმით უნდა აიხსნას, რომ დოკუმენტის პირველი პირი "საქმეში არ ინახება" და როგორც ჩანს იგი ხოჯევანოვმა ხელმოწერით 'ხემდგომ ინსტანციას, ანუ საქართველოს ჩეკას კოლეგიას გადასცა. ისიც ირკვევა, რომ მის უფროსებს, თავის მხრივ ამ მიმე დასკვნის გამო, თავი არ 'შეუკავებიათ. არამედ როგორც ჩანს მათ ხოჯევანოვს გამოუცხადეს სოლიდარობა. აქ გასაკვირი არაფერია. ხელმძღვანელობა ძიებას თავად მართავდა და მის გაფორმებასაც წესისამებრ თვალს ადევნებდა. "საქმეში" დევს დოკუმენტი ანუ "საქართველოს ჩეკას კოლეგიის 1922 წლის 3-5 დეკემბრის დადგენილების ამონაწერი: 13. საქმე № 2315 ლ.ლ. რა'ხიკაშვილისა ბანდიტი'ზმის ბრალდების გამო დაისაჯოს დახვრეტით" (ფ. 36).

ისე არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს სასჯელის უმაღლესი 'ხომის შეფარდებაში ხოჯევანოვის როლი განსაკუთრებულია. არა! მისი ა'ხრი ჩეკას და ხელისუფლების ა'ხრია. როგორც ვხედავთ, ვაჟაფშაველას შვილობამ, ფშაველების 'შეამდგომლობამ და ლევანის გულწრფელობამ ჩეკას წინაშე სამსახური ვერ გასწია. ჩეკას მიერ ჩამოყალიბებულ დასკვნით დოკუმენტში თავი მოუყარეს მხოლოდ მიმე ბრალდების შემცველ ფაქტებს, რომლითაც მყარი საფუძველი შეუქმნეს ლ. რა'ხიკაშვილის დახვრეტას და გვერდი აუარეს შემამსუბუქებელ გარემოებებს. მაგალითად იმას, რომ ლევანმა ფშაველები არ ააჯანყა და სხვ.

III. ქართველი მწერლების შუამდგომლობა, 1922 წლის 7 დეკემბრის დასკვნა, ლევან რაზიკაშვილის დახვრეტის ჩეკისტიური გაჭიანურება

"ავსა და კარგსა კაცისას
როდი იეიწყების სოფელი"
ვაჟა-ფშაველა

ამის შემდეგ ლევან რაზიკაშვილი დიდი ხნის მანძილზე არ დაუხვრეტიათ და მისი საქმის გამო გამოძიებაც კვლავ დეკემბრის განმავლობაში გრძელდებოდა. ამასთან დაკავშირებით შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ლევანის დახვრეტა იმ მწერალთა შუამდგომლობამ შეაჩერა, რომელთა თავგამოდების შესახებ ამბავი დღემდე შემორჩა საზოგადოების მეხსიერებას. მაგრამ სინამდვილეში ეს არ დასტურდება.

ლ. რაზიკაშვილის საქმეში დართულია 7 დეკემბრის სპეციალური "დადგენილება", იგი ხოჯევანოვს შეუდგენია. დამტკიცებულია საქართველოს ჩეკას: ბანდიტიზმთან ბრძოლის განყოფილების გამგის, ვ. ხუმარიოვის თანხმობით, საიდუმლო ოპერატიული ნაწილის უფროსის ლ. ბერიას და ჩეკას თავმჯდომარის ე. კვანტალიანის მიერ. აქ ყურადღებას იპყრობს ის, რომ ზემოთ დასახელებულთა ხელმოწერებისგან განსხვავებულად, სხვა ფერის მელნით, აღნიშნულია ბერიას შემდეგი წარწერა: "დროებით შეჩერდეს გამორკვევამდე". ფორმალურად ისე ჩანს, თითქოს ლევანის დახვრეტამდე შემუშავებულა აზრი: მისი მეშვეობით გამოერკვიათ ვინაობა "ბანდიტი ხოლოფაშვილის ბანდის სხვა აქტიური წევრების და თანამონაწილეებისა, იმისათვის, რომ ისინი შემდგომში ამ ჩვენების საფუძველზე მიეცენ პასუხისგებაში". ამასთან დაკავშირებით ხოჯევანოვის 7 დე-

კემბრის "დადგენილებაში" ნათქვამია: "საქართველოს ჩეკას ბანდიტიზმთან ბრძოლის განეოფილების რწმენებულმა ხოჯევანოვმა 1922 წლის დეკემბრის 7 დღესა, განვიხილე რა დაკითხვის დამატებითი ოქმი, ბანდიტიზმში ბრალდებული ლევან ლუკას ძე რახიკაშვილის საქმე, საჭიროდ ვნახე: რომ ჩვენებით დგინდება ჩოლოყაშვილის ბანდის სხვა მონაწილეები, რომლებიც აგრეთვე არიან ჩოლოყაშვილის ბანდის აქტიური წევრები და თანამონაწილეები და ამდენად აუცილებელია ოქმში მითითებულ პირთა პასუხისგებაში მიცემის მიზნით ამოღება, იმად რომ დამტკიცდეს წარდგენილი ბრალდება, საჭიროდ ვთვლი: შეჩერდეს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა ლევან ლუკას ძე რახიკაშვილის მიმართ იმისათვის, რომ მათ მიმართ მიწერილი ბრალდების ფაქტები დაზუსტდეს და პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი (ფ. 27)." არა და, ლევანის ჩვენებებში, როგორც ზემოთ უკვე ვიქონდა საუბარი, მართლაც ნახსენები იყო რამდენიმე პიროვნება. ლევანის ორდღიანი ვიზიტი ქაქუცას რაზმში იმის შესაძლებლობას მართლაც იძლეოდა, რომ ჩეკას დაეზუსტებინა იმ სხვების ვინაობა, რომლებიც ქაქუცას ახლდნენ, მაგრამ ლევანის ადრინდელ ჩვენებებში ინქმალებოდნენ. ამის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს ამ ლაფსუსს ყურადღება მიაქციეს ზემდგომმა, უფრო გამოცდილმა მუშაკებმა (კვანტალიანმა, ბერიამ და სხვამ) და ამიტომ ხოჯევანოვს მოუხდა დაშვებული შეცდომის გამოსწორება.

ლევანი ქაქუცას ბანაკში რომ იმყოფებოდა, რაზმს ბევრი ფამაელი და ხევსური მოკავშირე შემოუერთდა და არაერთი იერიშის მოგერიებაც მოუხდა. სწორედ ამ დროს მოხდა ს. სურგულაძის რაზმის განიარაღება და ის "ლამაზი შერკინება", რომლის შესახებაც უაღრესად საინტერესოდ მოგვითხრო ამ ბრძოლების მონაწილემ, ქაქუცას თანამებრძოლმა, ალექსანდრე სულხანიშვილმა. მან ისიც აგვიწერა, რომ ქაქუცამ და მისმა რაზმელებმა მტრების, მითუმეტეს კომუნისტი მოწინააღმდეგის დანდობა არ იცოდნენ (იხ. "მოგონებები შეყოცულთა რაზმზე", გვ. 50-55). მაშასადამე, მოწინააღმდეგე მხარეებს შორის დაუნდობელი ბრძოლა სწარმოებდა. ამ დროს, როგორც ოგიეე ავტორი აღნიშნავს, იყო ქაქუცას თანამებრძოლია მიერ ტყვე კომუნარების დახვრეტის შემთხვევაც. ასე რომ ჩეკამ, ლევანის გარეშეც ყველაფერი ხელმიწვდენით იცოდა. ამიტომ არ გამ-

ოვრიცხავთ, რომ ლევანის დახვრეტის დაკოვნება, უფრო მოკლენათა განეთარების უკავშირდებოდა, ვიდრე ხოჯევანოვის მიერ დაკითხვის დროს დაშვებულ "შეცდომებს". მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ მოგითხრობთ.

ჩეკისტური სამძებრო საქმიდან ჩანს, რომ ლევანი უკვე გაეცნო მის მიმართ გამოტანილ განაჩენს. ამას მოწმობს მისი ხელით შესრულებული, ფანქრით ნაწერი, 9 დეკემბრის განცხადება საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მიმართ. ამ წერილიდან ჩანს, რომ ლევანი ერთგულად იცავს მამის სწავლებას: "ვაუკაცს არ შვენის ცრემლის ღვრა, ტირილი დიაცურადა..." ეს, ფაქტობრივად არის დარდი, თხოვნა-ანდერძი მამის პოეტური შემოქმედებითი მემკვიდრეობის გამო. ლევანი წერს: "გაზეთებიდან გავიგე, რომ მთავრობას უნდა მამანემის (ვაჟა-ფშაველას) მეორე ტომის გამოცემა. მის სხვადასხვა ჟურნალებსა და გაზეთებში დაბეჭდილ ნაწარმოებებში ბევრი შეცდომაა, რომელთაც თავად მამა ასწორებდა. სამწუხაროდ ესენი არ შემოგვეინახა, მაგრამ არის წერა კითხვის საზოგადოების მიერ ადრე გამოცემული პირველი ტომი, რომელიც პირადად მამას მიერ იქნა ჩასწორებული. შემორჩა დაუმთავებელი და ჯერ არსად დაბეჭდილი "მანდილი".

ზემოაღნიშნულთა გამო გთხოვთ მიმართოთ ბიძანემ ბანანას, რომელიც შესძლებს ფშაური სიტყვების ჩასწორებას და ახსნას. ან ნება აბაშელს დართეთ, რომელსაც დავალებული აქვს კორექტურის და შეცდომების გასწორება, ან მე მომიტანეთ მთელი მასალა და მე თავად გავასწორებ. ასევე საინტერესო იქნებოდა მამის შემორჩენილი ავტოგრაფთა მოთავსება" (ფ. 40). ლევანი იმედს გამოთქვამს, რომ მის განცხადებას მხედველობაში მიიღებენ.

როგორც ჩანს ეროვნული მოძრაობის მონაწილე და თანამდგომმა ქართველმა პატრიოტმა მწერლებმა დიდი ვაჟას პირმშოს და ანტისაბჭოთა აჯანყების მონაწილე ლევანის გადარჩენის მიზნით მრავალმხრივი მოძრაობა წამოიწყეს. ხელისუფლებას ჯერ პრესის საშუალებით მიაწვდინეს ხმა იმის შესახებ, რომ ლევანი შვილი იყო დიდი მგოსნისა, რომელიც საქართველოსათვის პოლიტიკური რეჟიმებისაგან დამოუკიდებელ მუდმივ ღირებულებას წარმოადგენდა. ამის შემდეგ, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის კ.მაყაშვილის და მდივნის

მ.ბოჭორიშვილის 20 დეკემბრის წერილითაც ხომ, საქართველოს ჩეკას კელაე შეახსენეს სრულიად საქართველოს მწერალია კავშირის საბჭო შეშფოთებული იყო საქართველოს სიამაყის, პოეტ ვაჟა-ფშაველას შვილის ბედით და რომ იმედოვნებდნენ საპატიმროდან ჩეკას მიერ მის განთავისუფლებას. ამ ფონზე სავსებით დამაჯერებელია, რომ უფრო ადრე, ლევანის დახვრეტის განაჩენის გამოტანამდე ან დახვრეტამდე, ქართული ეროვნულ-პატრიოტული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლებს ს. ორჯონიკიძისთვისაც მიემართათ და ლევანის განთავისუფლება ეთხოვათ. ჩვენი აზრით, სწორედ ამის გამო ხდება დახვრეტის განაჩენის (3.XII.1922) შეჩერების შემდგომი ჩეკისტური მანიპულირება და ლევანის დახვრეტის დაყოვნება. ვფიქრობთ, რომ საქართველოს ჩეკას ხელმძღვანელები ფრთხილობენ თავისთვის გამოუსწორებელი შეცდომა არ დაეშვან და ამიტომ ქმნიან ლევანის დახვრეტის გაჭიანურების იურიდიულ საფუძველს. ე.ი. ჩეკას ბობოლა მუშაკები ელიან ვიღაცის დასტურს მათ მიერ მიღებული, საზოგადოებისათვის შემაშფოთებელი გადაწყვეტილების გამო.

მაგრამ რაც უნდა დაუჯერებელი იყოს ჩვენი აზრი ქართველი ხალხის საამაყო, დიდი ვაჟა-ფშაველას პირმშოს, ლევან რაზიკაშვილის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის "რკინის" ს. ორჯონიკიძის დონეზე გადაწყვეტა, მაინც შეუძლებელი იქნებოდა. აქ მხოლოდ ხელისუფლების და ჩეკას მიერ ერთი პიროვნებისათვის სიცოცხლის ჩუქების საკითხი არ იდგა. სინამდვილეში მკაფიოდ მოსჩანს, ერთი მხრივ, პრინციპულ პოზიციაზე მდგარი საბჭოთა ხელისუფლების და ჩეკას პოზიცია, ხოლო მეორე მხრივ კი ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლობისა, ვაჟა-ფშაველას შვილისა და ქაქუცა ჩიტაიშვილის თანამოაზრე-მეგობრის გადარჩენას პოლიტიკური თვალსაზრისით ჩეკასთვის ომის მოგების მნიშვნელობა ჰქონდა. სხვა პიროვნების მიმართ დათმობაზე წასვლა ხელისუფლებას გაცილებით უპრობლემოდ შეეძლო. ამის უამრავი მაგალითია ცნობილი. საარქივო მასალებში ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როცა ჩეკაში გამომწყვდეულ, დასახვრეტად განწირულ მებრძოლ მამულიშვილთა გამოსახსნელად იბრძვიან ივანე ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ნუცუბიძე და სხვა. ხელისუფლების მიერ უაღრესად ანგარიშგასაწ-

ევი ეროვნული მოღვაწეები (იხ. სუკის არქივი № 24367, ფ. 30; ლცხსა, ფ. 300, აღ. ს.ს. 113, ფ. 10,24). ისეთი შემთხვევებიც არის ცნობილი, როცა მთელს ანტისაბჭოთა წარმომადგენლობას (ზომიერებს ანუ რადიკალებს) მისცეს საშუალება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე საჯაროთ ეთქვათ უარი (ანუ "დეკლარაციაზე" ხელი მოეწერათ) და ამით პატიმრობიდან განთავისუფლებულიყვნენ. მათ შორის იყო ქაქუცას რაზმელთა შორის მყოფი ქართველი "პოეტი ყიფიანი". სინამდვილეში, ეს იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცეკას მიერ ქაქუცას რაზმში მუდმივი პარტიულ-პოლიტიკური ზემოქმედების მიზნით მივლინებული ის ავტორიტეტული წარმომადგენელი, რომელიც სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში ეროვნული მოძრაობის უფროსი თაობის წარმომადგენლებთან, მათ შორის ვაჟა-ფშაველასთან ერთად აქტიურად თანამშრომლობდა. იგი იყო ლ. რაზიკაშვილის მიერ სიყრმიდანვე თანამგრძნობი საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის უფროსი თაობის ცენტრალური ფედერალური კომიტეტის აღმასრულებელი ბიურის აგრარული სექციის და საბრძოლო განყოფილების წევრი. მას, ადრე, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა უხდებოდა ისეთი თვალსაჩინო მამულიშვილების გვერდით როგორებიც იყვნენ: გიორგი ზდანოვიჩი, სამსონ ფირცხალავა, გიორგი ლასხიშვილი, ალექსანდრე ჯაბადარი, კიტა აბაშიძე, რევაზ ჯაბადარი, ყვილიპე გოგიჩაიშვილი, პეტრე სურგულაძე, კონსტანტინე მაჟაშვილი, ვალერიან გუნია, მიხეილ ჯავახიშვილი ნიკოლოზ თაყდგირიძე, იოსებ ოცხელი და სხვანი (სუკის არქივი 41, ფ. 34, 34/2). უფრო მეტიც, ს. ყიფიანი, როგორც ჩვენს მიერ გამოვლენილ თავის ერთ-ერთ შემდგომ ჩვენებაში აღიარებს, მიხაკო წერეთელთან, პეტრე სურგულაძესთან და მ. ადამაშვილ-ჯავახიშვილთან ერთად, ფედერალისტებს შორის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბების ტენდენციის ერთ-ერთი საოთავის დამდები (სუკის არქივი 23682, ფ. 16/2) და მაშასადამე ილია ჭავჭავაძის პარტიულ-პოლიტიკური ორიენტაციის გამგრძელებელი გახლდათ. იგი, ქაქუცას პარტიზანული რაზმიდან წასვლის შემდეგ, თავს არალეგალურად ბაქოში აფარებდა, ხოლო დაპატიმრების და სხვებთან ერთად "დეკლარაციაზე" ხელმოწერის შემდეგ, პატიმრობიდან განთავისუფლდა. ამის შემდეგ ს. ყიფიანი ბევრი სხვა, ადრე არალეგალუ-

რად მებრძოლის მსგავსად, "მშვიდობიანი" ბრძოლით ეროვნული მოძრაობის კომპრომისულ მიმდინარეობას დაუკავშირდა. ისეთი მაგალითებიც გვხვდება, როცა ხელისუფლებამ, ლევანის მდგომარეობაში მყოფი, მრავალი სხვა პიროვნება შეიწყალა. უფრო მეტიც, თვით ბერიასაც კი, საკუთარი შეხედულებისამებრ, აშკარად დასახვრეტი ადამიანისათვის 5 წლით პატიმრობა უკმარებია (იხ. დ. გელაშვილის მიერ გამოქვეყნებული, ყოფილი ჩეკისტის, ბერიას თანამოსაქმის "კაკოს", შემდეგ (1954 წ.) კი, ღმერთისა და ერის წინაშე ცოდვების მონანიების მიზნით ბერად შემდგარი უშიშროების ყოფილი გენერლის მანუჩარ შელიას მოგონებები, "დილის გაზეთი", 1999, 31 აგვისტო). ამიტომ საფიქრებელია, რომ ვაჟა-ფშაველას შვილის მსჯავრდებისა თუ სიცოცხლის შენარჩუნების საკითხი ხელისუფლებამ უმაღლეს პრინციპულ დონეზე აიყვანა და ამით ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისათვის მწარე გაკვეთილის მიცემა განიზრახა. ქართველი მწერლების, საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლობა და ვაჟა-ფშაველას პირმშოს დახვრეტით ხელისუფლება ანტისაბჭოთა მებრძოლ წარმომადგენლობას მაგალითს აძლევდა და აფრთხილებდა იმის გამო, რომ არავის დაინდობდა. როგორც ვნახავთ, ხელისუფლებამ ლევანის მიმართ საკუთარი პრინციპი დაიცვა. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლევანის დახვრეტის დრო ემთხვევა ქართული ეროვნული მოძრაობისათვის უკიდურესად მძიმე პერიოდს, რომელსაც "დამკომის" წევრმა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცეკის ფაქტობრივმა თავმჯდომარემ, იასონ ჯავახიშვილმა "საგანგაშო დრო" უწოდა.

ვაჟა-ფშაველა ერთ ლექსში ამბობს: "დრო იყო შეუსაბამო, გარემოება ვერანი..." მართლაც არ მოეშალა ჩვენს ხალხს დრო "შეუსაბამო" და "გარემოება ვერანი", მაგრამ 1923 წელი ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის გაგებისათვის მაინც განსაკუთრებით საგანგაშო გამოდგა.

IV. "საგანგაშო" დრო და მუხთალი გადაწყვეტილება, ლევან რაზიკაშვილის დახვრეტა

"არც თქვენ შეგრჩებათ ერთი დრო,
ვინაც ხმა-მაღლა ყივითა"
ვაჟა-ფშაველა

მაინც, რაში მდგომარეობდა ეს "საგანგაშო დრო", რომელსაც ლ. რაზიკაშვილი და მრავალი სხვა, არალეგალურად მებრძოლი მამულიშვილი შეიწირა?!

ამაზე პასუხს გვაძლევს მრავალი წყარო. პირველ ყოვლისა, უთუოდ გასათვალისწინებელია მოცემული პერიოდის ნეკას მუშაკის, ბერიას უახლოესი თანამებრძოლი მეგობრის და მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ერთვნული მოძრაობის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლის, ნეკისტი "კაკოს" მონათხრობი. იგი წერს: "საქართველო ძალას არ იშურებდა განთავისუფლებულიყო თავისი "განმათავისუფლებლებისაგან!" 1921-1922 წლებში ბოლშევიკთა წინააღმდეგ მოეწყო ორი აჯანყება (სვანეთისა და ხევსურეთისა - გ.ც.), რომლებიც სისხლში ჩაახშვეს. მაგრამ ნამდვილი სიმშვიდე არ დამდგარა. კონფლიქტები და მღელვარება პერიოდულად მეორდებოდა. საბჭოთა მთავრობამ სტალინს წინადადება მისცა, გამგზავრებულიყო კავკასიაში და ქართველებისათვის აეხსნა, რომ ისინი ცეცხლს ეთამაშებიან (ეს ქართული ეკლესიის და "ნაციონალური უკლონისტების" ანტიბოლშევიკურ წინააღმდეგობას, საქართველოს სრული სუვერენიტეტის შენარჩუნებისათვის მათ ბრძოლასაც უთუოდ ითვალისწინებდა - გ.ც.).

პარტიული მისიის დასრულების შემდეგ, ქართველმა მეგობრებმა სტალინს დიდებული გაცილება მოეწყვეს. სუფრას ხელმძღვანელობდა ღირსეული თამადა, სტუმრებს ემსახურე-

ბოდა ჭკვიანი მერიქიფე. თამადამ, რომელიც სხვებზე ნაკლებს სვამდა, დასკვნითი სადღეგრძელო ქართულ ენაზე წარმოთქვა:

-საქართველოში სარეველამ იმძლავრა. საქართველო უნდა გადაიხნას!

ასეთი იყო მისი საბოლოო სიტყვები. ძველმა ქართველმა ბოლშევიკებმა: ბუდუ მდივანმა, ფილიპე მახარაძემ, მამია ორახელაშვილმა უსიტყვოდ გადაყლაპეს ღვინოც და სადღეგრძელოც.

მერიქიფემ თამადას უპასუხა: "სარეველასაც აღმოვფხვრით და საქართველოსაც გადავხნავთ!" და სასმისი დაცალა. თამადას საპასუხო სადღეგრძელო მოეწონა.

თამადა სტალინი იყო, ხოლო მერიქიფე ახალგაზრდა ჩეკისტი ლავრენტი ბერია, რომელიც მეორე დღესვე დაინიშნა ჩეკას უფროსის მოადგილედ. ეს მოხდა 1922 წლის მიწურულს" ("დილის გაზეთი", 1999, 6 ივლისი). დიახ, ლ. რაზიკაშვილის დახვრეტის გამო "დადგენილებას" ამტკიცებს საქართველოს ჩეკას ახალი ხელმძღვანელი და ძველი ბოლშევიკი ეპიფანე კვანტალიანი. მას მხარს უმაგრებს ჩეკას საიდუმლო ოპერატიული ნაწილის უფროსი, ბერია (სუკის არქივი № 22905, ფ. 27). ჩანს, რომ ლ. რაზიკაშვილის დახვრეტამდე (15.II.1923) დიდი ხნით ადრე, სტალინისათვის "სარეველას აღმოფხვრის და საქართველოს გადახვნის" პირობის მიმცემი, უკვე კვანტალიანის მოადგილეა. მაშასადამე, ლევანის დახვრეტის განაჩენის გამოტანა და დახვრეტა "ნაციონალ-უკლონისტი" ჩეკისტების, კ. ცინცაძის და კ. ოკუჯავას გადაყენების მერე, იმ დროს ხდება, როცა "საქართველოს გადახვნა" და "სარეველას აღმოფხვრა" მთელი ძალით იწყება.

გასაგებია, რომ საქართველოში მომრაველებულ "სარეველაში" მთელი ანტისაბჭოთა, ანტიბოლშევიკური ფრონტი, უპირველესად კი მეამბოხე პოლიტიკური წარმომადგენლობა, ხოლო "გადასახვნელ" საქართველოში მენშევიკური და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების დაუმორჩილებელი ლიდერების საქართველო იგულისხმებოდა. ლევან რაზიკაშვილის ბრალდების დასკვნით დადგენილებაშიც წინა პლანზეა წამოწეული, რომ მას ბრალი ედებოდა მეამბოხე "ბანდიტიზმში" და, რომ იყო "ეროვნული დემოკრატი", პოეტ ვაჟა-ფშაველას შვილობისა და პირადი თვისებების გამო უაღრესად ავტორიტეტული

და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ გამოუსწორებლად შეურიგებელი (იხ. სუკის არქივი, № 22905, ფ. 35). მაშასადამე, ლევანის პიროვნება, იმპერატორების, ხევისბერების და ბელადების მიერ სამაგალითოდ გაწირულ შვილთა ბედის მაგალითების კონტექსტში ჯდება.

იმის შემდეგ, რაც ლ. რაზიკაშვილს დახერეტის განაჩენი გამოუტანეს, მოვლენები ლ. რაზიკაშვილის სასჯელის აღსრულების და ანტისაბჭოთა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა წარმომადგენლების მოსპობის მიმართებით, უკიდურესად დრამატიულად წარიმართა. ეს იყო ჩეკას ახალი ხელმძღვანელობის იერიშების და ექსტრემისტების საბრძოლო გააფთრების თანხვედრა, რამაც განსაზღვრა მრავალი პატრიოტის ბედისწერა.

ლ. რაზიკაშვილისათვის ხელისუფლების და ჩეკას მიერ სასიკვდილო განაჩენის გამოტანის შემდეგ, მისი დახვრეტის ხანგრძლივი დაყოვნება მართალია იმ მოტივით ხდებოდა, რომ თითქოს აინტერესებდათ მისთვის ცნობილ, ქაქუცას თანამებრძოლთა მიმართ მყარი ბრალდების შექმნა,. მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო. იმის შემდეგ, რაც ეს 7 დეკემბრის გადაწყვეტილება მიიღეს, დამატებითი დაკითხვა ლევანს ორჯერ, 20 და 31 დეკემბერს ჩაუტარეს. ამჯერად, ძირითადად ისევ ძველი ჩვენებების გამეორებასთან გვაქვს საქმე. ამასთანავე, ზოგი ის დეტალიც დამატებით შუქდება, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. ამ დაკითხვის ოქმებში ლევანის დახვრეტის გადადების მოტივაციის პასუხად ხდება მისგან იმ პირთა ამოქაჩვა, რომლებიც მან მაღაროსკარში, ქაქუცას ბანაკში, თავად იხილა. ლევანი ხშირად ცდილობს გვერდი აუაროს პიროვნებების დასახელებას. ჩანს, რომ იგი განსაკუთრებით ერიდება იმ უბრალო, რიგითი მებრძოლების გვარების ჩამოთვლას, რომლებიც მეამბოხეებს ფშაველ და ხევსურ მებრძოლთა სახით შეუერთდნენ. არა და, დუშეთის მიდამოებში ქაქუცას 25-კაციანი ჯგუფი, როგორც აღ. სულხანიშვილი აღნიშნავს, მაღაროსკარში უკვე 65-მდე გაიზარდა. მათ შორის იყვნენ ფშავის და ხევსურეთის წარმომადგენლები, რომლებიც მაღაროსკარის ბრძოლაში და მოწინააღმდეგის 250 მებრძოლის განიარაღებაში იღებდნენ მონაწილეობას. ლევანი მათ შესახებ საეროდ არაფერს ამბობს. მაგრამ კითხვებზე პასუხის პროცესში იძუ-

ლებული ხდება დაასახელოს ჯანგირა იანვარაშვილი, იოსებ ხალხელაური, თადეოზი, სიმონ ყიფიანი, ვინმე ზანდუკელი (ნიკოლოზ - გ.ც.), ქაქუცას ძმა - სიკო, გიორგი მგელაშვილი, იოსებ თურმანაული, თომა ბალიაური, მგელიკა არაბული, ტუნა ჭინჭარაული, მიშა ქერაული, იმედა გოგოჭური და დათვია ლიქოკელი (ფ. 14-15, 29-30). ამ ხალხის ქაქუცას მხარეზე ყოფნა მთელმა ფშავ-ხევსურეთმა ისედაც იცოდა, და ამდენად, ლევანის დასახელებას ჩეკასთვის რაიმე განსაკუთრებული ღირებულება არ ჰქონოდა. ლევანის მიერ ჩამოთვლილთაგან ზოგი ჩეკაში მოხვედრილის საქმის გაცნობა მოგვიხერხდა, მაგალითად, შეეძელით შეგვესწავლა სიმონ ყიფიანის, ნიკოლოზ ზანდუკელის და ფშავ-ხევსურეთის ამბოხებასთან ჩეკას მიერ დაკავშირებული, დამოუკიდებლობის კომიტეტთან არსებული, თითქმის მთელი "სამხედრო ცენტრის" წევრთა სამძებრო საქმეების გაცნობა, მაგრამ მათში, ლ. რაზიკაშვილის ჩვენების გამოყენება, არსად არ შეგვხვედრია.

მაშასადამე ჩანს, რომ ხელისუფლება და ჩეკა ვაჟას შვილისადმი დამოკიდებულების საბოლოოდ განსაზღვრისათვის დროს ჭიმავდა და ვიღაცის წინააღმდეგობას იგერიებდა. ასეთების სახით, ერთ სერიოზულ ძალად, უდაოდ ქართველი პატრიოტული მწერლობა, ქართველი მეცნიერ-პედაგოგები და ის საზოგადო მოღვაწეები იგულისხმებიან, რომლებიც ქმნიდნენ ეროვნული მოძრაობის კომპრომისულ-ლიბერალურ მიმდინარეობას. ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ არა მარტო ვაჟა-ფშაველას შვილის, არამედ სხვადასხვა დროს, მრავალ სხვა ჩეკას პატიმარ თვალსაჩინო მამულიშვილების გამოსახსნელად. მაგრამ, ჩვენი აზრით, მათ მხარს უმაგრებდნენ, აგრეთვე პატრიოტი კომუნისტები, განსაკუთრებით "ნაციონალ-უკლონისტები". ჯერ ერთი, მათი გადაყენება ამის ერთგვარ მაჩვენებლად ვგულისხობ. მეორე - "ნაციონალ უკლონისტების" აზრების ერთგვარი თანხვედრა ეროვნული მოძრაობის ლიდერების მოსაზრებებთან მთელ რიგ საკითხებში უცილო ფაქტია. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება საქართველოს სუვერენულ უფლებათა შენარჩუნებისათვის ბრძოლა. მესამე - სათანადო წყაროები ცხადად მეტყველებენ, რომ პატრიოტი კომუნისტები და არალეგალური მოძრაობის ექსტრემისტი ლიდერებიც კი, ეროვნულ საკითხში, ხშირად ალიანსში იმყოფებიან.

ეროვნულ მოძრაობასთან პატრიოტი კომუნისტების კავშირის საკითხი ისტორიკოსების მიერ დღესაც შეუსწავლელი რჩება და ამდენად უაღრესად საყურადღებო, დამოუკიდებელ, რთულ საკვლევ საკითხს წარმოადგენს. მაგრამ იგი ისტორიის მრავალ წყაროში ირეკლება და ამდენად ჩვენთვის მისი რეალობა ეჭვგარეშეა. ჯერ კიდევ ადრე, არქივების საუკეთესო მცოდნემ, პროფესორმა იური კაჭარავამ სწორად აღნიშნა, რომ "ნაციონალ-უკლონისტები ეწინააღმდეგებოდნენ ანტისაბჭოთა პარტიების წინააღმდეგ რეპრესიული ზომების მიღებას "და შეიმუშავეს მათი "მშვიდობიანი დაძლევისა და გადამუშავების" ტაქტიკა" (იხ. "საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. 7, გვ. 193). ჩვენ ამის მრავალი მაგალითი მოგვეპოვება. ჩვენთვის ცნობილი ჩეკისტური ინფორმაციიდან ჩანს, რომ კ. ოკუჯავას მეშვეობით მოხდა ხევსურეთის აჯანყების დასახმარებლად მენშევიკების მიერ ლაშქარაშვილთან მივლინებული "ბოევიკების" (ს. ბაგრატიონ-მუხრანსკის და სხვათა) შემორიგება. შალვა მაღლაკელიძის მოგონებებიდან ჩანს, რომ კ. ოკუჯავამ, დეპორტაციის წინ, თავის კაბინეტში მიიწვია პოლიტიკური პატიმარი, თბილისის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი შალვა მაღლაკელიძე და შესთავაზა, როცა პარიზში ჩავიდოდა ნ. ყორდანიასათვის გადაეცა, რომ ქვეყანამ იცოდა "პარიტეტული კომიტეტის" ადგილსამყოფელი მოსკოვის ქუჩასე და ასეთ ვითარებაში როგორ შეიძლება აჯანყება, ხომ დაიღუპა ხალხიო. არსებობს აგენტურული წყარო, რომელიც ამბობს, რომ ქ. ჩოლოყაშვილმა ს. მუხრანსკის სთხოვა ეშუამდგომლა შინსახკომისარ საშა გეგეჭკორთან ჩეკას მიერ მძევლად აყვანილი მისი ცოლ-შვილის განთავისუფლების მიზნით. სხვა წყაროდან ჩანს, რომ ს. გეგეჭკორი და ს. მუხრანსკი ახლობლები არიან. ალ. სულხანიშვილი წერს, რომ თბილისში არალეგალურად მყოფმა ქაქუცამ ერთხელ ღამე ს. გეგეჭკორთან გააოენა, როგორც მეგობარმა.

არსებობს ჩეკისტურ-აგენტურული წყარო, რომელიც ადასტურებს, რომ ს. გეგეჭკორი გულმოდგინედ ცდილობდა მუშნი და ოთარ დადიანების შემორიგებას, აგრეთვე მილიციის მიერ დევნილ ნესტორ გარდაფხაძესა და ხელისუფლებას შორის კონფლიქტის მოგვარებას და სხვ. თვით ნ. ხომერიკიც კი, როცა გადაბირებულ ახალგაზრდა ჩეკისტ არჩილ კახიანს თანამშრომლობისათვის აგულიანებდა, იმით ამხნევებდა, რომ არწ-

მუნებდა, ლენინის მიერ მხარდაჭერილი ძველი კომუნისტები, ნაციონალ-უკლონისტები ხელისუფლებაში დაბრუნდებიანო. მაგრამ ჩეკაში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებთან დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა.

დიახ, 1922 წლის ოქტომბრიდან, როცა საქართველოს კომპარტიის ცეკის "ნაციონალ უკლონისტური" ხელმძღვანელობა გადადგა და რესპუბლიკურ მთავრობას სათავეში ჩაუდგა ი. სტალინის და ორჯონიკიძის მკაცრი (Жесткий) კურსის გამტარებელი (ბ. ლომინაძის) ხელმძღვანელობა, პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში არნახულად გამძაფრდა. ამას ნათლად გვიდასტურებს საქართველოს კომპარტიის ცეკას ახალი ხელმძღვანელობის ლიდერი (როგორც საკუთარ თავს უწოდებს "საქართველოს კომპარტიის გენერალური მდივანი") ბ. ლომინაძე. იგი თავის 1924 წლის მოხსენებაში "რ.კ.პ. ცკ-ის კომისიას ქართული საკითხის გამო" და პირად წერილში "ძვირფასო მიშა", რომელიც ფაქტობრივად საქართველოს კომპარტიის ცეკას და ს. ორჯონიკიძისათვის მოსკოვიდან გადმოაგზავნა, წერს, რომ 1922 წლის ოქტომბრიდან, ანტისაბჭოთა პოლიტიკური ორიენტაციის წარმომადგენელთა მიმართ, "უკლონისტებისგან" განსხვავებით, დაიწყო რეპრესიები. "უკლონისტები" თუ უარს ამბობდნენ ტერორისტული ხერხებით ტერორის საშუალებათა გამოყენებაზე, პოლიტიკურ პატიმართა საქართველოდან გადასახლებაზე, ხოლო მენშევიზმი გაფურჩქნულ, ხელშეუხებელ და ნახევრად ლეგალურ მდგომარეობაში რჩებოდა, ჩვენ საწინააღმდეგო პოლიტიკას ვატარებდითო. შემოვიღეთ პოლიტიკური ტერორი, საქართველოს ფარგლებიდან გასახლება და დახერეტებიც კი, ათეულობით ეროვნული დემოკრატი დავხვრიტეთ ბანდიტიზმთან კავშირისა და სამხედრო შეთქმულებისათვის ("2-3 ათეული" - ბ.ლ.). ბ. ლომინაძე აღიარებს, რომ "შეცდომები ეროვნულ საკითხში დაიწყო ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შემდეგ და გადაჭარბებულ ცენტრალიზაციაში გამოიხატა". მისი აზრით, აქედან მოდის მთელი უბედურობები, დაუნდობელი ბრძოლა "ქართულ ნაციონალისტურ ინტელიგენციასთან". იგი აღიარებს: "ჩვენ მის წინააღმდეგ მთელი ენერგიით ვიბრძოდით". ბ. ლომინაძე წერს: "რელიგიასთან და ეკლესიასთან ბრძოლაში უკლონისტებმა არაფერი გააკეთეს.

ციასთან". იგი აღიარებს: "ჩვენ მის წინააღმდეგ მთელი ენერგიით ვიბრძოდით". ბ. ლომინაძე წერს: "რელიგიასთან და ეკლესიასთან ბრძოლაში უკლონისტებმა არაფერი გააკეთეს. ჩვენ 1923 წელს დაკეტეთ 1500-ზე მეტი ეკლესია-გლეხურად". ე.ი. გლეხური სტიქიის წაქეზებით. იგი აღნიშნავს იმასაც, რომ რუსეთის იმპერიის პოლიტიკის მესაჭეებსაც (კამენევი და სხვ.) კი, საქართველოს კომპარტიის ცეკას ახალი ხელმძღვანელობის კურსი შეუყვანებიათ, როგორც "отпечаток топорности"-ს გამტარებელი. ბ. ლომინაძე წერს, რომ ამ კურსმა იმუშავა, როგორც ტორერეების წითელი ფერის წამოსასხამმა ("Красной тряпкой") ქართველი ინტელიგენციის გასაღიზიანებლად (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 195, ფ. 31-54, 55-56). დიახ, სამწუხაროდ ასე მოხდა. იმის ნაცვლად, რომ ამ უკიდურესად რეაქციულ პერიოდში, ანტისაბჭოთა არალეგალური მოძრაობა დასდგომოდა დროებითი უკანდახევის ტაქტიკას, მისი ექსტრემისტული ნაწილი, ანუ ექსტრემისტული მიმდინარეობის წარმომადგენლობა ნ. ხომერიკის მეთაურობით იერიშზე გადადის და ამის გამო რეპრესიებმა მიიღეს უსასტიკესი ხასიათი. აი ამ სიტუაციის მსხვერპლი გახდა ლევანი.

1923 წლის იანვრიდან ბერიამ შექმნა "საიდუმლო განყოფილება", რომელსაც მიზნად დაუსახა არა მარტო "კონტრრევოლუციური ელემენტების აღმოფხვრა და მათი ლიკვიდაცია, არამედ თვით პარტიულ აპარატში არსებულ "საშიშ დამნაშავეთა" გამოვლინება და თავად პარტიის ძველი "ლენინური გვარდიის" "ბებერ ბოლშევიკთა", ძირის გამოთხრა. თვით საქართველოს და ამიერკავკასიის ჩეკას ორგანოებისათვის ფარული "საიდუმლო განყოფილების" შექმნის შემდეგ, ბერიამ წამოიწყო "თვით სტალინთან დივერსანტული ანგარიშების გაგზავნა" ("დილის გაზეთი", 1999, 6 ივლისი) ანუ ფარული ინფორმაციების მიწოდება, მისგან. ბერიამ ასევე ფარული აშკარა მხარდაჭერაც მოიპოვა, და ანტისაბჭოთა მოძრაობას აქამდე არნახულად შეუტია. საქართველოს კომპარტიის ცეკის 1923 წლის 9 თებერვლის დადგენილებით კ. ოკუჯავა დაინიშნა "წარმოკავშირის" თავმჯდომარედ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 493, ფ. 13)

ბერიამ, განსაკუთრებით სასტიკი იერიშ'ში, ანტისაბჭოთა მებრძოლ "სამხედრო ცენტრსა" და ეროვნული ბრძოლის ექსტრემ-

ისტულ ხელმძღვანელობასე მიიტანა. 1923 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს ჩეკას ფაქტიურმა მეთაურმა და სტალინთან ფარულად დაკავშირებულმა, ფენომენალური ნიჭის ჩეკისტმა მუშაობა ისე წარმართა, რომ მეამბოხე განწყობილების პარტიულ ლიდერებს "საგანგაშო დრო" დაუყენა. ამ დროისათვის მან თავის ხელში მოუყარა თავი ყაროო აგენტურულ ინფორმაციას და აქამდე არნახულად განაკითარა ანტისაბჭოთა მოძრაობის საწინააღმდეგო პროვოკაცია. საქართველოში გაშლილ ანტისაბჭოთა მოძრაობის მდგომარეობას კიდევ უკრო ამძიმებდა ამიერკავკასიის ფედერაციის ჩეკა, ანუ "ზაკჩეკა", რომელიც "საქჩეკას" კომპეტენციებში უხეშად ერეოდა. ბ.ლომინაძე წერს, რომ ამის გამო, ამ ორ ორგანოს შორის ბრძოლა ერთი წელი გაგრძელდა "და (1924 წლის იანვარში - გ.ვ.) საქმე მიეიდა განსაკუთრებულ პოლიტიკურ სასამართლომდე" მაგრამ ბრძოლა არა წყდებოდა. "ზაკჩეკამ" გადაყლაპა "საქჩეკა" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღს. ს. 195, ფ. 49). ჩეკამ, 1923 წლის 10 თებერვალს გურიაში ჩეკისტ ობოლაძის მკვლელობას, 150 კაცის დახვრეტით უპასუხა. სასტიკი იერიშები განაკითარა ქ. ჩოლოყაშვილის მეამბოხე რაზმის და მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ. მოამზადა და განახორციელა "სამხედრო ცენტრის" წევრთა დაპატიმრება. მათ დააბრალა ხევსურეთის აჯანყების ორგანიზება და ახლა კიდევ ვითომ ახალი აჯანყებისათვის მუშაობა, და ამით მათ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ჩეკამ ხელი შეუწყო ანტისაბჭოთა პარტიების შიდა ტერორისტული ბრძოლის პროვოცირებას და 1922-1923 წლის დასაწყისში დომინირებულ ანტისაბჭოთა არალეგალურ-რადიკალური მიმდინარეობის დაშლის ორგანიზებას. აი, ამ "საგანგაშო დროს" შეეწირა ლ. რაზიკაშვილი, რომლის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის თავგამოდება ახლა უკვე აღარავის აღარ ძალუძდა. გასაგებია, რომ ბერიას მიერ შექმნილ ამ კურსის სიძლიერეს ასაზრდოებდა სტალინისა და ძერჟინსკის ფარული თუ ხილული მხარდაჭერა.

ლევან რაზიკაშვილის საქმეში დართული ბოლო ჩვენების და იგივე 1922 წლის ბოლო ჩეკისტური დოკუმენტის (31.XII.1922) შემდეგი მნიშვნელოვანი ნაწილია 1923 წლის 14-15 თებერვლის საქართველოს ჩეკას კოლეგიის ოქმის ამონაწერის ასლი (ფ.

всячески подрывая авторитет Соввласти постановление Старой Коллегии от 3-6 Декабря 1922 года санкционировать как к непримеримому врагу и активному агенту Чолокаева применить высшую меру наказания - Расстрел..." (ფ.37).

მაშასადამე, საქჩეკას კოლეგიის ეს დადგენილება, რომელიც ზემოთ აღნიშნული განაჩენის მოსაზრებით, ჯერ კიდევ 1922 წლის 3 დეკემბერს იქნა გამოტანილი, თვენახევრის შემდეგ, როცა რესპუბლიკაში პოლიტიკური კლიმატი სათანადოდ მომზადდა, საბოლოოდ იქნა სანქცირებული. ამის საფუძველზე, საქჩეკას კომენდანტს წერილობით დაევალა განაჩენის 15 თებერვლის ღამით სისრულეში მოყვანა. ამ მიწერილობას ხელს აწერენ საქჩეკას კოლეგიის წევრები: ჩეკას თავმჯდომარე კვანტალიანი და მდივანი მიქელაძე. ასლის სინამდვილეს ადასტურებს ბაჟანოვი (ფ. 43). და ბოლოს, ლევან რაზიკაშვილის საქმეში დაცულია "აქტი", რომელშიც ნათქვამია: "საქართველოს ჩეკას 1923 წლის 13 თებერვლის და საქართველოს ჩეკას პრეზიდიუმის 1923 წლის 15 თებერვლის 913 მიწერილობის საფუძველზე ჩემი, საქჩეკას კომენდანტის მიერ, 1923 წლის 15-დან 16 თებერვალს, ღამის 2 საათზე სისრულეში იქნა მოყვანილი სასიკვდილო განაჩენი - დახვრეტა შემდგომ ქვემოთ დასახელებულ განსასჯელებზე: 1. რაზიკაშვილი ლევან ლუკას ძე, 35 (? გ.ც.) წლის... ყურადღებიანი დათვალიერების შემდეგ ცხედრები დაფლული იქნა დახვრეტის ადგილას". შემსრულებლად დასახელებულია კომენდანტი, ასლის დედანთან სისწორეს ადასტურებს ბაჟანოვი (ფ. 44). "ერთი იცინის, სხვა სტირის - ასეთი არის ქვეყანა", "ვაი, რომ ცუდი ბევრია, პოვნა ძნელია კარგისა" (ვაჟა-ფშაველა).

მაშასადამე ირკვევა, რომ ლ.ლ. რაზიკაშვილს დახვრეტის განაჩენი გამოუტანეს ჯერ კიდევ 1922 წლის დეკემბრის დასაწყისში, მაგრამ მიზეზთა გამო მისი აღსრულება მოხდა ახალ გამძაფრებულ პოლიტიკურ ვითარებაში, ანუ "საგანგაშო დროში", 1923 წლის 16 თებერვალს და არა 1923 წლის მაისში. მაგრამ ჩვენ მაინც შევეცადეთ, კიდევ ერთხელ გაგვეკონტროლებინა "საქმეში" აღნიშნული უტყუარი მაჩვენებელი ჩვენს მიერ ჩეკაში მოპოვებული დახვრეტის იმ სიების მიხედვით, რომელშიც ჩამოთვლილი არიან ყველა 1923 წელს დახვრეტილები. მათ შორის მითითებული არიან ქ. ჩოლოყაშვილის თანამე-

ბრძოლები, რომლებიც ჯერ კიდევ ლევანის დაპატიმრებამდე დახვრიტეს. აქ ჩამოთვლილია 1923 წელს "სამხედრო ცენტრის" საქმის გამო დახვრეტილები და არა პოლიტიკური სისხლის სამართლის ბრალდებით დახვრეტილები. მაგრამ მათ შორის არ არის მითითებული ლ.ლ. რაზიკაშვილი და "სამხედრო ცენტრის" გამო დახვრეტილი პოლკოვნიკი ივანე ნარიკელაძე. საყურადღებოა, რომ როგორც ამ სიიდან ჩანს, ლევანის დაპატიმრება-დახვრეტის პერიოდში და შემდგომში ჩეკას მიერ დახვრეტილთა შორის არ არის მითითებული არც ერთი ის პიროვნება, რომელიც ლევანს მისი საქმის გაჭიანურების დროს დაასახელებინეს, ვითომ მისგან სათანადო სამხილის გამოძალვის მიზნით. ამასთან დაკავშირებით კი საყურადღებოა, რომ ჩვენს მიერ დამუშავებულ, 1922 წლის ამბოხების გამო შექმნილ უამრავ ჩეკისტურ საქმეებში არ შეგვხვედრია მინიშნებაც კი, რომ ბრალდებული მხილებული ყოფილიყო ლევანის დასახელებით. მათში არც ის შეგვხვედრია, რომ ვინმეს მუამბოხეთა შორის დაესახელებინოს ლევან რაზიკაშვილი.

ჩვენს ხელთ არსებული, ჩეკას მიერ დახვრეტილთა სიის მიხედვით, ლევანთან ერთდროულად, ანუ "15 თებერვალს ღამით" დახვრიტეს სხვა 9 ადამიანი, მათ შორის ქართველი იყო მხოლოდ სამი. ამასთანავე, ყველა მათ მიმართ წაყენებულ ბრალდებათა სახით მითითებულია: "შანტაჟი, ყალბი ბანკნოტების გაყიდვა" და "შეიარაღებული ძარცვა". მაშასადამე, ერთად იხერიტებოდნენ და იმარხებოდნენ თვალსაჩინო მამულიშვილი და ყაჩაღები.

"დახვრეტის" აქტში და "სიებში" მითითებული არ არის საფლავის ადგილმდებარეობის შესახებ. საბჭოურ-ჩეკისტური წესებით ეს სასჯელის ერთგვარი ფორმა იყო და ამიტომ მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. არა და, დიდი ხნის წინ, სუკის არქივში მივაგენით შეუსებელ "ბლანკს", საიდანაც ჩანს, რომ დახვრეტისა და დასაფლავების ადგილი უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული. ამ მაჩვენებელს არა მარტო რეპრესირებულთა შთამომავლებისათვის აქვს დიდი მნიშვნელობა. ამიტომ არქივის ხელმძღვანელობას ვთხოვეთ ეჩვენებინათ სათანადო დოკუმენტები, მაგრამ უშედეგოდ. როგორც ჩანს, რეპრესირებულთა საფლავების გასაიდუმლოება შემოგვრჩა მყარ ჩეკისტურ ტრადიციად. ამ წესის დარღვევის მიზნით, აღნიშნული ბლანკის ფრაგ-

მენტი გამოვაქვეყნეთ პრესაში (იხ. გაზ. "ერი", 1990, 13 დეკემბერი,გვ. 3), ხოლო ამის შემდეგ ამ მაჩვენებლის მიგნებას ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით, რადგან ზუსტი დოკუმენტური ცნობა არ არსებობდა. სუკის არქივში ჩვენი ხანგრძლივი მუშაობის დროს მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა ერთი მიახლოებითი მაჩვენებელი. 50-იან წლებში დაკითხული, დახვრეტების მონაწილე მიუთითებდა, რომ "სიკვდილმისჯილებს ვხვრეტდით თბილისიდან მე-18 კილომეტრზე სოღანლუღთან". ამ კვალის მიდევნებითა და სოფ. სოღანლუღის უხუცესთა გამოკითხვით დავადგინეთ ზუსტი ადგილსამყოფელი. მაგრამ იგი აღმოჩნდა 30-იანი წლების მასობრივი დახვრეტ-დასაფლავების ადგილი (იხ. ალ. ასლანიშვილი, თბილისიდან მე-18 კილომეტრზე, სოღანლუღთან... გაზ. "ერი", 19 ივნისი). 20-იან წლებში დახვრეტილთა საფლავები, სხვადასხვა პუბლიკაციების ავტორთა ვარაუდით, მდებარეობდა თბილისის სხვა განაპირა რაიონებში, ზოგის აზრით ვაკის, ზოგის კი დიდუბის ბოლოს, ქალაქის ახლანდელ სივრცეში. ასე რომ, ვაჟა-ფშაველას შვილის ლევან რაზიკაშვილის და ბევრი სხვა ღირსეული მამულიშვილის საფლაფი დღესაც არ არის ცნობილი. ვაჟა-ფშაველა წერს: "თვითაც მუხთალად მოკვდება, მუხთალად კაცის მკვლელია". არქივმცოდნე ნ.ხუციშვილის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტიდან ჩანს, რომ 1923 წლის 10 ივლისს ფშაველებსა თუ ხევსურებს, გოგონას გაუპატიურების საბაბით მოუკლავთ ლევანის ჩამშვები (იხ. "მძიმე ტრაგიკული დღეები, 1924 წლის აჯანყება". ჟურნ. "საისტორიო მოამბე", 1996, გვ. 409, 416).

V. ლევან რაზიკაშვილის ადგილი ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობაში

"ვისაც რომ საშიობლო უყვარს,
სიცოცხლე მისთვის ომია"

ვაჟა-ფშაველა

ფაჟა-ფშაველას შვილის ბედით დაინტერესებული მკითხველისათვის, ჩვენი აზრით, გაუცნობიერებელ ინტერესად დარჩა კითხვები: ლევანი რატომ არ გაჰყვა ქ. ჩოლოყაშვილს ხევსურეთში, ან შემდეგ, პანკისის ხეკით კახეთში, ან რატომ არ შეასრულა ქ. ჩოლოყაშვილის დავალება და ხევსურეთ'ხე მოიერიშე წითელ ჯარებს ზურგში რატომ არ აუჯანყა საშიობლოსათვის თავდადებული და მისი ერთგული ფშაველები? მკითხველისათვის, ჩვენი აზრით, ისიც უთუოდ საინტერესოა, იცოდეს რომ, თუ ლევანმა თავი აარიდა ქ. ჩოლოყაშვილის ბრძანების შესრულებას, მა'შინ რატომღა მიეხმარა ხევსურეთიდან გამოსხლდომილებს პანკისის ხეკით გაუჩინარებაში? ეს არის უაღრესად დიდი მოცულობისა და სათანადო დოკუმენტური წყაროების მომთხოვნი კითხვები. ამასთანავე, ისინი გვაიძულებენ ვამხილოთ ეროვნული მოძრაობის 'ხოგიერთი მონაწილის მოგონებებში და ისტორიკოსთა პუბლიკაციებში და'შვებული შეცდომები. ამიტომ, აღნიშნულ კითხვებზე სრულყოფილი პასუხის გაცემა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა გამოქვეყნდება 1921-1924 წლების ეროვნული მოძრაობის ისტორიის შემსწავლელი ჩვენი ფუნდამენტური გამოკვლევა "სიმართლე კალე მისაბიშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის და 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობის შესახებ. წიგნი I. "მასში ახსნილია მართალი ისტორია, წინამორბედი მკვლევარების მიერ დაშვებული შეცდომები და 1922 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებისადმი ეროვნული მოძრაობის მთავარი ხელმძღვანელი ცენტრების "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის", ანუ

იგივე "პარტიტული კომიტეტის" და მასთან არსებული "სამხედრო ცენტრის" დამოკიდებულება ქ. ნოლოეაშვილის პარტიზანული ბრძოლების, და კერძოდ ხევსურეთის ავ.ანყებისადმი. აგრეთვე გარკვეულია იმდროინდელი უმნიშვნელოვანესი ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების (მენშევიკების და ეროვნული დემოკრატების) ცენტრალური კომიტეტების პოზიცია. საოანადო საარქივო დოკუმენტების მობილიზება-გამოყენებით აშკარად ნანს, რომ ქართული იმდროინდელი ეროვნული მოძრაობის ცენტრი და მრავალი პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელობა, არა თუ მხარს უჭერდა ცალკეულ ლოკალურ ამბოხებებს, არამედ გმობდა მათ და ებრძოდა კიდეც, რადგან მიაჩნდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: 1. საბჭოთა რუსეთს შეექმნებოდა კრიტიკული სიტუაცია საერთაშორისო გართულების, რამდენიმე ან თუნდაც ერთი ანტისაბჭოთა სახელმწიფოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ნაბმით ან 2. თუ საბჭოთა რუსეთს კრიზისული სიტუაცია შეექმნებოდა საკუთარ, შინაგან ძალთა აშლილობით და 3. თუ საბჭოთა რუსეთი, საერთაშორისო ძალთა ზემოქმედებით თუ სხვა მოსაზრებებით, საქართველოდან გაიყვანდა ჯარს.

ზემოთ აღნიშნული შესაძლებლობები იმდროინდელი ანტისაბჭოთა პოლიტიკური ცენტრის თვალსაჩინო წარმომადგენელთა აზრით, არ იყო გამორიცხული, და მაშასადამე იყო მოსალოდნელი. ამდენად მათ მიაჩნდათ, რომ საჭირო იყო მოსალოდნელი, ხელსაყრელი მომენტისათვის ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია, სამხედრო შესაძლებლობათა გამორკვევა-გაძლიერება, მომავალ მებრძოლ ძალთა ორგანიზება, მოწინააღმდეგის ძალთა გამოკვლევა-შესწავლა, საქართველოს საზღვარგარეთული ძალების მუშაობა და მოკავშირეების მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

საქართველოს ეროვნული მოძრაობის ცენტრისა და პოლიტიკური პარტიების რეალისტურად მოაზროვნე ლიდერები არ გამორიცხავდნენ ისეთი ობიექტური პირობების შექმნასაც კი, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს უსისხლო განთავისუფლება. ამ შემთხვევაში აუცილებელ პირობად მიაჩნდათ რუსის ჯარის გაყვანა და საბჭოთა რუსეთის ძალმომრეობითი ფაქტორის გამორიცხვა. მათ მიაჩნდათ, რომ ამ

შემოხვევაში, საქართველოს ეროვნული და სამხედრო ძალებს დასჭირდებოდათ თურქეთის მოსალოდნელი აგრესიის მოგერიება და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მშენებლობისათვის საჭირო მშვიდობიანობისა და დემოკრატიის უზრუნველყოფა. ამდროინდელ "დამკომს" და "სამხედრო ცენტრს", სხვა შემთხვევაში და სხვა გეგმებით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა შეუძლებლად ესახებოდათ, რადგან მიაჩნდათ, რომ ზემოთ აღნიშნული მდგომარეობების გაუთვალისწინებლობა და ლოკალური ავანტიურებით მოვლენების დაჩქარება გამოიწვევდა მხოლოდ გაუმართლებელ სისხლისღვრას, ეროვნულ ძალთა დეგრადაციას და დეგრესიას. აქედან გამომდინარე, ყალიბდებოდა მათი პრაქტიკული მოქმედების ტაქტიკა, რომლის უმთავრესი აზრი იყო ხელსაყრელი დროისათვის ძალთა მობილიზება, და არავითარ შემთხვევაში ექსტრემისტულ-ავანტურისტული მოქმედების წახალისება. საქართველოს შემდგომმა ისტორიამ მათი ამ აზრისა და, მაშასადამე, მათი ტაქტიკის სისწორე, კონკრეტული გამოცდილებით დაგვიდასტურა.

მაგრამ საქართველოს და მისი ემიგრაციის იმდროინდელ პოლიტიკურ პარტიებში, მრავალად იყვნენ ადამიანები, თვალსაჩინო პოლიტიკური პიროვნებები, უპირატესად საქართველოს დამოუკიდებლობისდროინდელი ხელისუფლების ყოფილი თანამდებობების მქონენი და პოლიტიკური პარტიების ცალკეული ლიდერები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს განთავისუფლება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა საჭიროებდა მოვლენების წაბიძგება-დაჩქარებას. ისინი საჭიროდ თვლიდნენ ექსტრემისტული მეთოდების გამოყენებას, საბჭოთა ხელისუფლების მიმართ დაუმორჩილებლობას, ლოკალური და პარტიზანული გამოსვლების წაქეზება-გაფართოებას. ვარაუდობდნენ, რომ ამით დააჩქარებდნენ რუსეთის მოწინააღმდეგე და საქართველოს მხარდამჭერი საერთაშორისო ძალების ისეთ მოქმედებას, რომელიც საბჭოთა რუსეთს შეუქმნიდა კრიზისულ მდგომარეობას, იძულებულს გახდიდა საქართველოზე უარი ეთქვა და აქედან ჯარები გაეყვანა.

ეს პოლიტიკური წარმომადგენლობა, ზემოთ აღნიშნული ტაქტიკის ცხოვრებაში გატარების მიზნით ეწეოდა პარტიზანული რაზმების ორგანიზებას, მათ შეიარაღებას, შემოსვას, ფუ-

ეს პოლიტიკური წარმომადგენლობა, ზემოთ აღნიშნული ტაქტიკის ცხოვრებაში გატარების მიზნით ეწეოდა პარტიზანული რაზმების ორგანიზებას, მათ შეიარაღებას, შემოსვას, ფულადი სახსრებით უზრუნველყოფას. ქმნიდა ლოკალური აჯანყების ორგანიზების გეგმებს და სახავდა პარტიზანული რაზმების ამოქმედების ბრძანებას. მაშასადამე, საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის პირველ ორ წელიწადში, ქართულ ანტისაბჭოთა არალეგალურ ეროვნულ მოძრაობაში აღმოცენდა ორი ძირითადი მიმდინარეობა ზომიერი-რადიკალური, და ექსტრემისტული. "დამკომის" და "სამხედრო ცენტრის", აგრეთვე უმთავრესი პოლიტიკური პარტიების ცენტრალური კომიტეტების წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა 1922 და 1923 წლის დასაწყისში ზომიერი, რადიკალური მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების პოზიციაზე იდგა და შესაბამისი ტაქტიკით მოქმედებდა. მაგრამ მათში მყოფი ცალკეული ექსტრემისტული განწყობილების წარმომადგენლები, ცალკე პარტიების სამხედრო დაფგუფებებში ანუ "სამხედრო კომისიებში" გაერთიანებული პირები, და განსაკუთრებით კი პარტიზანულ რაზმებში მებრძოლი "ბოევიკები", მხარს უჭერდნენ რევანშისტულ მოქმედებას. მათ მხარს უბავდნენ და ბიძგს აძლევდნენ საბჭოთა ჯარების მიერ განდევნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი მთავრობის წევრები. მათ მიერ წაქეზებული ძირეული პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და პარტიზანული რაზმების მეთაურები მუდმივად განიცდიდნენ, ერთი მხრივ რადიკალების, ხოლო მეორე მხრივ ექსტრემისტების ზეწოლას. ქ. ჩოლოყაშვილის რაზმში მუდმივად ჩადიოდნენ ხან ერთი, ხან მეორე ტაქტიკის მიმდევართა წარმომადგენლები, ცდილობდნენ მასზე ზემოქმედების მოხდენას და მის, თავიანთი შეხედულებების მიხედვით, გამოყენებას. მოვლენების ექსტრემალური განვითარების დროს ყოველი პარტიის წარმომადგენელი ადგილებზე საკუთარ მოქმედებას უმორჩილებდა და უფარდებდა საკუთარ ხელმძღვანელობას. მაგრამ ამავე დროს, იმის გამო, რომ არსებობდა რადიკალური და ექსტრემისტული შიდაპარტიული და პარტიათაშორისი ტენდენციების მქონე ანტისაბჭოთა ბრძოლის მიმდინარეობები, ადგილი ჰქონდა ტაქტიკურ დაბნეულობა-გაურკვევლობას, ზოგჯერ კი მწვავე დაპირისპირებას.

განსხვავებული ტაქტიკის მიმდევარი თანაპარტიელები ზოგჯერ ინარჩუნებდნენ თანაარსებობა-თანამშრომლობის ეთიკას, მაგრამ ზოგჯერ კი შიდაპარტიული სუბორდინაციის მოთხოვნებს არღვევდნენ, და განსაკუთრებით საგანგაშო ვითარებებში, ერთმანეთის წინააღმდეგ დაუნდობლობასაც ამჟღავნებდნენ. პარტიათაშორის და შიდაპარტიულ უთანხმოება-დაპირისპირებას განსაკუთრებით ეფექტურად იყენებდა ჩეკა. იგი უკმაყოფილოებში ეწეოდა აგენტურულ-ინფორმატორული ცნობების შეგროვებას, ავრცელებდა პროვოკაციულ ხმებს, ამით კი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებზე, მიმართულებებზე და ტენდენციებზე თავის ზეგავლენას ახდენდა, ზოგჯერ კი ოპოზიციურ პარტიებში ტერორის წაქეზებასაც ახერხებდა. მაგალითად, ასე მოაკვლევინა ჩეკამ კალე მისაბიშვილი თავის თანაპარტიელ ექსტრემისტებს. და ეს მოხდა მაშინ, როცა, როგორც დამკომის თავმჯდომარის მოადგილემ იასონ ჯავახიშვილმა დაადასტურა: "ჩვენ არ გვქონდა მისაბიშვილის პროვოკატორობის მამხილებელი ფაქტები არც მკვლელობამდე და არც მკვლელობის შემდეგ" (იხ. ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბ., 1996, გვ. 377. ი. ჯავახიშვილის 1924 წლის 18 სექტემბრის ჩვენება).

აღნიშნული ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ამ ზოგადი თავისებურებების ახსნიდან ჩანს, რომ ლევან რაზიკაშვილი, როგორც ფედერალისტური პარტიის თაყვანისმცემელი, და შემდეგ ბევრ სხვასთან ერთად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, თანმიმდევრულად იცავდა თავისი პარტიის ცეკას აბსოლუტური უმრავლესობის, "დამკომის" და "სამხედრო ცენტრის" მოთხოვნებს. ამიტომ იყო, რომ მან მხარი არ დაუჭირა ქ. ჩოლოყაშვილისა და საერთოდ ექსტრემისტი მეამბოხეების ტაქტიკას, არ გაჰყვა ქ. ჩოლოყაშვილს ხევსურეთში და არც ხევსურეთზე მოიერიშე ჯარების ზურგში ფშაეთა აჯანყების ორგანიზებაში მიიღო მონაწილეობა. მაგრამ ვერც თავისი ექსტრემისტ თანაპარტიელებთან და კერძოდ ქ. ჩოლოყაშვილთან კონტაქტს, მის მიმართ თანადგომას გაერიდა. ეს გახდა მისი და მისი ოჯახის წევრების ტრაგედიის საბაბი. მაგრამ მსგავს მდგომარეობაში სხვაც ბევრი აღმოჩნდა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ჩეკამ, ხელისუფლების დაკვეთით, ანტისაბჭოთა არალეგალური ექსტრემისტული ბრძოლის მიმ-

მოსამსადებელი მუშაობით ბრძოლის ტაქტიკა და მას დააბრალა 1922 წლის ხევსურეთის აჯანყება. შემდეგ კი მას ასევე შეუთითხნა 1923 წლის დასაწყისში აჯანყების პრაქტიკული ორგანიზებისათვის მეცადინეობა და "სამხედრო ცენტრის" წევრი, უადრესად წინდახედული და თავშეკავებული საბრძოლო ტაქტიკით მოღვაწეები: სახელოვანი გენერლები ალ. ანდრონიკაშვილი (ხელმძღვანელი), ვ. წულუკიძე, კ. აფხაზი, ი. გედევანიშვილი, პოლკოვნიკები რ. მუსხელიშვილი, გ. ხიმშიაშვილი, ივ. ნარიკელაძე და სხვა მათი თანამოაზრე-თანამდგომები 1923 წლის მაისში აჯანყებების ორგანიზების ყალბი ბრალდებით სასიკვდილო განაჩენით დასაჯა.

1922 წლის მოვლენების ბევრმა აქტიურმა მონაწილემ, იმდროინდელი ამბების მომგონებელმა და ისტორიკოსმა ასევე ჩეკისტური ვერსიის კონცეფციის მსგავსად გაიაზრა ანტისაბჭოთა ბრძოლის 1922 წლის ისტორია. ამასთან დაკავშირებული ყველა ფაქტის, მოვლენების, ტენდენციების და პროცესების წარმოჩენას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპეციალური და საკმაოდ ვრცელი პუბლიკაცია სჭირდება. წინამდებარე ბროშურაში ეს შესაძლებლობა გამორიცხულია. უამისოდ კი ბევრისთვის ალბათ კვლავ გაუგებარი და მიუღებელი დარჩება ნვენი ხანგრძლივი მუშაობის შედეგებზე დაფუძნებული კონცეფცია. ამიტომ წინამდებარე პუბლიკაციაში, იძულებული ვხდებით რამდენიმე მაგალითის შუქზე მაინც წარმოვაჩინოთ სიმართლე. წინაადმდეგ შემთხვევაში, ბოლომდე გაცნობიერების გარეშე დაგვრჩება ლევანის მოქმედება და მოგვენევნება, რომ იგი მართლა შეშინდა და სამშობლოს განთავისუფლებისათვის გადამწყვეტ ბრძოლებში ქაქუცას ვითომ ამიტომ არ გაჰყვა. სიმართლის ბოლომდე და კონკრეტული მაგალითებით გარკვევის მიზნით ავიღოთ ქ. ნოლოყაშვილის უახლოესი თანამებრძოლის, ხევსურეთის აჯანყების მონაწილის, ალ. სულხანიშვილის მოსაზრებები და მისდამი კრიტიკულ ანალიტიკური დამოკიდებულებით წარმოვაჩინოთ სიმართლე.

ალ. სულხანიშვილი წერს, კახეთში გამუდმებული დევნის გამო ღუშეთის მიდამოებში გადმოვედითო. აქ შემოგვიერთდნენ ახალი თანამებრძოლები. "ნვენი რაზმის რიგები შეავსო სიმონ ყიფიანმაც, რომელიც დამკომმა გამოგზავნა თბილისიდან რაზმის დღიურის საწარმოებლად" (? - გ.ც.). აქ ერთ რაზმელს,

შალიკო კანდელაკს (?!- გ.ც.) ჩეკისტი მოუკლავს. მდევრისაგან თავის დაღწევის მიზნით არაგვის ხეობით გაეშურნენ ხევსურეთისაკენ. "იქ აგვისტოს პირველამდე (ალბათ სექტემბრის პირველ რიცხვებამდე - გ.ც.) ამბოხება უნდა დაწყებულიყო... ახლა ჩვენი უშუალო ყოფნა იყო იქ საჭირო. ამიტომ გვინდოდა ერთი კვირით ადრე მაინც ავსულიყავით". მდინარე არაგვის სანაპიროებით აუყვეთო, წერს ალ. სულხანიშვილი, ამასთანავე აღწერს მდევართან გამართულ ბრძოლებს სოფ. ორთვალთან. შემდეგ მადაროსკარში ვაჟა-ფშაველას დაარსებულ სკოლაში დაბანაკებულან. აქ გადაიხადეს "ლამაზი ბრძოლა", როგორც ალ. სულხანიშვილი წერს 65 მებრძოლით დაამარცხეს მტრის 250-კაციანი რაზმი, განაიარაღეს და იარაღი ფშაველებს გადასცეს. მისი მონათხრობის მიხედვით მდევრიდან მოკლეს 15-20, ხოლო დახვრიტეს 6 კომუნარი. აქედან გაემგზავრნენ ხევსურეთში ("მოგონებები შეფიცულთა რაზმზე", გვ. 50, 53, 55). "ხევსურეთში დიდი მზადება მიდიოდა. - წერს იგი, შემდეგ დასძენს - "თუ ჭესსიერება არ მღალატობს, ამბოხება 6 აგვისტოს (სექტემბერს - გ.ც.) უნდა დაწყებულიყო, რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს იქ დამკომზე იყო დამოკიდებული... ჩვენი თვალსაზრისით, საქართველოსათვის ხევსურეთის ამბოხება იყო ხელსაყრელი ყველაზე მეტად... ამ დიდ სამამულო წამოწყების მოლოდინში მედგრად იყვნენ ჩვენი საუკეთესო ძალები... უადგილად მოწადინებული იყო ჩვენი ძველი მხედრობაც, რომ სამშობლოს განთავისუფლებისთვის შეეწირა თავი... შტაბის უფროსი პოლკოვნიკი მუსხელიშვილი, ჩვენი კაცი იყო და მისგან ეიცოდით ყველაფერი. მაშინ ჯერ კიდევ სუსტნი იყვნენ წითლები (? - გ.ც.). ცნობილია, რომ იმ ხანებში სულ ათი ათასი რუსის ჯარისკაცი იმყოფებოდა საქართველოში (? - გ.ც.)... ამასობაში ცნობა გვქონდა მიღებული, რომ სადაცაა რუსის ჯარი უნდა მოგვწეოდა და გვინდოდა რაც შეიძლება მეტი ძალა შეგვეტყუებინა არაგვის ხეობაში. გეგმა ჩვენი უფროსი მხედრობის მიერ იყო შემუშავებული შტაბის უფროსთან შეთანხმებით.(არ არის მართალი - გ.ც.). ამ მიზნით გაიგზავნა ხევსურების რამდენიმე რაზმი, და ზოგადად ჩვენიც, რომელთა ამოცანას შეადგენდა ის, რომ მადაროსკართან რუსებს, პატარა ბრძოლა წამოეწყოთ მათთან და ამასობაში თანდათან დაეხიათ უკან. ასე შემოიჭრნენ დიდი ძალები არაგვის ეიწრო ხეობაში და ბრძოლაც

ის, რომ მაღარიოსკართან რუსებს, პატარა ბრძოლა წამოეწყოთ მათთან და ამასობაში თანდათან დაეხიათ უკან. ასე შემოიჭრნენ დიდი ძალები არაგვის ვიწრო ხეობაში და ბრძოლაც დაიწყო...(10 სექტემბერს - სა № 24058 სფ. 65) გააფთრებით იბრძოდნენ ხევსურები და ჩვენი რაზმელებიც... ორი სამი დღე გრძელდებოდა ის ბრძოლა. გეგმის თანახმად ჩვენ ველოდით, რომ ზურგში დაარტყამდნენ ჩვენზე მოსულ მტერს, ხოლო იქიდან კი ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა... მხოლოდ ახლაღა შეგვეპარა ეჭვი, რომ ალბათ გაცემას უნდა ჰქონოდა ადგილი, თუ არა და რატომ არ დაარტყეს ზურგში?" (იქვე, გვ. 63-64). ასეთი გეგმის არსებობაში, რუსის ჯარზე გამარჯვებასა და საქართველოს განთავისუფლებისათვის ამ ბრძოლის გადამწყვეტ მნიშვნელობაში დაარწმუნეს საკუთარი თავიცა და მთელი ხევსურეთიც. სინამდვილეში ცენტრში არაფერი ყოფილა ამის მსგავსი. "რა მოხდა, რა იყო მიზეზი?" კითხვას სვამს ალ. სულხანიშვილი და პასუხობს: მიზეზი, როგორც ყოველთვის, გახლდათ საძაგელი და დამღუპველი ქართული ხასიათი - პარტიების ქიშპობა ერთმანეთს შორის და გამცემლობა! (ხაზგასმა ჩვენია - გ.ც.). ასე მაგალითად, ხანდაკის ხეობაში მეამბოხეები იყვნენ თავმოყრილნი, სამასიდან ოთხას კაცამდე, რომლებიც ფავლენიშვილის, ლაშქარაშვილის და კიდევ სხვათა მიერ იყვნენ შეკრებილნი. მათ სათავეში უდგნენ როტმისტრი სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანელი, ოფიცერი ყარალაშვილი და კიდევ ორი-სამი კაცი სხვა. მათი ამოცანა შემდეგში მდგომარეობდა: როცა ჩვენ რუსის ჯარს არაგვის ვიწრო ხეობაში შევიტყუებდით, მათ ზურგში უნდა დაეცხოთ. ამრიგად, რუსის ჯარი მომწყვდეული გვეყოლებოდა და მათი დამარცხება გარდაუვალი გახდებოდა... სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უარი განაცხადა მონაწილეობის მიღებაზე უდროო გამოსვლებში" (გვ. 64, 68-69) ქართული ხასიათის გაუკუღმართებულად გაგება იმდენად ხშირად გვესმის, რომ ამ უკანასკნელ ხანს იგი ლამის ჩვენი ეროვნული უბედურების სინდრომად გამოაცხადონ. სინამდვილეში, ალ. სულხანიშვილის გულღვარძლიანობას, მარტივი ახსნა მოეძებნება..

მოვლენათა ალ. სულხანიშვილისეულ გეგმას იმ დროს იმეორებდა ბევრი სხვაც. "ბარმა გვიღალატა, ზურგში რომ უნდა დაერტყათ რუსებისათვის, აღარ დაარტყეს" აუხსნა ჩეჩნების

სოფელ ჯარეგოდან ჩამოსულ ალ. სულხანიშვილს ხევსურმა აპარეკამ. შატილში დახვედრილ ქაქუცას წერილშიც იგივე აზრი იყო გამოთქმული (ალ. სულხანიშვილი, დასახელებული მოგონებები, გვ. 67). ეჭვგარეშეა, რომ ანტისაბჭოთა პოლიტიკოსების ერთ ნაწილში, მართლაც არსებობდა ბრძოლის მსგავსი გეგმა და ასეთი გეგმით გამარჯვების იმედები. ალბათ ამ თავდაპირველი გაუგებრობის გამო დანებდა ლევანი ქაქუცას და მაღაროსკარშიც გაჰყვა. სინამდვილეში გაირკვა, რომ საქმის რეალური ვითარება სრულიად საწინააღმდეგო იყო. არა ყოფილა არც ბარის ღალატი და არც ქართველთა ხასიათად მოღალატეობის გამოცხადების საბაბი. მიუხედავად ამისა მოგონებათა ავტორი, ამის შემდეგ, 1981 წელს სან-ფრანცისკოში გამოცემულ მოგონებებში მაინც დაბეჯითებით იმეორებს, რომ თუ არა ღალატი, გამარჯვება გარდაუვალი იყოო. ალ. სულხანიშვილის ჩამოყალიბებული აზრების საწინააღმდეგოს წერს ცნობილი ანტისაბჭოთა მებრძოლი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან 1923 წლიდან "დამკომთან" არსებული "სამხედრო ცენტრის" წევრი და 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი, პოლკოვნიკი სოლომონ ზალდასტანიშვილი. მისი აზრით "შ. კანდელაკი ჩეკადან მოგზავნილი ყოფილიყო და ყველა ცნობებს თურმე ჩეკას ატყობინებდა..." (ს. ზალდასტანიშვილი,საქართველოს 1924 წლის ამბოხება. მოგონებები, თბ., 1989, გვ. 16). ეს თუ მართალია, მაშინ ისე გამოდის, რომ ქ. ჩოლოყაშვილის და მისი რაზმის უკან დახევა არაგვის ხეობითა და მისი შემდგომი მოქმედება, ჩეკას მიერ იყო პროვოცირებული. შეიძლება ისე დაიგეგმა, რომ შ. კანდელაკის მოქმედებას ქაქუცა, რაზმთან ერთად, ორხევთან ხაფანგში უნდა მოემწყვდია. მაგრამ მაინც მიეცეთ მოვლენათა შემდგომ მსვლელობას. ს. ზალდასტანიშვილი წერს, 1922 წლის ზაფხულში, როცა ხალხში უკმაყოფილება გამწვავდა, ქაქუცა სამხედრო ცენტრიდან განკარგულებას მოელოდა, ხევსურებიც აქეზებდნენ "გაგვიძეხ და მტერს შეუტიოთო". ამ დროს ქაქუცას კახეთის ბანაკიდან ჩამოსულმა გ. წინამძღვრიშვილმა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობას მოახსენა საქმის ვითარება. ცეკის წევრები წინააღმდეგი იყვნენ ნაადრევი გამოსვლის, მაგრამ ცეკის წევრთა შორის აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებიც თანახმა იყვნენ მხარი დაეჭირათ, "თუ

მში". მხარს უჭერდნენ პარტიის თავმჯდომარე კ. აფხაზი, პოლკ. დ. ვანინაძე (სამხედრო კომისიის თავმჯდომარე) და „გ. წინამძღვრიშვილი (იქვე, გვ. 12). მაგრამ ცეკ-ში იყვნენ სხვა წევრებიც, რომლებიც უფროს აჯანყების წინააღმდეგნი იყვნენ, მაგალითად მიხეილ ჯავახიშვილი. მისი აზრი ჩანს პირადი დღიურის ჩანაწერებში: "მე მარტო. იასონი და გ.წ. სდუმან. მებრძვიან დ. ვანინაძე, აფხაზი, ბოლოს მომემხრნენ იას. აფხაზი" (ქ. ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, გვ. 31). აქედან კარგად ჩანს, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებს შორის იმთავითვე ყველაზე სწორ პოზიციაზე მდგარა და სხვათა მიერ სწორი პოზიციის გამომუშავებაშიც განსაკუთრებული როლი შეუსრულებია. თუნდაც ამ ერთი მაგალითიდანაც კი ირკვევა, რომ მ.ჯავახიშვილი განსაკუთრებით გონიერი პოლიტიკოსია. მსგავსი მაგალითები კი სათანადო დოკუმენტებში მრავლად გვხვდება. სამწუხაროდ ზოგმა მკვლევარმა ვერ მოახერხა ამ მაგალითების სწორი გააზრება და დიდი მწერალი შეცდომით საზოგადო პოლიტიკოსად დაგვიხატა. სინამდვილეში,იასონს დაეკალა საკითხი დაეყენებინა "დამკომის" წინაშე და ეთხოვა, "რომ მოძრაობას "სამხედრო ცენტრი ჩასდგომოდა. "დამკომმა" არ გაბედა ნაადრევ გამოსვლებში მონაწილეობის მიღება და სამხედრო ცენტრსაც არ მისცა უფლება ასეთი მოძრაობისთვის ესელმძღვანელა. ამის გამო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში დადგა საკითხი სეპარატისტული გამოსვლებისა... წინააღმდეგი იყო იას. ჯავახიშვილი, რომლის აზრითაც სეპარატისტული გამოსვლა დაანაწილებდა ქართულ ძალებს და ამით ზიანს მიაყენებდა საერთო ეროვნულ მოქმედებას". ს. ზალდასტანიშვილი იმაზე არაფერს ამბობს თუ რა უბედურებას უქადდა, და მოუტანა კიდეც სეპარატიზმმა ხევსურებს. მაგრამ მადლობა ღმერთს, იმას მაინც წერს, რომ "საბოლოოდ პარტიამ იას. ჯავახიშვილის შეხედულება გაიზიარა და დაადგინა: "მიღებული იქნას ყველა ზომები, რომ ნაადრევი გამოსვლები არსად არ მოხდეს. ეს დადგენილება პარტიამ ყველა პროვინციებს აცნობა" ("საქართველოს 1924 წლის ამბოხება", გვ. 12,13). ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება, ეროვნულ დემოკრატების ცეკ-მა ივანტურის თავიდან აცილების და ქაქუცას მორ-

ჩილებაში მოყვანის მიზნით, მის რაზმში მიაყლინა ჯერ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცეკის წევრი, ცნობილი პოეტი და თვალსაჩინო ანტისაბჭოთა ბრძოლის ორგანიზატორი, შემდეგში კი ამ პარტიის ცეკის თავმჯდომარე და 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი - შალვა ამირაჯიბი. შემდეგ ამავე მისიით გააგზავნეს მ. ჯავახიშვილის დიდი ხნის თანამოაზრე-მეგობარი, ყოფილი სოციალისტ-ფედერალისტი და აქტორიტეტის მქონე პიროვნება- სიმონ ყიფიანი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის (კ. აფხაზის) მოადგილე, ედპ ცეკ-ის პრეზიდიუმის და "დამკომთან" არსებული "სამხედრო კომისიის" წევრმა, ცნობილმა მწერალმა და ანტისაბჭოთა არალეგალურად მებრძოლი რეალურად მოაზროვნე სომიერების, ანუ რადიკალების ერთ-ერთმა ყველაზე მდგრადმა წარმომადგენელმა მ. ჯავახიშვილმა ჩეკაში პატიმრობის დროს, ამასთან დაკავშირებით 1923 წლის 16 მარტს ზაკჩეკას თავმჯდომარე მოგილევსკის უნვენა: ეროვნულ დემოკრატთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ხოლოკაევის ურთიერთდამოკიდებულება, ჩემი შთაბეჭდილებით, ერთობ გაურკვეველი იყო. ერთი მხრივ ნათლად შეიმჩნეოდა ამ მოვლენებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება და ამ საკითხისათვის ბოლოს მოღების სურვილი. მეორე მხრივ კი ვგრძნობდი ცალკეულ პირთა და ჯგუფთა ფარულ მუშაობას საპირისპირო მიმართულებით. ხოლოკაევთან ამირაჯიბისა და ყიფიანის გაგზავნა პოსტ-ფაქტუმ შევიტყე. ამასთან ამიხსნეს, ამათ იმ მიზნით ვაგზავნით, რომ ხოლოკაევი შეაკაონ საერთო აქტიური მოქმედებისაგან და კერძოდ "ექსესებისაგანო". პარტიის ლიდერების კედიას (სპირიდონის - გ.ც.) და ასათიანის (ალექსანდრეს - გ.ც.) როლი და გაევლენა საერთოდ "ხოლოკაეველობის" საქმეში თითქმის გადამწყვეტი იყო. ციხიდან ისინი თითქმის ყოველდღიურად უკავშირდებოდნენ და დირექტივებს აძლევდნენ იასონ ჯავახოვს. მაგონდება, რომ კახეთს გაგზავნილ ამირაჯიბს დაეალეს, დაიყოლიე ხოლოკაევი თვითლიკვიდაციის სანაცვლოდ მთავრობას მოსთხოვოს თუ მასთან ჩავიდოდნენ ხიმშიევი (პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი "სამხედრო ცენტრის" წევრი - გ.ც.) პოლიტპატიმართა განთავისუფლებაო" (ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, გვ. 243).

მაშასადამე, ს. ყიფიანს ქაქუცას რაზმის დღიურების შედგე-

ნა, მხოლოდ ფორმალურად დაევალა. ლევან რაზიკაშვილს პირველად სწორედ სიმონისგან უნდა გაეგო სიმონის, თავისი პარტიის და "დამკომის" აზრი აჯანყების მიუღებლობა-დაგმობის შესახებ. მას ამის შემდეგ კი შეეძლო ეს სხვებთანაც დაეზუსტებინა. აი, რამ განსაზღვრა ლევანის პირველი დამღუპველი მოქმედება ეროვნულ-დემოკრატი მეამბოხე მებრძოლის, ქ. ჩოლოყაშვილისადმი დანებება, შემდეგ მასთან ორ თუ სამ დღეს ყოფნა და ამის შემდგომ კი ლევანის ქ. ჩოლოყაშვილისაგან გარიდება, ფშაველთა აჯანყების შესახებ დავალების შეუსრულებლობა და შემდგომი თავშეკავებული საქმიანობა, კერძოდ ის, რომ მან არ ისარგებლა მამისა და საკუთარი ავტორიტეტით, და აჯანყებული ფშაველებით საბჭოთა ჯარს ზურგში არ მოუწყო აჯანყება. ამ შემთხვევაში კიდევ უფრო დიდი უბედურება დაატყდებოდა მოსახლეობას.

ბევრმა ვერ გაიგო, რომ ყალბია ალ. სულხანიშვილის აზრი ქართული ხასიათის შესახებ. უბრალოდ, იგი ვერ გაერკვა მოვლენების პოლიტიკურ-პარტიულ შეფასებებსა და რადიკალების ტაქტიკაში. მაგრამ ამაში ვერ გაერკვა არა მარტო ბევრი გმირი მამულიშვილი, არამედ ზოგი მეცნიერიც კი, ბევრმა ვერ გაიგო, რომ რაც მოხდა, ეს მნიშვნელოვანწილად ექსტრემისტი ხელმძღვანელების წაქეზებით და ალ. სულხანიშვილის აზრის მიმდევართა ბოლომდე გაუცნობიერებელი აქტიურობის გამო მოხდა.

"სამხედრო ცენტრის" წევრებმა, რომლებიც თავისდაუნებურად, აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილ ექსპედიციას მეთაურობდნენ, დაიკავეს "დამკომის" პოზიცია. მაგრამ ამავე დროს, რაც შეეძლოთ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა მსხვერპლი მაქსიმალურად შეემცირებინათ. ამ მიზნით, დიდი გულმოდგინება გამოიჩინეს მენშევიკებმაც. ამ პარტიის "სამხედრო კომისიის" თავმჯდომარემ, სახალხო გვარდიის ყოფილმა სამხედრო ექიმმა, პოლკოვნიკმა იოსებ ცინცაძემ, რომელმაც თავისი პირადი ეროვნული პატრიოტიზმი და ეაუკაცობა არაერთგზის გამოავლინა, პოლკოვნიკ რ. მუსხელიშვილს, რომელიც საექსპედიციო ჯარების შტაბის უფროსი და სამხედრო ოპერაციების ერთ-ერთი მთავარი წარმმართველი გახლდათ, წინადადება მისცა, მთელი შესაძლებლობით დაეცვა ხევსურები (სუკის არქივი № 24058, ფ. 52,55). ეროვნულ დემოკრატებშიც

რადიკალები ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ მსხვერპლი. მ. ჯავახიშვილი დღიურში წერს: "ჩვენი ტაქტიკა- ქაქუცას გადარჩენა, ალეის გარდვეცა" (ქ. ჯავახიშვილის დასახელებული წიგნი, გვ. 31). ქ. ჩოლოყაშვილი ეროვნულ-დემოკრატი და ამ პარტიის "შვილობილი" გახლდათ. ამიტომ გასაგებია, რომ ამ "თვითმოქმედი" ეროვნული გმირი რადიკალებს გასაწირად არ ემეტებოდათ. მათგან განსხვავებით, მენშევიკები ქაქუცას ნეიტრალიზებას ცდილობდნენ. ექსტრემისტები კი იღვწოდნენ მისი მეშვეობით გაეხალებინათ საერთო ეროვნული აჯანყების ხანძარი. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა საქართველოსათვის სასარგებლო სიტუაციების წაბიძგება.

დიახ, ამ მოელენების წაბიძგების მიზნით ექსტრემისტები ინგარიშგაუწევლად მოქმედებენ. ამ ამბების მომსწრე-მონაწილეების ჩვენებებში ეხედაეთ საოცარ, თითიდან გამოწოვილ ინფორმაციასე აგებულ პროვოცირებას. მენშეეიკმა ნიკოლოზ ზანდუკელმა უჩვენა, "ს. ჭიაბრიშვილი მარწმუნებდა გაქვთ ცეკის განკარგულება გამოსვლასე, დუშეთის გამოსვლა სანქცირებულია ცენტრიდანო" (სუკის არქივი № 28068, ფ. 10). თვითონ ს. ჭიაბრიშვილმა კი უჩვენა "ფაელენიშვილი (ქ. ჩოლოყაშვილის მოადგილე - გ.ც.) მეუბნებოდა მოდიან საომრად ჩეჩნები, ქისტები, ლეკები და კაზაკები. იწყება ომი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩვენც წავიდეთო" (იქვე, ფ. 21). მთელი ამ პროვოცირების მოთავე იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის "სამხედრო კომისიის" თავმჯდომარე, დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი დ. ვაჩნაძე. პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი, რომელიც ასრულებდა მენშეეიკების პარტიის "სამხედრო კომისიის" თავმჯდომარის და დამკომის მითითებებს ხევსურეთის აჯანყებულთა მიმართ მაქსიმალური დანდობის და საერთო ქართულ აჯანყებად მისი გაუერცელებლობის შესახებ, უჩვენებს, რომ დ. ვაჩნაძემ მას, ჯერ კიდევ 1921 წელს განუცხადა, "ევროპა მოლაპარაკებას ეწევა საბჭოთა რუსეთთან საქართველოდან გასვლის შესახებ, და რომ ეს იცის ყველასე სანდო წყაროებიდან", შესთავაზა აქტიური მოქმედება ბოლშევიკების წინააღმდეგ და გააფრთხილა "ეს უნდა გაეკეთოთ, თორემ ჩვენ ყველანი ჩავითვლებით სამშობლოს მოღალატეებად, ქართველი ერი ჩვენს იმედზეაო" (სუკის არქივი № 24058, ფ. 63). დ. ვაჩნაძეს 1922 წლის აგვისტოში უთქვამს: "ნაციონალ-

ისტებმა (ედპ გ.ც.) გადაწყვიტეს იმოქმედონ პარიტეტული კომიტეტისაგან დამოუკიდებლად... ხოლოყაშვილი მზადაა, გლეხებს მეტის მოთმენა აღარ შეუძლიათო" (იქვე, ფ. 64/2). დ. ვანნაძეს შეუდგენია ბუკმა, 1922 წელს 27 სექტემბერს ალავერდობის ზეიმის დროს, როცა ყველას იარაღის ტარების უფლება აქვს (და ყველა მთვრალია - გ.ც.) იქიდან თბილისის იერიში წამოიწყოს (ფ. 50, 64/2). ხევსურეთზე იერიშის წინ დ. ვანნაძეს შეუთვლია, შეუნერებლად შეუტიეო. ეს აზრი ემოხვეოდა სარდლობის აზრს (ფ. 93). მაშასადამე, ჯარების ზურგში დარტყმის გეგმაც მისი ნასიბრძნი ყოფილა - აი ეს არის ავანტურა, რომელიც არ გამორიცხავს მამულიშვილობას.

"სამხედრო ცენტრთან" დაკავშირებული, საექსპედიციო ჯარების ერთ-ერთი მეთაურის, 1923 წელს სხვებთან ერთად დაპატიმრებული და დახვრეტილი პოლკოვნიკ ალ. მაჭავარიანის ჩვენებიდან ჩანს, რომ კავკასიის არმიის სარდლობის 1922 წლის 8 სექტემბრის ბრძანებით, პატარა ხევსურეთზე საიერიშოდ გამოიყო სამი კოლონა 2 ათასამდე კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცით, ოთხი ზარბაზნით, კავკასიის კავალერიის ნაკრები ესკადრონით, დამოუკიდებელი მსროლელთა და საინჟინრო ოცეულები. სხვა დამოუკიდებელი ოცეული იდგა სოფ. ქარქუჩაში (სუკის არქივი № 28065, ფ. 44/2). აჯანყებულებისადმი ჩეჩნების დახმარების მოსაგერიებლად ყაზბეგში იდგა სამხედრო დანაყოფი ჯავშნოსანი ავტომობილით (იქვე, ფ. 44). რ. მუსხელიშვილის ერთ-ერთი ჩვენების მიხედვით, ამიერკავკასიაში იდგა საბჭოთა 145 ათასიანი, ხოლო ჩრდილო კავკასიაში ამდენივე რეგულიარული ჯარი (სუკის არქივი № 24058, ფ. 114). თვითმხილველი ალ. სულხანიშვილი წერს, რომ ხევსურეთის ცაზე, ბრძოლების დროს, დაფრინავდნენ საბჭოთა თვითმფრინავები, რომლებიც ხევსურებს ეგონათ საზღვარგარეთიდან ქარუმიძე შალვაის გამოგზავნილი (გვ. 71). სინამდვილეში ესენი უნდა ყოფილიყვნენ აჯანყებულთა და საბჭოთა ჯარების დაჯგუფება-გადაჯგუფების მაკოორდინირებელი, მაცდურთა მიერ ხევსურთათვის თავისიანად დასახული.

როგორც ჩანს, აჯანყებულები ხევსურეთში აღმოჩნდნენ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. მენშევიკების ცეკმა შეიმუშავა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ ხევსურებზე ხელისუფლების ჯარების დარტყმის შემამსუბუქებელი ღონისძიება. ი.

ცინცაძის და სხვათა მეცადინეობით შეიქმნა "ბოევიკების" ჯგუფი, რომელსაც გადასცეს იარაღი, ბინოკლი, კომპასი, მედიკამენტები, ფული და ს. ბაგრატიონ-მუხრანელის მეთაურობით გააგზავნეს კავთისხევში დაბანაკებულ ლაშქარაშვილის რაზმში, აქ შეკრებილი გლეხთა ლაშქარის ხელმძღვანელობის, და ხევსურეთზე მოლაშქრე ჯარების ზურგში შემაფერხებელი დარტყმის განხორციელების მიზნით. ამ ლაშქრის რაოდენობა კი თეთმხილველის, ქეთახევის მონასტრის ბერის, ნეოფიტე ვარდუაშვილის ჩვენების მიხედვით იყო არა გაზვიადებული 300-400, არამედ სინამდვილეში მხოლოდ 50-ოდე მებრძოლი (სუკის არქივი, № 24050, ფ. 69). გეგმის თანახმად, რაზმი ორად უნდა გაყოფილიყო და ფავლენიშვილთან ერთად, 29 სექტემბერს იერიში მიეტანა დუშეთზე (სუკის არქივი № 24060, ფ. 37), სადაც იდგა საექსპედიციო ჯარის შტაბი, სამხედრო აღჭურვილობის რეზერვით. ამ დროს კი ხევსურეთის ბრძოლები კარგა ხნის დამთავრებული იყო. რევანში არ შედიოდა "დამკომის" გეგმაში. ახლა იმის გამო, რომ უკვე ამ ოპერაციის განხორციელებამდე ცხადი გახდა ხევსურეთის აჯანყების დამარცხება, "დამკომის" გადაწყვეტილებითა და ი. ცინცაძის მითითებით ბანაკში 28 სექტემბერს აფრინეს კოტე გაბაშვილი, რომელმაც ხელისუფლების სახელით ყველას ვინც იარაღს დაყრიდა, ამნისტია აღუთქვა (სუკის არქივი № 28068, ფ. 73). ამ წინადადების გამო საუბარი დიდხანს გაგრძელდა. როგორც ჩანს, ზოგს არ უნდოდა ლაშქარის დაშლა. ამით ახლა თავიდან აიცილეს კავთისხეველი გლეხებისა და "ბოევიკების" განადგურება. ლაშქარი დაშალეს, ხოლო თბილისში დაბრუნებულ "ბოევიკებს", საქრეკას ხელმძღვანელის კ. ოკუჯავას დახმარებით "შემორიგება" ჩაუწყვეს. (სუკის არქივი № 24058, ფ. 53). "შემორიგებები" გატარდა დუშეთშიც (სუკის არქივი № 23465, ფ. 60, № 28068, ფ. 21). მაგრამ მას შემდეგ, როცა დააპატიმრეს "სამხედრო ცენტრის" წევრები, დააპატიმრეს აგრეთვე აჯანყებასთან დაკავშირებული, დაკითხვების დროს გამჟღავნებული პიროვნებები. ყველა მათგანს დააბრალეს ხევსურეთის აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა და აქედან ზოგი დახვრიტეს, ზოგს კი პატიმრობა მიუსაჯეს. სხვადასხვა პატიმართა ჩვენებებიდან ჩანს, რომ ორ ათეულს არ აღემატებოდა ფავლენიშვილის რაზმი. ესეც ყაზბეგსა და დუშეთს შორის მოქმედების დროს არაერთ-

გზის გადაეკეთა ჯარის ნაწილებს. შ. ფაღლენიშვილი შეეცადა ჯარების სურგში მოეწყო დეშეთის აჯანყება, მაგრამ მან ვერ მოახერხა "დამკომისა" და არალეგალური პარტიების ხელმძღვანელობის დირექტივების დაძლევა (სუკის არქივი № 28068, ფ. 10,21, 22).

განსაკუთრებით დრამატული აღმოჩნდა ხევსურეთის ბრძოლები. აქ მამაკაცების გვერდით მედგრად იბრძოდნენ ქალებიც. რ. მუსხელიშვილის, ჩვენი აზრით შემცირებული მონაცემებით, (მეორე ადგილას უწერია მოკლულთა და დაჭრილთა სახით 300) ხევსურთა დანაკარგმა შეადგინა 300, ხევსურეთის აჯანყებულებმა მოსპეს ასეულობით ჯარისკაცი (სუკის არქივი № 24058, ფ. 55, 66).

სიმპატია ჩვენი ხალხის ჭეშმარიტი ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის და სამშობლოს განთავისუფლებისათვის თავგანწირულად მებრძოლი მისი რაზმელების მიმართ, იმდენად მკაფიოდ და შთამბეჭდავად არის ასახული ანტისაბჭოთა მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა მოგონებებში, რომ მისით ცალმხრივად განიმსჭვალნენ აგრეთვე ზოგი თანამედროვე ისტორიკოსები. მათ ვერ გაიგეს, რომ პარტიზანული და ლოკალური ამბოხებითი ბრძოლები არ თავსდებოდა იმდროინდელი "დამკომის", "სამხედრო ცენტრის" და ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების ფართოდ მოაზროვნე, პერსპექტივის სწორადმჭვრეტი ლიდერების ინტერესებში. ზოგი ისტორიკოსი ცდილობს ექსტრემისტულ-ავანტურისტული მოძრაობა წარმოაჩინოს, როგორც სწორი, "დამკომის" და "სამხედრო ცენტრის" ინტერესებისა თუ გეგმებიდან გამომდინარე და ეროვნული მოძრაობის მოცემული ეტაპისათვის გამართლებული. ამიტომ ისინი ფაქტებსაც ისე აკოწიწებენ, თითქოს ქ. ჩოლოყაშვილისა და აჯანყების მხარდამჭერების (დ. ვაჩნაძე და სხვ.) მოქმედება ეროვნული მოძრაობის ცენტრთან ყოფილიყო შეთანხმებული. ამ შემთხვევაში მართლაც გაუგებარი გახდებოდა ის, თუ რატომ არ ააჯანყა ლ. რაზიკაშვილმა ფშაველები, მენშევიკურმა რაზმებმა რატომ იმთავითვე არ დაარტყეს ზურგში ხევსურეთზე მოიერიშე ჯარებს და რატომ არ განხორციელდა გეგმა, რომელიც ალ. სულხანიშვილის თუ ისტორიკოსების მიერ, შეცდომით, დამკომის გეგმად არის მიჩნეული. ამ გაუგებრობათა კვანძის ამოსახსნელად საჭიროდ გვესახება დამატებით მოვიხმოთ

თუნდაც ორიოდე უალრესად მნიშვნელოვანი ამოხარიდი საქმეპედიციო ჯარების შტაბის უფროსის და ერთ-ერთი მეთაურის პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილის 1923 წლის 21 მარტის ჩვენებიდან. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია გავიხსენოთ, რომ ეროვნულ-დემოკრატების სამხედრო კომისიის თავმჯდომარე, პოლკ. დ. ვანნაძე ჯერ კიდევ ხევსურეთის აჯანყებამდე ესაუბრა რ. მუსხელიშვილს ანტისაბჭოთა აჯანყების საჭიროებისა და ამ მიზნით სამხედრო-ტაქტიკური გეგმის შედგენის საჭიროების შესახებ, რაზეც მისგან სრული გულგრილობა დაიმსახურა. უფრო მეტიც, რ. მუსხელიშვილმა ვანნაძის მიერ ჩამოყალიბებულ გეგმას, რომელიც ითვალისწინებდა 27 სექტემბერს ალავერდობის დროს თავმოყრილი ხალხის ქაქუცას მიერ აჯანყებას და თბილისის ასაღებად მათ ერთობლივ გამოლაშქრებას - აფერა უწოდა.

ზოგ ავტორს, ეს არასერიოზული გეგმა იმდენად მისაღებად მოეჩვენა, რომ მის მხარდამჭერთა შორის საქართველოს იმდროინდელი კათალიკოს-პატრიარქიც კი მოიაზრა. თითქოს თელავიდან, საგანგებო კაცის პირით, კათოლიკოსს მოუვიდა ამბავი, რომ ხალხი დღე-დღე გამოსვლას აპირებს; რომ ჩოლოყაშვილი გადავიდა კახეთიდან ხევსურეთში. კათოლიკოსს ამბროსის გადაწყვეტილი აქვს ხალხის ამ გამოსვლაში მონაწილეობა მიიღოს. ამიტომ სთხოვა ქ. ჩოლოყაშვილისთვის ეცნობებინა, რომ გამოსვლის დღე ალავერდობის დღეს შეუერთოს. "ამ დღეს კათოლიკოსი იქნება ალავერდში და წმ. ნინოს ჯვრით დალოცავს და აკურთხებს მებრძოლ ქართველ რაზმებს... და თვით გაჰყვება მათ ბრძოლაში..." (იხ. გაზ. "აგვისტო 1924", 1998, 1, სექტემბერი, ფ. 3). არადა, ამითა და მსგავსი მოსაზრებებით, ჩვენდაუნებურად ვამცირებთ ჩვენს ბრძენ წინაპრებს, რომლებიც სინამდვილეში, მსგავსი ექსცესების სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ. ხევსურეთის ამბების შემდეგ "დამკომისა" და "სამხედრო ცენტრის" გაერთიანებულმა საგანგებო სხდომამ დაგმო ექსტრემიზმი და ავანტურიზმი, ქაქუცას კი შემდგომ (ე.ი. 27 სექტემბრის) გამოსვლებზე უარის თქმა მოსთხოვა. იოსებ ცინცაძესთან საუბრის შესახებ კი როსტომ მუსხელიშვილმა "საკუნეას" თავმჯდომარეს, დაკითხვის დროს, უჩვენა: "აგვისტოს 15-20 შორის დ. ვანნაძემ მითხრა: პოლიტიკურ ინფორმაციაზე მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენი ინტელიგენცია

ელიზველმა "ხაკენეას" თავმჯდომარეს, დაკითხვის დროს, უჩვენა: "აგვისტოს 15-20 შორის დ. ვანნაძემ მითხრა: პოლიტიკურ ჰორიზონტზე მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენი ინტელიგენცია მოძრაობას, რომელიც სოფლიდან მოდის, სათავეში უნდა ჩაუდგეს. სოფელი ქაქუცასაგან ხელმძღვანელობას მოითხოვს, თუ ხელმძღვანელები ჩვენთან არ იქნებიან მივაფურთხებთ მათ და ჩვენვე ჩვენი ინიციატივით გამოვალთ... გვეყოფა ძველი გენერლებისადმი მიმართვა... დრეა ახალგაზრდა ძალებმა მოკიდონ საქმეს ხელი. ქაქუცა მზად არის და მოითხოვს გამოსვლას. ნაციონალისტებს (ე.ი ედპ-ს ექსტრემისტ ლიდერებს - გ.ც.) გადაწყვეტილი გვაქვს გაუგზავნოთ ბრძანება თავი მოიყარონ ალავერდში 27 სექტემბრის ზემის დროს, სადაც ხალხის ლეგალურ თავყრილობას შეუერთდება და დაიწყებს მოქმედებას. მაგრამ, როგორ დავიწყოთ მოქმედება, რა გეგმით, ამის მითითებებს და ანრებს ველოდებით თქვენგან. ჩვენ ვფიქრობთ ეს მოსაზრებები გაუგზავნოთ ნოლოფაშვილს. მე ვუპასუხე, რომ ეს სხვა არაფერია თუ არა აფერა, გამოიწვევს მხოლოდ ხალხის განადგურებას, და თუ რამეს ელოდება თქვენი პარტია, ტყუილებრალად... მე კატეგორიულად უარვყავი ვანნაძის წინადადებები და განვუცხადე, რომ ახლა ის დრო არაა, როცა შეგვეძლო პარტიული ანგარიშები გაგვესწორებინათ ერთმანეთისათვის. ახლა (მენშევიკების დროისგან განსხვავებით - გ.ც.) თქვენს წინ ძალაა. წითელი არმია გაჩრეს თქვენს ყოველ მცირე მოძრაობას... მან მე ამაზე მიპასუხა, რომ ჩვენ გამოსვლა გვინდა, ჩვენთან ერთად აღსდგება დასავლეთ საქართველო. ამას იგი ამბობდა სვანეთის ექსპედიციის შემდეგ (როცა გამოვლინდა უდრეთ გამოსვლის საბედისწერო შედეგები - გ.ც.). რა თქმა უნდა მე დავცინე და გავიმეორე მონაწილეობა მასში არ შეიძლია სინდისის გამო და დაუმატე: ამ საკითხს თქვენ უნდა მიეკიდოთ უფრო სერიოზულად და უარი სთქვათ ყოველგვარ აქტიურ მოქმედებაზე. იმ დროს ვუთხარი აგრეთვე: "თქვენ ნაციონალისტები" (ანუ ექსტრემისტ-ავანტურისტები - გ.ც.) მოღალატეები ხართ. მან მიპასუხა, რომ გამოსავალი არ არის და ჩვენ მივმართავთ სხვებს. კერძოდ ვის არ უთქვამს. იგი ასეთ პასუხს არ მოელოდა და გაშაფრთხილა, რომ მე ნავთვლები გამეიდველთა რიგებში და რომ ამას დაამტკიცებენ არა მარტო თანამებრძოლები. არამედ სამშობლოს მცირე-

დად მოეკარულნიც. ამ სიტყვებით წავიდა. ამის შესახებ მე არაეისთვის მითქვამს და ვიმედოვნებდი იმ სხვა ხელმძღვანელებსე ვისაც მიმართავდა ვანნაძე.

აგვისტოს ბოლოს გავეცანი არმიის სარდლის (ეგორიევის - გ.ც.) ბრძანებას, რომელშიც ნათქვამი იყო. რომ სოლოყაშვილის ბანდა ამჟამად ოპერირებს დუშეთის რაიონში, და უკვე იყო შეტაკებები დუშეთის გარნიზონის წითელი არმიის ნაწილებთან. ბრძანებაში დამატებულია, რომ პოლიტიკური ხასიათი ამ ბანდისა ეჭვგარეშეა, და ქართული დივიზიის ხელმძღვანელებს გვიბრძანებდნენ ამ მოძრაობის ძირფესვიანად ლიკვიდირებას. გამიკვირდა ბანდის დუშეთის რაიონში ყოფნა და მისი აქტიური მოქმედება, რომელიც ვანნაძის პროექტით ალაყერდში უნდა დაწყებულიყო 27 სექტემბერს მივარდი ვანნაძეს, რომ გამერკვია მართლა მათი ნანაყიქრი თუ ტარდებოდა ცხოვრებაში. მაგრამ იგი სახლში არ დამხვდა" (სუკის არქივი № 24058, ფ. 50-51).

ზემოაღნიშნული რ. მუსხელიშვილის ახრი სრულ შესაბამისობაში იმყოფება მენშევიკების ხამხედრო კომისიის თავმჯდომარის, პოლკოვნიკ ი. ცინცაძის თვალსაზრისთან. ამის საილუსტრაციოდ მოგვაქვს ამონარიდი რ. მუსხელიშვილის 1923 წლის 21 მარტის ჩვენებიდან: "Порицая действия Вачнадзе и назвав их глупими, д-р (доктор - Г.С.) Цинцадзе сказал мне, что Вачнадзе дурак и не понимает, что никакие выступления без санкции Комитета Независимости делать нельзя... Он высказался против организации банды, против которой должны действовать войска Красной армии...". დ.ვანნაძის გეგმასთან დაკავშირებით ი.ცინცაძეს უთქვამს, რომ "ამის შესახებ ახლა ყოყრიც კი არ შეიძლება. რადგან ჩვენ ჯერ კიდევ შორსა ვართ სათანადო ორგანიზაციისგან, ჩვენი ამხანაგები დაპატიმრებულები არიან და ამისათვის ალბათ წლები დაგვჭირდება..." (სუკის არქივი №24058, ფ.53). მაგრამ ასეთი მდგომარეობა საქართველოს და ანტისაბჭოთა მოძრაობის ხელმძღვანელობას არ შეეშინა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დ. ვანნაძე "დურაკი" კი არა, დიდი პატრიოტი იყო. მსგავს უხეშ გამოთქმებს და მინიშნებებს საპირისპირო ტაქტიკის, თუ ახრის წარმომადგენელთა მიმართ სხვა ბევრიც მიმართავდა. სამწუხაროდ. ასეთ გამოთქმებს, სათანადო კომენტარის გარეშე აქვეყნებს ზოგი

მხარდამჭერი თანამოაზრე-თანამებრძოლები, არამედ აგრეთვე მოქმედების გამამართლებლები, რომლებიც ემყარებიან მოვლენებში სიღრმისეულად გაერკვევლობას. გმირ ხევსურთა მსხვერპლმა ქსოლოყაშვილის მიმართ დიდი უკმაყოფილება ასაზრდოვა მთაში. პარტიზანული მოძრაობის წინააღმდეგ ნეკის საექსპედიციო რაზმების და რეგულარული ჯარების სისტემატურად გამოყენებამ კი უკიდურესად გაანაწყენა კახეთის მოსახლეობა.

1922 წელს აღმოსავლეთ საქართველოში განვითარებულმა ამ ტრაგიკულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მოსახლეობაზე. მართალია დაუმორჩილებელთა მოძრაობა კვლავაც გრძელდებოდა, მაგრამ ექსტრემისტული ხელმძღვანელობის შეცდომებმა თავი განსაკუთრებით ისინა 1924 წლის აჯანყების დროს. ამ და მომდევნო წლებში აღმოსავლეთ საქართველოში განხორციელებულმა რეპრესიებმა გარკვეულწილად განსაზღვრეს ის, რომ 1924 წლის აჯანყების მნიშვნელოვნად ფართო "ხალხოსნური" ხასიათი ქონდა დასავლეთ საქართველოში.

1922 წლის აჯანყების ექსტრემისტი ხელმძღვანელების სულისკვეთება იყო ჭეშმარიტად ეროვნული, აჯანყების მონაწილეების მოქმედება იყო გმირული, მაგრამ ექსტრემისტი ხელმძღვანელების საბრძოლო ტაქტიკა და სტრატეგიული აზროვნება იყო საერთაშორისო ვითარებისა და ქვეყნის საშინაო მდგომარეობის რეალურ შემეცნებას მოკლებული, მაშასადამე პატრიოტული, მაგრამ ავანტურისტული.

ხევსურეთიდან ჩარგალზე ლევან რაზიკაშვილის მიერ გაცილებული ქ. ხოლოყაშვილის გასხლტომა ხელისუფლებამ და ნეკამ შეაფასა, როგორც უშუალოდ საექსპედიციო ჯარების შტაბის უფროსის, რ. მესხელიშვილის მიზნობრივი დანაშაული. 1923 წელს დაპატიმრებულ სარდალს ბრალდებად წაუყენეს ჯარების ისეთი გადაჯგუფება, რომელმაც ქ. ხოლოყაშვილს ალვიდან თავის დაღწევის შესაძლებლობა მისცა (სუკის არქივი № 24058, ფ. 26,111). წყაროებიდან არა ჩანს, რომ ამ დროს რ. მესხელიშვილი და ლ. რაზიკაშვილი მოქმედებდნენ შეთანხმებით ან საერთო გეგმით. მაგრამ ქაქუაცას გადარჩენაში ლევანის ღვაწლი არის მყარად დასაბუთებული. აქ ჩანს ლევანის ერთგულება ეროვნულ დემოკრატთა იმ საერთო აზრისადმი, რომელსაც აღნიშნავს მ. ჯაფარიშვილი.

მეხრანში მდგარი ბატარეის უფროსის პოლკოვნიკ ჩრდილე-

ლის, "დამკომის" თავმჯდომარის ნ. ქარცივაძის, "სამხედრო ცენტრის" თავმჯდომარის ალ. ანდრონიკაშვილის და წევრების (კ. აფხაზი და სხვ.) ჩვენებებიდან ჩანს, რომ როცა ქაქუცა შეეცადა გადაებირებინა ან ხელო ეგდო ბატარეა, ამ საკითხის გამო იმსჯელა მათმა გაერთიანებულმა სხდომამ და მიიღო გადაწყვეტილება: ქაქუცას მიერ ძალის გამოყენების შემთხვევაში გამოეყენებინათ ძალაუფლება და, საჭიროების შემთხვევაში, ცეცხლიც კი გაეხსნათ მისთვის (სუკის არქივი № 28139, ფ. 29).

ზოგი ამბობს, რომ სამშობლოს განთავისუფლებისათვის ფიცხი მამულიშვილების მოქმედებას და მის უშუალო შედეგებს ქონდა მორალური გამარჯვების მნიშვნელობა (იასონ ჯავახიშვილი, იხ. ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, გვ. 415), ჩვენი ეროვნული დაუმორჩილებლობის ტრადიციის მემკვიდრეობად გადაცემის მნიშვნელობა. გვეუბნებიან "მოიგონეთ თუნდაც ის, რომ ლუარსაბ და სვიმონ მეფეები ერთი საუკუნის განმავლობაში აწარმოებდნენ პარტიზანულ ბრძოლას და ამის გამო შეუნარჩუნეს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა" (იასონ ჯავახიშვილი. იხ. იქვე, გვ. 428) და სხვ. ეს არ არის უგულებელსაყოფი, მაგრამ როგორც ზემოთ აღენიშნეთ, მას ამასთანავე მოჰქონდა უაღრესად უარყოფითი შედეგები: ხალხის განადგურება, მისი მეორე ნაწილის გაჩანაგება, დაშინება, დაჩაჩანაკება. ძნელია მოიძებნოს ექსტრემიზმის შედეგებისა და ავ-კარგის ეროვნულ სარგებლიანობასთან დამოკიდებულების ზუსტი მახასიათებელი. ერთი კი ცხადია, ისტორიული მოვლენების "იასონისეულ" ანალოგიებს კრიტიკული დამოკიდებულება სჭირდება. საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ლუარსაბ და სვიმონ მეფეების ეპოქასთან გაიგივება სკოლის მოსწავლის ჰორიზონტს ვერ სცილდება, და ამას გაგება უნდა. ექსტრემისტულმა ხელმძღვანელობამ მომდევნო წლებშიც გამოიწვია დიდი ეროვნული უბედურებები. 1924 წლის უდროო აჯანყების გამო დახვრიტეს 4000 ადამიანი, მცირე გამონაკლისის გარდა ყველა იყო ქართველი. მრავალი ადამიანი გატანჯეს პატიმრობით და მუდმივი ჩეკისტური დევნით. ამ ადამიანების ადრინდელ ბრალდებებს ჩეკას ორგანოები ანგარიშში იღებდნენ კოლექტივიზაციის და განსაკუთრებით კი 30-იანი წლების საერთო საკავშირო პოლიტიკური რეპრესიების დროს. ჩვენი

ფიცხი ხალხის დაუმორჩილებლობა დიდი ტერორის დროს ჩეკას ორგანოებმა გამოიყენეს, როგორც სასჯელის წამატების კოეფიციენტი. 1921-1938 წლებში საქართველოში ჩეკას ორგანოებმა ჯერ კიდევ ბოლომდე დაუსუსტებელი, ჩეკას ყოფილი არქივის ანუ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების არქივის მუშაკთა დაანგარიშებით, დახვრიტეს 13 ათასზე მეტი ადამიანი. მხოლოდ 1937-1938 წლებში დახვრეტილების რაოდენობამ შეადგინა 11264, ხოლო სხვადასხვა ვადით პატიმრობამისჯილებისამ 11.086, მათ შორის 10-წელ მისჯილი იყო 8.074 ადამიანი (იხ. გ.ციციშვილი, პოლიტიკური რეპრესიები საბჭოთა საქართველოში (1921-1938 წწ) ბაქოს 1996 წლის 6-7 ნოემბრის საერთაშორისო კონფერენციის თეზისები: "საბჭოთა ტოტალიტარიზმი კავკასიაში (20-30-იანი წლები. ბაქო, 1996, რუსულ ენაზე, გვ.129-132).

1939 წლის 1 იანვრისათვის საბჭოთა "გულაგის" საპატიმროებში იმყოფებოდა 11723 ეროვნებით ქართველი. საქართველოს დაუმორჩილებელი მოსახლეობის მიმართ განსაკუთრებულ სიმკაცრეს მოწმობს ჩვენს მიერ არქივში მოპოვებული და ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნებული მონაცემები, რომელიც შეტანილია ბერიას მიერ 1937 წელს სტალინისადმი გაგზავნილ დეპეშაში. აქედან ირკვევა, რომ იმ წლის პირველ ათ თვეში დაპატიმრებული იყო 12.000-ზე მეტი ადამიანი, რომელთაგან სამეულების მიერ გასამართლებული იყო 5.236, სსრკ უმაღლესი სასამართლის კოლეგიის მიერ 910, სსრკ შინსახკომის საგანგებო სათათბიროს მიერ 591, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სპეცკოლეგიის მიერ 468, სამხედრო ტრიბუნალის მიერ - 99, ხოლო სახალხო სასამართლოების მიერ, მხოლოდ 70 (ანუ 0,01 პროცენტი - გ.ც.). (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონდი 14, აღ.2.ს. 152, ფურც. 171-173).

ყველა პარამეტრების მიხედვით, ქართველების უბედურება იყო შესაბამის საერთო საკავშირო მაჩვენებელზე მაღალი. ამას მოწმობს თუნდაც ზოგიერთი მახასიათებელი. ასე მაგალითად, 1937-1938 წლებში, უკანასკნელი ოფიციალური სტატისტიკით, სსრ კავშირში დახვრიტეს 681 692, დააპატიმრეს 1,5 მილიონი ადამიანი (გაზ. "Известия", 1998, 5 ივლისი). ხომ არა ჩანს აქ ჩვენი ეროვნული ცხოვრების ისტორიის და ხასიათის სპეციფი-

ურობის ის ანარეკლი, რომელსაც ჩვენ ხშირად გადაჭარბებული თავმოყვარეობით ვეთაყვანებით? ამის გასარკვევად საჭიროდ გვესახება, კი არ ვიტრაბახოთ ჩვენი წინდაუხედაობის გამოვლინებებითა, თუ ჩვენი გმირი წინაპრების წინდაუხედაობის მსგავსი ანალოგებით, არამედ ღრმად შევისწავლოთ და მართებულად გავაშუქოთ ქართული ეროვნული მოძრაობის თავისებურებები, მისი სხვა მიმართულებებისაც, კერძოდ ღრმად შევისწავლოთ და გავიაზროთ ილია ჭავჭავაძისეული ლიბერალურ-კომპრომისული ხაზი ახალ, საბჭოთა საქართველოში. ეროვნული მოძრაობის ეს ხაზი, ჩვენი გამოკვლევების მიხედვით, 20-30-იანი წლების საქართველოში მიჰყავდათ იმ ქართველ მეცნიერ-პედაგოგებს, მწერლებსა და საერთოდ, ქართული ინტელიგენციის იმ თვალსაჩინო წარმომადგენლებს, რომლებიც გაემიჯნენ ექსტრემიზმს. მათი ანტიბოლშევიკური ბრძოლის პროგრამა გულისხმობდა რეჟიმის სათავეში მდგარ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას ე.წ. "წაწოლის", დროებითი, მოჩვენებითი პოლიტიკით. იგი მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის კულტურულ-ეკონომიკურ აღორძინებას, მის ფიზიკურ დაცვას და ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების განმტკიცებას. ამ მიმდინარეობამ, ჩვენი აზრით, ქართველ ხალხს, მის უაღრესად მძიმე, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მოუტანა გაცილებით მეტი სარგებლიანობა, ვიდრე მთელმა ექსტრემისტულმა წარმომადგენლობამ, ერთად აღებულმა. ამ კომპრომისულ-ლიბერალური მიმდინარეობის მედროშე 20-30-იანი წლების საქართველოში, ჩვენი გამოკვლევების მიხედვით, იყო ივანე ჯავახიშვილი, რომელიც თანამოაზრე-თანამებრძოლებთან ერთად იყო დიდი ილიას პოლიტიკური ტაქტიკის მემკვიდრეობის თანმიმდევარი გამგრძელებელი. ივ. ჯავახიშვილი საქართველოში საბჭოთა წითელი ჯარის შემოტევის დროს თავად იყო მებრძოლი სულის, ქართველი მეცნიერ-პედაგოგების, და სტუდენტობის საბრძოლო სულისკვეთების წამბიძგებელი. (დაინტერესებულ მკითხველს ამ საკითხთან დაკავშირებით, შესაძლებლობა აქვს გაეცნოს ჩვენს შრომებს: "უნივერსიტეტის დამაარსებლები სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სათავეში. ივანე ჯავახიშვილის დასი", გაზ. "ერი", 1991, 27 თებერვალი - 6 მარტი; "დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყაროსთვალი არ დამშრალა", ქარელის გაზეთი "სამრეკლო",

1993, 15-26 აგვისტო, 1 სექტემბერი; "გაუჩინარებული ისტორიის ფურცლები", ჟურნ. "ცისკარი", 1994, 1-2, 1995 1-2 და 3-4; "უცნობი ივანე ჯავახიშვილი, პოლიტიკური ცხოვრება", გაზ. "სამშობლო ფორტე", 1996, 12. 13 და 14 ივნისი, 15, 17 ივლისი, 18 აგვისტო, 19, 20 სექტემბერი, 1997, 8-9 აპრილი, 10 მაისი. 12 ივნისი; "სულისკვეთება - ეროვნული, მოქმედება - მამულიშვილური", გაზ. "კრიმინალური ქრონიკა", 1996, 11 სექტემბერი; "ივანე ჯავახიშვილი იდეურად და პოლიტიკურად დაუმორჩილებელი", წერილი I - V, გაზ. "შანსი", 1996, 6, 10, 15, 21, 105; "ნაციონალიზმი დიდი რეპრესიების პოლიტიკური საფუძველი", გაზ. "შანსი", 1997, 80; "ივანე ჯავახიშვილი და პროფესორის საარსებო უფლება", გაზ. "შანსი", 1997, 111; "ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები", თსუ 1998). იგი ბოლშევიკების მიერ ოკუპირებულ საქართველოში კი თანამოაზრე მამულიშვილებთან ერთად, უსისხლო ბრძოლის გზით ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციის, ეროვნული სულისკვეთების სიმტკიცის და ერის აღორძინებისათვის იღვწოდა.

ჩვენი კვლევა-ძიების შედეგების მიხედვით, ფაქტობრივად ლეგალურ-კომპრომისული, ლიბერალური ბრძოლისა და ზომიერი არალეგალურ-რადიკალური ტაქტიკით მებრძოლთა შორის, არსებობს აშკარად გამოკვეთილი პოლიტიკური ინტერესების თანხვედრა. ეს არის ბრძოლა საქართველოს, ქართველი ერის ინტერესებისათვის, არსებული რეალობის შესაბამისი მეთოდებით. ანტისაბჭოთა ბრძოლის ამ მიმდინარეობებმა აარიდეს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ჩეჩნური ვარიანტი, რომელსაც ამზადებდა ექსტრემიზმი, რომელსაც ჩვენი ზოგი მეთაურის უთაურობის გამო ე.წ. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის" და „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" ცნობილი მოვლენების მაგალითზე ბოლომდე მაინც ვერ ავცდით.. ჩვენი აზრით, სწორედ ამ, ე.წ. კომპრომისული ტაქტიკით მებრძოლთა, ანუ სწორი ეროვნული მოძრაობის რეალისტ წარმომადგენელთა შორის მოიაზრება ქართველი ხალხის დიდი მგოსნის, ვაჟა ფშაველას შვილი - ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილი, რომელიც არ იყო მეამბოხე ექსტრემისტი, ავანტურისტული ტაქტიკის მიმდევარი, მაგრამ ჩეკისტურმა რეჟიმმა, სწორედ იმიტომ გასწირა, რომ იყო დიდი ვაჟას პირმშო, სამშობლო-

სათვის გულანთებული მამულიშვილი, და თავისი მეობით სხვებისათვის სანიმუშოდ მისაბაძი. იგი თავისი მოქმედების არენაზე იბრძოდა ყაზაღებსა და ხევსურებს შორის მშვიდობისა და სამართლიანობის დამკვიდრების, დიდი მამის, ვაჟა-ფშაველას და თავისი ხალხის პოეტური მემკვიდრეობის ერის კუთვნილებად გადაქცევისათვის. ლევანი, როგორც ეროვნულ-დემოკრატი მ'ხად იყო ობიექტურად ხელსაყრელ ვითარებაში სიცოცხლე შეეწირა საყვარელი სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ამ თვალსაზრისით იგი მართლაც იყო "გამოუსწორებელი". მაგრამ მოვლენების რთული განვითარების სიტუაციაში ლევანი, როგორც სამშობლოსათვის საკუთარი სიცოცხლის არდამრიდი პიროვნება, აღმოჩნდა ერთის მხრივ ქ. ნოლოყაშვილის გვერდით, მეორეს მხრივ სიტუაციის სწორად შემფასებელ რადიკალ ეროვნულ-დემოკრატებს შორის. ლევან რაზიკაშვილმა შეასრულა მიხეილ ჯავახიშვილის მიერ საკუთარ ლლიურში გაცხადებული რეალისტ ეროვნულ-დემოკრატთა ‘ალილი. მან ქაქუცას და სხვებს შეკრული გ'ხები გაუკაფა, სამ'შვიდობოზე გაიყვანა, თავად კი ზვარაკად შეეწირა დიდი მამის, ვაჟა-ფშაველას მიერ უ'ხენაეს ადამიანურ ღირებულებად გამოცხადებულ ზნეობრივ კანონს საყვარელ სამშობლოს ანაცვალა საკუთარი სიცოცხლეც და თავისი ოჯახის წევრების გარანტირებული სიმყუდროვეც.

ლ.რაზხიკაშვილმა იმოქმედა ანტისაბჭოთა მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერების საბრძოლო ტაქტიკის შესაბამისად და მსხვერპლად შეეწირა მას. მსგავსმა გამოვლინებებმა ათქმევინა ვაჟა-ფშაველას:

„მაშ რისთვის მინდა სიცოცხლე
სული რადა მრჩავ პირშია,
თუკი არ გამოვადგები
სამშობლოს გასაჭირშია“.

ვაჟა-ფშაველას შეგონებებიდან, ანუ ლევან რაზიკაშვილის ზნეობისა და მამულიშვილობის იდეური სათავეებიდან

"დალოცვილია ღვთისაგან ძე დალოცვილიმშობლისა"

(გუთნის დედის სიმღერა)

"ბედი ხან ბატონსა სწყალობს
ხან გაულიმებს მონასა"
(უიღბლო იღბლიანი)

"ჭირში ყოფნის დროს გაძლება
მუდამ ვაჟკაცის წესია"
(პაპიჩემის ანდერძი)

"ბიჭს მაშინ დაეიძახებდი,
მშიერ-მწყურვალიც ჭკალობდე"
(ის კი არ არის ბიჭობა)

"რა ვუყოთ? ბედი, შავბედი
თუმცა გვექცევა მგლურადა,
მაინც ვაცლერებ ჩონგურსა
მტარვალთა შესამუსრადა"
(აკაკის საიუბილეოდ)

"მით ვაქებ ვაჟკაცობასა –
არ იყიდება ფულადა"
(ალუდა ქეთელაური)

ბედნიერი ყარ ოლომც კი
ქვეყანამ მიცნოს კაცადა"
(გლეხის სიმღერა)

"ბალღი რასაცა ვხედავდი, იმასვე ვხედავ დღესაცა"

(ბალღი რასაცა ვხედავდი)

"ერთი იცინის, სხვა ტირის –
ასეთი არის ქვეყანა"
(მე რომ ტირილი მეწადოს)

"გვიშველეთ, ვილუპებითო, –
ათასგნით ხალხი ჰკივოდა

ათასგან ციხე ირღვევა,
ქალ–ციხეებთან სახლია,
ამოდენს საბრალოებას
მარტო მოზარე აკლია,
ჩვენ ვითომ არა გვიჭირდა.
ვითომ უვნებლად ვიყვენით,
ბოლოსა ვნახე სახლკარით
რომ ჩვენაც გავიყარენით"
(გველის მჭამელი)

"არა, ვერ ვხედავ გაზაფხულს,
თუნდაც გამიწყრეთ ძალიან

ამგვარის გაზაფხულისთვის
არა ჰყლერს ჩემი ფანდური!"
(რად ამბობთ "გაზაფხულდაო")

"მკვდარია უგრძნობი კაცი, უსაზარლესი მკვდარზედა"

(მკვდარია უგრძნობი კაცი)

"რომ მიყვარს მამულიშვილი
დავ იცოცხლეს ყველაზე
გალაგვარების მოსურნე
შეჭამოს ტურა–მგელაძე"
(აკაკის საიუბილეოდ)

„ნუ დაისვენებ, ებრძოლე
მტერს, მანამ გიდგას სულიო.“
(პაპიჩემის ანდერძი)

„ათას ცოცხალსა ბევრჯელა
ასჯერ ჯობს ერთი მკვდარია.“
(ხმელი წიფელი)

„გვაშორე. ჩმერთო გვაშორე
ერისთაობა ვირისო!“
(განა კაცია?!)